ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №4 (2030) 30.11.2007 • ფასი 30 თეთრი

მსოფლიო (თუ მხოლოდ საერთაშორისო?) შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

რატომ „მსოფლიო“? იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველი ხალხი, დამკვიდრებას ვეძებთ მსოფლიოში, რომელშიც ჯერ არ ვართ. გვინდა მოვიპოვოთ მასში სტაბილური ადგილი და მდგომარეობა. იმისათვის, რომ ეს შევძლოთ, ყველამ უნდა „ჩაიჩოჩოს“ ცოტა მაინც: ზოგმა ერთი მილიმეტრით, ზოგმა ერთი სანტიმეტრით და ზოგმა კილომეტრით. საკუთარი ნებითა და ინიციატივით იმ მილიმეტრს არავინ დათმობს. თუ, მაგალითად, საქართველომ კარგი წიწმატი მოიყვანა და წიწმატის მსოფლიო ბაზარზე ადგილის მოპოვება მოიწადინა, გამოჩნდებიან დაინტერესებულნი, მას წიწმატის თესვაზე ხელი ააღებინონ, როგორც დღეს ცდილობენ გლეხს ვაზი ააჩეხინონ. ეს არც საწყენია, არც შეურაცხმყოფელი. მსოფლიოში ყველა ყველას ებრძვის, გარდა მოკავშირეებისა. ჩვენც ბრძოლის წესები უნდა ვისწავლოთ და ჩვენი გავიტანოთ.

რატომ მხოლოდ „საერთაშორისო“? იმიტომ, რომ მსოფლიოს დიდ ნაწილს ის მილიმეტრი დიდ არაფრად უღირს და ჩვენთან საბრძოლველად არ სცხელა. სამაგიეროდ საერთაშორისო მოქმედება, ანუ ჯგუფური მოქმედება ჩვენი ქვეყნისა და ერის წინააღმდეგ გარანტირებული გვაქვს. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით მხოლოდ „ერის წინააღმდეგ“. რადგან ქვეყანა „საქართველოს“ აღმოფხვრა გეოგრეფიული ნომენკლატურიდან არავის სჭირდება. ბრძოლა მიმდინარეობს ერის მოსასპობად, როგორც ერისა, და მის ნამოსახლარზე უქართველებო – ან თითქმის უქართველებო, – საქართველოს შესაქმნელად.

მოკლედ, სცენარი ასეთია. საქართველოში მიმდინარეობს ორი ურთიერთდამოუკიდებელი პროცესი. **პირველი.** ეკონომიკა ინგრევა (ხელოვნურად), მოსახლეობა საქართველოდან გადის. **მეორე.** ძირითადი ეკონომიკური სიმძლავრეები (ჰესები, საბადოები, პორტები, რკინიგზა, სანაოსნო, აეროდრომები, რაც მთავარია – მიწა) გადადის უცხოელთა საკუთრებაში. როცა ორივე ამ პროცესის შედეგები მიაღწევს (ურთიერთდამოუკიდებლად) რაღაცა წინასწარ განსაზღვრულ ნიშნულს (ვთქვათ, საქართველოში დარჩება ერთი მილიონი ქართველი და უცხოელთა ხელში გადავა ძირითად ეკონომიკურ სიმძლავრეთა 60%), მაშინ მიიცემა სიგნალი და საქართველოში შემოვარდება უცხო მოსახლეობის მასა. იგი დასაქმდება ეკონომიკურ სიმძლავრეთა ამ 60 პროცენტში (რადგან ახალ მესაკუთრეს უფლება ექნება ის დაასაქმოს, ვისაც მოისურვებს) და მაშინ აიშვება მუხრუჭი: დაიწყება საქარათველოში ეკონომიკური აყვავება. საქართველო სულ მოკლე დროში გახდება მდიდარი, კეთილდღიანი ტერიტორია, რომელსაც ან ისევ „საქართველო“ ერქმევა, ან რაღაც სხვა, ან დღევანდელი საქართველოს ტერიტორია ექნება, ან მისი ნახევარი, მაგრამ ქართული აღარ იქნება. შესრულდება ის, რასაც მრავალნი ნატრობდნენ და ნატრობენ (მათ შორის – ანდრეი სახაროვი) – შეიქმნება უქართველებო საქართველო.

ეს სცენარის არამეცნიერული, ასე ვთქვათ – მდაბიური ენით გადმოცემაა. მეცნიერულთან ცოტა მიახლოებული ენით რომ გადმოვცეთ, დაგეგმილი ოპერაციის დედაძარღვი შეგვიძლია ასე დავახასიათოთ. საქართველოში უნდა შეიქმნას ასეთი კომბინაცია: მსოფლიოში კონკურენტუნარიანი წარმოებისათვის საკმარისი ბუნებრივი ბაზა შეთქმულთა საკუთრებაში პლუს შრომისუნარიანი კვალიფიციური არაქართველი მოსახლეობა, რომელიც ამ ბაზას რაციონალურად გამოიყენებს. ეს იქნება სიცოცხლისუნარიანი, უფრო მეტიც – ექსპანსიისუნარიანი კომბინაცია, რომელსაც ახალი ხელშეწყობა არ სჭირდება არც არსებობისათვის, არც ზრდისათვის, არც ადგილზე გაბატონებისათვის. ამგვარად, პროცესის დანარჩენი ნაწილი უკვე გარედან ჩარევის გარეშე, ბუნებრივად მოხდება. რაკი ეს კომბინაცია – ეს ჯანსაღი და უძლეველი ძალა – შეიქმნება, მის არსებობასა და განვითარებას ვეღარ დაემუქრება ვერც ხელისუფლების შეცვლა, ვერც ახალი კანონმდებლობა, ვერც რაგინდარა ენერგიული ზომები სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარად, ამით მოიხსნება საქართველოში მარიონეტულ ხელისუფლებათა კულტივაციის საჭიროებაც: საქართველოში შესაძლებელი იქნება, ეკონომიკურ ბუმთან ერთად, ჭეშმარიტი დემოკრატიის დაწყებაც.

ვინ იქნება ის ახალი მოსახლეობა, რომელმაც, გეგმის თანახმად, ემიგრირებული ქართველების ადგილი უნდა დაიკავოს? მათი ნაწილი შედგენილი იქნება, უეჭველია, იმ მეზობელი ერებისაგან, რომლებიც საქართველოს დემოგრაფიულ დაპყრობას დღევანდელ პირობებშიც ცდილობენ და დღემდისაც ცდილობდნენ. ნაწილი იქნება, უეჭველად, იმ დემოგრაფიულად აგრესიული არაევროპული მასების პროცენტის პროცენტის პროცენტი, რომლებიც დღეს ევროპას ტბორავენ. მაგრამ რთულია არა ამათი, არამედ მესაკუთრედ ნაგულისხმევი კონტინგენტის ვინაობის პროგნოზირება. ზოგი რამ უკვე ვიცით. სახელდობრ, ვიცით ის, რომ ენერგეტიკული ობიექტების ყველაზე აქტიური მყიდველია რუსეთი. მან იყიდა მადნეულიც (ინგლისელი პარტნერების ზურგს უკან ამოფარებით), კინაღამ იყიდა (ისევ სხვის ზურგს უკან) ბათუმის პორტი, ყიდვას უპირებს რკინიგზას. ჩუბაისის კომპანიამ თუ ხუდონჰესის მშენებლობა დაიწყო, ის მუშებად და, რაც უარესია, სპეციალისტებად, რა თქმა უნდა, რუსებს შემოიყვანს. მაგრამ მესაკუთრეებად ძირითადად იქნებიან სხვანი, ვისაც, ტრადიციულად, თვითიდენტიფიკაცია ნაკლებად აქვთ შეზღუდული პასპორტით, ვიდრე გენეტიკითა და რელიგიით, და რომელთაც მსოფლიოში დღეს უძლიერესი ფინანსური და პოლიტიკური პოზიციები აქვთ.

კითხვა დგას, ბუნებრივია, როგორ უყურებენ რუსეთის ზემოხსენებულ ახალ დამკვიდრებას რუსეთის მთავარი მოპირისპირენი – ამერიკელები? ცხადია, უარყოფითად, მაგრამ დასმული კითხვა ერთგვარად შერბილებულია იმით, რომ იმ ზემოხსენებულ პოტენციალურ მესაკუთრეებს ამერიკაში დიდი გავლენა აქვთ (უფრო ზუსტად – აშშ ერთი იმ ქვეყანათაგანია, რუსეთთან ერთად, სადაც მათ ყველაზე დიდი გავლენა აქვთ.). მაგამ ჩვენი ქვეყნისათვის მომსვლელთა კონკრეტული ვინაობა ნაკლებ არსებითია. მთავარია, რომ უცხოელნი იქნებიან და ერთიანი გეგმის ელემენტები იქნებიან. საქართველოს ნგრევის სხვა მიმართულებები, სახელდობრ, ა) მისი დაქუცმაცების კურსი, რომელიც შედგება არაქართული სეპარატისტული მოძრაობების ორგანიზაციისაგან და საქართველოს ფედერალიზაციის მხარდაჭერისაგან, ბ) მასში განათლების და მეცნიერების ჩაკვლის კურსი და გ) მისი მოსახლეობის ზოგადი მენტალური დეგრადაციის ორგანიზების კურსი (რასაც ძირითადად ანგაჟირებული მედია ემსახურება) ამ ძირითადი სცენარის შემავსებელი, დამატებითი ზომებია.

საქართველო დღეს თავისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სახიფა-

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მსოფლიო (თუ მხოლოდ საერთაშორისო) შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

თო ჯვარედინზე დგას. მის გადარჩენას ხანგრძლივი და ორგანიზებული საერთო-ეროვნული ძალისხმევა სჭირდება.

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი

საერთო-ეროვნული ძალისხმევა, რომელიც საქართველოს გადარჩენას სჭირდება, დღეისათვის ორი ნაწილისაგან შედგება. ერთია ელიტარული მოქმედება, ანუ მცირერიცხოვანი (ან შედარებით მცირერიცხოვანი) მოქალაქეების შრომა და ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბირთვის შესაქმნელად. სახელმწიფოებრიობის ბირთვი არის, პირველ ყოვლისა, მდგომარეობის ცოდნა და არსებული კრიტიკული მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსვლის შესაძლებელ გზათა ხედვა, რაც რეალური ფაქტების რაც შეიძლება სრულ გათვალისწინებას (აღრიცხვას) და ანალიზს მოითხოვს. მეორეც, ეს არის მტკიცე და სათანადოდ კვალიფიცირებულ ადამიანთა (მოქალაქეთა) ჯგუფი (ჯგუფები), რომელნიც დარგობრივად არიან დასპეციალებულნი და კონკრეტულად იციან, რომელ სფეროში (დარგში) (ტერიტორიის აღდგენაში, წესრიგის დაცვაში, საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ეკოლოგიაში, განათლებაში, ჯანდაცვაში, სოცდაცვაში და ა.შ.) რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ (და რა თანმიმდევრობით), რომ გადარჩეს და წინ წავიდეს. ანუ: უნდა შეიქმნას ხელი, რომელიც მზად იქნება, რომ სახელმწიფო საჭე დაიჭიროს. დღეს საქართველოში ასეთი ხელი არ არსებობს. საქართველოს არსებული ხელისუფლება არა მხოლოდ ორგულია ამ ქვეყნისა, არამედ უსუსურიც (მოკლებული მდგომარეობის რეალურ ხედვას, სამომავლო გეგმას და მოქმედების უნარს). ასევე უსუსურია (და როგორც ზემოხსენებულ ცოდნას, ასევე ზემოხსენებულ ქმედითობას მოკლებულია), საშუალოდ და ნაწილობრივ, ის „ოპოზიციური“ ნაწილიც ხელისუფლებისა, რომელიც ჩანს. სახელმწიფოებრიობის ეს ბირთვი უნდა ჩამოყალიბდეს მოქმედების (ბრძოლის) პროცესში: მან ყველა ცალკეულ ვითარებაში უნდა იცოდეს, რა სჭირდება (რა ნაბიჯის გადადგმა ჰმართებს) საქართველოს და, ქვეყნისა და ხალხის ინტერესთა სახელით, ეკონტაქტებოდეს საქართველოს პარტნერი ქვეყნების წარმომადგენლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს (ეპაექრებოდეს ან, პირიქით, მხარს უჭერდეს მათს კურსს) საქართველოსთვის სასიცოცხლო ყველა საკითხზე. საქართველოს ეროვნულად აქტიური პოლიტიკური ძალები – მისი ნამდვილი (და არა მოჩვენებითი) პოლიტიკური ელიტა – უნდა აკეთებდეს იმ საქმეს, რომელსაც ხელისუფლება უნდა აკეთებდეს, მაგრამ ვერ აკეთებს. ამას ეს ელიტა უნდა აკეთებდეს ხელისუფლების გვერდის ავლით და ხელისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაუპირისპირდეს კონფლიქტურად ამ კონკრეტულ საკითხზე, როცა ამას თვით საკითხის საჭიროება მოითხოვს.

მეორე მხარე საერთო-ეროვნული ძალისხმევისა არის მასობრივი მოქმედება ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და გასატანად. ასეთი გამოსვლებისათვის დღეს (სხვა ამოცანათა გარდა, რომელთაც მომენტის საჭიროება მოიტანს) თვალსაჩინოა ორი ამოცანა: „ქუჩის“ აქციებით მიღწეული უნდა იქნას რეალური საარჩევნო კანონის მიღება (რადგან არსებული კანონმდებლობით არჩევნები შეუძლებელია) და ყველა ქალაქის მერების არჩევითობა. ამ ორი მიზნისათვის მასობრივი გამოსვლა, სავარაუდოდ, აუცილებელი იქნება, რადგან დღევანდელი ხელისუფლება უუფლებო თანამონაწილეა იმ საერთაშორისო შეთქმულებისა ქართველი ერის წინააღმდეგ, რომელზეც ლაპარაკობს საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის (ეროვნული დარბაზის) განცხადება (იხ. აქვე ზემოთ) და მისი მმართველობის გაგრძელება (მით უმეტეს – განახლება კიდევ ერთხელ გაყალბებული არჩევნების გზით) შეუთავსებელია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან.

* * *

გაზეთი „საქართველო“ სიღრმისეულად განიხილავს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემებს. ამჯერად ჩვენი თემაა აფხაზეთის პრობლემის ერთი მხარე.

აფხაზეთის «სუვერენიტეტი» მიზანმიმართულად ანტიქართული გეგმაა

ე.წ. ბოდენის დოკუმენტი, რომელიც გაეროში დევს, როგორც „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის“ დარეგულირების გეგმა, შეიცავს ორ ისეთ მომენტს, რომლებიც, – თითოეული ცალცალკე, – ნიშნავს აფხაზეთის გასვლას საქართველოს შემადგენლობიდან უახლოეს მომავალში. ერთია ის, რომ „აფხაზეთისა“ და „საქართველოს“ ერთობლივი სახელმწიფო, ამ დოკუმენტის მიხედვით, იქმნება ამ ორი ერთეულის ხელშეკრულების („ფედერალური შეთანხმების“) საფუძველზე, ანუ იმგვარ საფუძველზე, რომლის დარღვევა ყოველთვის შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულებაში იქნება დათქმა, რომ მისი დარღვევა არ შეიძლება (ხელშეკრულების დარღვევა, რაც ყველა სუბიექტის შეუვალი უფლებაა, ეხება ხელშეკრულებას მისი „დათქმებითურთ“. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება ისჯებოდეს, მაგრამ არავის აქვს უფლება მხარეს მისი დარღვევა აღუკვეთოს). ამგვარად, ბოდენის გეგმით, აფსუა („აფხაზ“) სეპარატისტულ ძალებს ეძლევათ ხელთ იურიდიული მექანიზმი საქართველოდან აფხაზეთის სეცესიისთვის (გამოყოფისთვის), რომელიც დღესდღეობით არ არსებობს. მეორე ასეთი მომენტია ის, რომ აფხაზეთს, ბოდენის პროექტის მიხედვით, აქვს „სუვერენობის“ სტატუსი: იგი არის „სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი საქართველოს შემადგენლობაში“. სიტყვა „სუვერენული“ ნიშნავს მხოლოდ „გარეთკენ დამოუკიდებელს და შიგნითკენ უზენაესს“, ანუ გარეგანი ძალებისაგან დამოუკიდებელს და შიგნით (თავის ტერიტორიაზე) თავისი ნების განხორციელების უფლებამოსილს ყველა სხვა ამ ტერიტორიაზე არსებულ სუბიექტთა უზენაესად. ამ ტერმინის ხმარება აფხაზეთის მიმართ ნიშნავს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას და, ამდენად, მისი ხმარება აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისას, როგორც საქართველოსთან ხელშეკრულებით ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული ერთეულისას, ცალსახად ნიშნავს იმას, რომ ეს სახელმწიფო არის **კონფედერაცია** – ურთიერთდამოუკიდებელთა შეთანხმება გაერთიანების შესახებ, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება კვლავ გაყოფილ (დაშლილ) იქნას.

ბოდენის ამ გეგმის უარყოფა, – მისი მიუღებლად გამოცხადება ოფიციალური წესით, – საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან არ მოხდა, თუმცა ეს უკანასკნელი თავს იურისტად თვლის და ვალდებულია, ამ სიტყვის მნიშვნელობა ესმოდეს, ისევე, როგორც სახელშეკრულებო კავშირის დარღვევადი ხასიათი. უფრო მეტიც: ბოდენის გეგმის მხარდასაჭერად თვითმარქვია „ექსპერტის“ პ. ზაქარეიშვილის და ძალიან უხვად დაფინანსებული რამდენიმე ამდენადვე შემთხვევითი ქართველი მოხალისის შემადგენლობით შექმნილმა ჯგუფმა შექმნა და ნაწილობრივ გამოაქვეყნა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გეგმა, რომელიც მოიცავს „აფხაზეთსა“ და „საქართველოს“ შორის „ფედერალურ შეთანხმებას“ ერთობლივი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელშიც აფხაზეთი იქნება „სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნის“ სტატუსით. ეს ტექსტი რადიკალურად იქნა გაკრიტიკებული ქართულ პრესაში და ეს კრიტიკა უპასუხოდაა დღესაც. მაგრამ პროექტის პოპულარიზაცია მასმედიაში გრძელდება და მისდამი ხელისუფლების სიმპათიის არაპირდაპირი გამოვლენაა ის ფაქტიც, რომ მისი ერთ-ერთი ავტორი კ. კუბლაშვილი, არაფრით არ გამორჩეული ახალგაზრდა იურისტი, რომელმაც ზემოხსენებულ კრიტიკას ვერ უპასუხა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ბოდენის გეგმის მხოლოდ ერთი ზემოხსენებულ ორ მომენტთაგანი – ტერმინი „სუვერენული“. ჩვენი ინტერესის მიზეზი ისაა, რომ კულუარულად, – პუბლიკაციის გარეშე და, მით უმეტეს, დასაბუთების ან ილუსტრაციის გარეშე – ვრცელდება დეზინფორმაცია, თითქოს სახელმწიფოთა (მათ შორის – სუპერსახელმწიფოთა) სუვერენიტეტის ფაქტობრივი კვეცის მსოფლიო პოლიტიკური პროცესი (პროცესები), რის მოწმენიც ვართ (იგულისხმება: მისი კვეცა მათი საერთაშორისო სამართლებრივი მოვალეობების ზრდის მიმართულებით მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, რაც ეხება მხოლოდ ადამიანური უფლებებისა და ეკოლოგიის საკითხებს, მაგრამ არა სხვას), ცვლის ტერმინ „სუვერენულის“ შინაარსს და, ამგვარად, აუქმებს – ან ნაწილობრივ აუქმებს, – ბოდენის დოკუმენტში ამ სიტყვის ხმარებიდან იმ დასკვნის გამოტანის აუცილებლობას, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა ხდება. ეს დებულება ყალბია. **სიტყვა „სუვერენული“ დღესაც, ისევე როგორც ტრადიციულად, ნიშნავს მხოლოდ „გარეთკენ დამოუკიდებელს და შიგნითკენ უზენაესს“ და, ამდენად, ბოდენის დოკუმენტის შემოთავაზებით საქართველოს ეძლევა წინადადება, თავისი ტერიტორიის ერთი ნაწილის – აფხაზეთის – დამოუკიდებლობა ცნოს.** საბუთად იძულებულნი ვართ მოვიყვანოთ ორი კომპეტენტური და საყოველთაოდ აღიარებული პოზიცია ამ საკითხზე – ერთი ამერიკული, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოდან მომდინარე, მეორე გერმანული, როგორც ყველაზე დიდი ფილოსოფიური კულტურის ქვეყნიდან მომდინარე. პუბლიკაციებს მივართმევთ საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიას და პარლამენტს, რათა შეუძლებელი გახდეს მათ მიერ სიტყვის „სუვერენული“ დღევანდელი შინაარსის არცოდნის და, აქედან გამომდინარე, ბოდენის დოკუმენტში მისი გამოყენებიდან გამომდინარე შედეგების ვერხედვის სიმულაცია.

აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარანტირებული აღდგენის კონცეფცია

წინასიტყვა

წინამდებარე ტექსტს „გარანტირებული აღდგენის“ კონცეფცია ეწოდება იმიტომ, რომ მასში ჩამოთვლილია საქართველოს ხელისუფლების ის ნაბიჯები (და მათი თანმიმდევრობა), რომლებიც საკმარისია, რათა შედგეს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა განურჩევლად იმისა, ჰყავს თუ არა საქართველოს მსოფლიოს წამყვან ძალთა შორის „მეგობრები“, ანუ საქართველოს დიპლომატიური, ეკონომიკური, პოლიტიკური ან რაიმე სხვა სახის დახმარებისათვის განწყობილი ქვეყნები. საქართველოს მიერ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე თავისი იურისდიქციის სრულფასოვანი აღდგენისთვის მას სჭირდება ერთადერთი პირობა მსოფლიოს პოლიტიკურ, იურიდიულ და სტრატეგიულ ურთიერთობათა სისტემაში: მსოფლიო თანამეგობრობა უნდა კრძალავდეს ერთი სუვერენული სახელმწიფოს მიერ მეორე სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის დაწყებას, თუ ეს ომი არ არის მოტივირებული და ეს მოტივაცია არ არის საკმარისად დასაბუთებული საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დამყარებით. ეს პირობა დღეს შესრულებულია: საერთაშორისო სამართლით არადასაბუთებული ან არასაკმარისად დასაბუთებული ომის დაწყება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთს არ შეუძლია. ამგვარად, თუ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს დღევანდელი და სამომავლო სახელმწიფო ინტერესების ერთგულია, ანუ თუ მას კეთილი ნება აქვს, მაშინ იგი აფხაზეთში თავის იურისდიქციას აღადგენს ყველა შესაძლო შემთხვევაში. თუ საქართველოს ეყოლება მსოფლიოში მეგობარი ძალები, ამით, ცხადია, გასავლელი მძიმე გზა შემოკლდება ანუ ამოცანის გადაჭრა გაადვილდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამოცანის ასეთ გაადვილებას სიხარულით შევხვდებით. მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ — და გარანტირებულად გავთვალოთ — აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის მთელი გზა იმ შემთხვევისთვისაც, თუ ასეთი დამხმარე (დამხმარეები) არ აღმოგვაჩნდება. ჩვენი თეზისი მხოლოდ ის გახლავთ, რომ საქართველოს შეუძლია ამოცანის გადაჭრა ასეთი გაადვილების გარეშეც და ეს გარემოება უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა მოლაპარაკებათა და შეთანხმებათა პროცესში, რომლებიც აფხაზეთის საკითხებს ეხება.

განყოფილება პირველი. პრინციპები

1. **არსებული ფონი** (მოლაპარაკებათა ფორმატი და მათზე წანამძღვრებად მიღებული შეხედულებები).

დღემდე შევარდნაძის ხელისუფლების ინიციატივით ტარდება მოლაპარაკებები „აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ“ გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით ნიუ-იორკში და ჟენევაში. მოლაპარაკებებში „მხარეებად“ არიან „შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები“, სახელდობრ, არძინბას (ბაღაფშის) ჯგუფი, როგორც კონფლიქტის „აფხაზური მხარე“, ერთის მხრივ, და საქართვლოს ხელისუფლება, როგორც „ქართული მხარე“, მეორეს მხრივ. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართული ნაწილი თ. ნადარეიშვილის მეთაურობით მოლაპარაკებათა პროცესში ჩართული იქნა, მაგრამ არა „მხარის“ სტატუსით, მხოლოდ მოგვიანებით. რუსეთს მინიჭებული აქვს „მხარეთა“ შორის შეთანხმების მიღწევის „ხელშემწყობის“ („ფაცილიტატორის“, გამაადვილებლის) სტატუსი.

მოლაპარაკებებში ამოსავალ წანამძღვრებად მდუმარედ ნაგულისხმევია შემდეგი დებულებები:

1. აფხაზეთში 1992-1993 წლებში მომხდარი ომი იყო ქართულ-აფხაზური ომი (ან: საქართველოსა და აფხაზეთის ომი) და იგი აფხაზებმა მოიგეს (ან: აფხაზეთმა მოიგო)

2. აფხაზეთი არის აფხაზების ქვეყანა. აფხაზები არიან ის ხალხი, რომელიც თავისთავს „აფსუა“-ს უწოდებს. მართალია, აფხაზეთში იყო ქართული მოსახლეობა (46%) და ეს იყო მოსახლეობის უმრავლესობა, მაგრამ ეს იყო გვიან მოსული მოსახლეობა, უმთავრესად სტალინისა და ბერიას მიერ ჩასახლებული 1930-იან წლებში. საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ ამ მოსახლეობამ არჩია აფხაზეთიდან აყრა და საქართველოში გადასახლება. აფხაზური მოსახლეობა, მართალია, ომამდე შეადგენდა მთელი მოსახლეობის მხოლოდ 17%-ს, მაგრამ ეს სიტუაცია განსაზღვრა იმან, რომ მეფის რუსეთმა XIX საუკუნეში ჩაატარა აფხაზი მოსახლეობის დიდი დეპორტაცია (გასახლება) თურქეთში.

3. აფხაზეთი და საქართველო ორი სხვადასხვა ქვეყანაა. აფხაზეთის ყოფნა საქართველოს შემადგენლობაში ისტორიულად მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკურ ფაქტორთა შედეგია. ეს არის ერთერთი შემთხვევა, როცა ერთი ქვეყანა თავისი ხალხითურთ ინკორპორირებულია უფრო დიდ ქვეყანაში. ამიტომ ერთა (ხალხთა) თვითგანსაზღვრის (როგორც ქართულად თარგმნიან ხოლმე: თვითგამორკვევის) პრინციპი, რომელიც დღეს მსოფლიოს მიერ აღიარებულია და რეალიზებულიცაა დეკოლონიზაციის პროცესის სახით, იმას მეტყველებს, რომ აფხაზებსაც თავისი ქვეყნიანად, ანუ აფხაზეთიანად, თავისუფლება უნდა ჰქონდეთ. ამგვარად, თუმცა მსოფლიოში მუშაობს სხვა პრინციპიც, სახელდობრ, სუვერენულ და გაეროს წევრ სახელმწიფოთა საზღვრების დაურღვევლობის პრინციპი, საქართველო კი სწორედ ასეთი სახელმწიფოა, რის გამოც აუცილებელია, რომ ამ ეტაპზე აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დარჩეს, მაინც მსოფლიო თანამეგობრობის ამოცანაა ხელი შეუწყოს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისათვის ისეთი სტატუსის განსაზღვრას, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნება დამოუკიდებლობასთან და რომლის პირობებშიც აფხაზი ხალხი თავისი ეროვნული ტერიტორიის — აფხაზეთის — მაქსიმალურად უფლებამოსილი მფლობელი და განმკარგველი იქნება.

მას შემდეგ, რაც აფხაზეთში არსებული სიტუაცია ოფიციალურად გახდა საერთაშორისო ორგანიზაციათა განხილვის საგანი, ანუ 1993 წლიდან დღემდე, საქართველოს ხელისუფლებას (არც შევარდნაძისას და არც დღევანდელს) არ განუცხადებია პროტესტი არც ერთი ზემომოყვანილი დებულების წინააღმდეგ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქართული მხარე მოლაპარაკებათა პროცესში ხმარობს გამოთქმებს „დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობა“ და ამ მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნებას ითხოვს. მაგრამ ნათელია, რომ, თუ ზემომოყვანილი წანამძღვრები გაზიარებული იქნება, მაშინ, პრაქტიკულად და ლოგიკურად, გაზიარებული ვერ იქნება საქართველოს მოთხოვნა, რომ აფხაზეთი განიხილებოდეს, როგორც საქართველოს ორგანული ნაწილი. ამიტომ ზემოხსენებული სამი წანამძღვრის მხილება მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში, როგორც ყალბი დებულებებისა, — ანუ იდეოლოგიური ომის (და, შესაბამისად, საპროპაგანდო ომის) მოგება — არის აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის ყოველი რეალისტური გეგმის ნაწილი.

II. **აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის იდეოლოგიური (სახელდობრ, ისტორიოგრაფიული, მორალური და პოლიტიკური) საფუძვლები** მსოფლიოს უნდა მოჰხსენდეს და აეხსნას, რათა შეუძლებელი გახდეს მის მიერ (და პირველ ყოვლისა რუსეთის მიერ) აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობის „პასუხად“. ეს საფუძვლები, სახელდობრ, შემდეგია:

1. აფხაზეთში 1992-1993 წლებში წარმოებული ომი იყო ქართულ-რუსული და არა ქართულ-აფსუური („აფხაზური“) ომი). ქართველი მოსახლეობის გენოციდი, რომელიც ახლაც გრძელდება (მხოლოდ გალის რაიონში, სადაც დგანან რუსეთის „სამშვიდობო ძალები“ გაეროს მანდატით, 1993 წლიდან 2000 წლამდე მოკლულია 1800 მშვიდობიანი მოსახლე ქართველი ეროვნებისა, ანუ მთელი დღეს იქ მყოფი მოსახლეობის 3,6%), ორგანიზებულია და ჩატარებულია ძირითადად რუსეთის მიერ.

სახელდობრ, რუსეთის მხრიდან უშუალოდ ბრძოლაში მონაწილეობდნენ

— რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ტექნიკას მართავდნენ

— რუსეთის დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც „დაქირავებულად“ იყვნენ გამოცხადებულნი.

— რუსეთის სამხედრო ნაწილები (345-ე ავიასადესანტო პოლკი და სოხუმის ბატალიონი),

— რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც მზადდებოდნენ და იარაღდებოდნენ რუსეთში და იგზავნებოდნენ საქართველოში, როგორც „მოხალისენი“ (კაზაკები, სხვა რუსები ან არარუსი მოხალისენი, ადიღეელები, ყაბარდოელები, ოსები, მცირე რაოდენობით — ჩეჩნები)

— სამხედრო „კონსულტანტებად“ და „ინსტრუქტორებად“ წარმოდგენილი (არაოფიციალურად) რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები.

გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია

— ამარაგებდა არძინბას ჯგუფის შეიარაღებულ ძალებს შეიარაღებით, საჭურველით, ტყვია-წამლით, სხვა სამხედრო მასალებით, საწვავით,

— აძლევდა სადაზვერვო ინფორმაციას

— თავის საპროპაგანდო აპარატის საშუალებით აწარმოებდა „საპროპაგანდო ომს“ მათ მხარეზე.

ამგვარად, მოლაპარაკებებზე გაზიარებული პირველი წანამძღვარი ყალბია.

2. ქართველი ხალხი აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის ერთადერთი ავტოხთონი ხალხია, ანუ ის ხალხი, რომელმაც ეს ტერიტორია ხელუხლებელი ტყეების მდგომარეობიდან გადაიყვანა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში, ხოლო ქართული ენა ის ერთადერთი ენაა გარდა ბერძნულისა ყოფილი საპორტო ბერძნული კოლონიების ტერიტორიაზე, რომელზედაც აქ შუა საუკუნეთა ეპიგრაფიკა (ქვაზე წარწერები) არსებობს. ეთნონიმს „აფსუა“ არა აქვს ლინგვისტური კავშირი ეთნონიმთან „აფხაზი“ (იხ. Т. Гамкрелидзе) და ტოპონიმთან „აფხაზეთი“, რომელიც ცნობილია VIII საუკუნიდან, როგორც ხან დღევანდელი აფხაზეთის, ხან მისი ერთი ნაწილის, ხან მთლიანად დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი. ხალხი აფსუა, ადიღეური მოდგმისა, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლდა კავკასიონის ქედის სამხრეთით ჯერ სპორადულად, XIII საუკუნიდან, ხოლო შემდეგ მასობრივად, XVII-XVIII საუკუნეებში, როცა ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა თურქული ლაშქრობების შედეგად. სახელი „აფხაზი“ იმ იმიგრანტ ადიღეურ ტომებს დაერქვათ (ქართველების მიერ) იმიტომ, რომ პროვინციას, რომელშიც ისინი დასახლდნენ, „აფხაზეთი“ ერქვა.

ამრიგად, აფხაზეთი არ არის აფსუების („აფხაზების“) ქვეყანა. იგი ჯერ ქართველების, შემდეგ კი აფსუების („აფხაზების“) ქვეყანაა. ამ ტერიტორიის ბედის გადაწყვეტაში ერთი აფსუას („აფხაზის“) ხმას არ შეიძლება ენიჭებოდეს მეტი წონა, ვიდრე ერთი ქართველის ხმას, შესაბამისად — მთელი აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ხმას (90 ათასი სული) — მეტი წონა, ვიდრე მთელი ქართველი მოსახლეობის (300-მდე ათასი სული) ხმას.

დღეს აფსუა („აფხაზ“) ხალხს საკუთარი, ადიღეური მოდგმის სხვა ხალხთაგან განსხვავებული ეთნიკური თვითცნობიერება აქვს და, ამდენად, საქართველოს გარეთ სხვა სამშობლო აღარ აქვს. მაგრამ დღეს არის მკაფიო ტენდენცია აფსუა („აფხაზი“) ხალხის ეთნიკური თვითცნობიერების რეინტეგრაციისა ადიღეური მოდგმის სხვა ხალხებთან. თუ ეს მოხდება, მაშინ აფსუა („აფხაზი“) ხალხი დიასპორის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

თქმულიდან გამომდინარეობს — და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომელნიც აფხაზეთით ინტერესდებიან, ეს უნდა იცოდნენ საქართველოს ხელისუფლებისაგან — რომ აფხაზეთში რუსების მიერ დანერგილი და აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის საკმაოდ ფართო წრის მიერ ატაცებული ლოზუნგები — „სმერტ გრუზინამ“ და „გრუზინი ვონ იზ აფხაზიი“, რომლებიც განხორციელდა კიდეც იმავე რუსეთის ინიციატივითა და დახმარებით 1992-1993 წლებში — ზემოხსენებულ ყალბ ისტორიულ წანამძღვარს ემყარება, სახელდობრ, იმ თეზისს, რომ ქართველები აფხაზეთში მოსული და აფხაზეთის დამკავებელი ხალხია, თუმცა ამ დაკავების ფორმასა და თარიღს, თუნდ ათასწლეულის სიზუსტით, ვერავინ უთითებს.

არ არის მართალი არა მხოლოდ ის, რომ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობა მოსული ეთნიკური ელემენტია, არამედ არც ის, რომ აფხაზეთში საბჭოთა წლების მანძილზე მომხდარ იმიგრაციაში ქართველების პროცენტი ჭარბობდა. ძირითადი იმიგრაცია, რომელსაც ხელს უწყობდნენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი სტრუქტურები (განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან), ხდებოდა რუსებისა და სომხების სახით. შედარებით მცირე მასშტაბით ეს ხდებოდა რევოლუციამდეც. საბჭოთა წლებში კი ამ მიგრაციამ (სომხებისა და

რუსებისამ) წამლეკავი ხასიათი მიიღო. მის შედეგად აფხაზეთის მოსახლეობის 30% (16% სომხები, 14% რუსები) შეადგინა რუსული იმპერიული ადმინისტრაციის მიერ 100 წლის (ძირითადად კი – ბოლო 40 წლის) მანძილზე შესახლებულმა პირწმინდად უცხო ეთნიკურმა ელემენტებმა.

ამგვარად, მოლაპარაკებებზე გაზიარებული მეორე წანამძღვარიც ყალბია.

3. არ არის მართალი, რომ აფხაზეთი არის ან ოდესმე ყოფილა საქართველოში ინკორპორირებული, მაშასადამე, ძალდატანებით შეყვანილი არაქართული ტერიტორია. აფხაზეთი მისი დღევანდელი ტერიტორიის სახით ან დაახლოებით ამ ტერიტორიის სახით იყო აფხაზეთის სამთავრო – სხვა ანალოგიურ ნაწილთგან განუსხვავებელი ელემენტი ქართული ფეოდალური მონარქიისა – და ასეთად დარჩა მას შემდეგაც, რაც მოსახლეობა აფსუური ელემენტებით შეივსო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში (1921წ.) აფხაზეთი ფიგურირებს, როგორც „სოხუმის ოლქი“, რომელსაც „ადგილობრივ საქმეებში“ ავტონომია აქვს. 1935 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელიც შედგენილი იყო საბჭოთა ადმინისტრაციის მიერ და რომელსაც აფსუა („აფხაზი“) სეპარატისტები იმოწმებენ, როგორც აფხაზეთის საქართველოსაგან ცალკე ყოფნის იურიდიულ საფუძველს, კონსტიტუცია კი არ იყო, არამედ პროექტი, რომელიც არც ერთი, რაგინდარა მარიონეტული საკანონმდებლო ორგანოს მიერ არ მიღებულა.

ამგვარად, მოლაპარაკებებზე მიღებული მესამე წანამძღვარიც ყალბია.

მოყვანილი სამი ყალბი დებულება არის იდეოლოგიური საფუძველი იმისა, რომ დღეს აფსუა („აფხაზი“) სეპარატისტები, რუსეთის მიერ იმედმიცემულნი და ძალამიცემულნი, თავისი ორი ამბიციის რეალიზაციას ფიქრობენ.

1. მათ სურთ, რომ აფხაზეთი, როგორც მთელი, გამოეყოს საქართველოს და ცალკე სახელმწიფო გახდეს.

2. მათ სურთ, რომ აფხაზეთი, როგორც მთელი (იმ ტერიტორიათა ჩათვლით, სადაც არასოდეს არცერთ აფსუას („აფხაზს“) არ უცხოვრია. ასეთი ტერიტორიები აფხაზეთის ნახევარზე მეტს შეადგენს), მიიჩნიონ და მთელ მსოფლიოს მიაჩნევინონ მხოლოდ თავის ქვეყნად და, აქედან გამომდინარე, მთელ მის ტერიტორიაზე, პრინციპში, აფსუური („აფხაზური“) ეთნოკრატია დაამყარონ, ხოლო აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება გააიგივონ – და მსოფლიოს გააიგივებინონ – აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის (90 ათასი სული) ნებასთან. საქართველოს სახელმწიფო ვერც ერთი ამ ორი ამბიციათაგანის რეალიზაციას ვერ დაუშვებს: პირველისას იმიტომ, რომ საქართველოს მთელი დღევანდელი ტერიტორია ქართველი ხალხის ეთნიკური ტერიტორიაა ისტორიულად და ქართული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია ორი ათასწლეულის მანძილზე, იმ თითქმის ორი საუკუნის ჩათვლით (1801-1918, 1921-1991), როცა ქართული სახელმწიფო ანექსირებული იყო რუსეთის მიერ. ამ ტერიტორიაზე აფსუა („აფხაზ“) ხალხს მკვიდრი მოსახლეობის ყველა უფლება აქვს, ისევე როგორც შეუზღუდველი განვითარებისთვის ყველა აუცილებელი პირობების ქონისა და მოპოვების უფლება, მაგრამ არა სახელმწიფოს ტერიტორიული ხელყოფის ან მისი მართვის მექანიზმთა ეფექტიანობის ხელყოფის უფლება. მეორე ამბიციის_ დაკმაყოფილებას კი საქართველოს სახელმწიფო ვერ დაუშვებს იმიტომ, რომ აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არ არის მხოლოდ მისი აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნება, არამედ ტოლქმედია აფხაზეთში არსებული (და აფხაზეთის ტერიტორიის მოწყობისა და მომავალი ბედის განსაზღვრაში გასათვალისწინებელი) არა ერთი, არამედ სამი ნებისა.

სახელდობრ,

– აფსუა (როგორც ხალხი თვითონ უწოდებს თავის თავს), ანუ აფხაზი (როგორც სხვანი უწოდებენ ქართული ეთნონიმის მიხედვით) ხალხის ნება, რომ აფხაზეთის ტერიტორიას განიხილავდეს როგორც თავისი ეროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზს აწ და მარადის, თავისი ეროვნული ბუნებრივი და კულტურული მახასიათებლების, თავისი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით აგებული საზოგადოების მოწყობისა და განვითარების ასპარეზს.

აფსუა („აფხაზი“) ხალხის უფლება, რომ ეს ნება განახორციელოს, აგრეთვე ვერ დადგება კითხვის ქვეშ, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ აფსუა („აფხაზი“) ეთნოსი არ არის ავტოხთონური, არამედ XIII-XVIII საუკუნეთა მანძილზე კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი კალთებიდან გადმოსული ადიღეური ტომების ჩამომავალია, იგი დღეს კულტურულად და ეროვნულად დიდადაა დაშორებული ადიღეელებს და, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი ეროვნული იდენტობის ცნობიერება აქვს.

– ქართველი ერის და მის რიცხვში – აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ნებისა, რომ აფხაზეთის ტერიტორიას განიხილევდეს, როგორც თავისი ეროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზს აწ და მარადის, თავისი ეროვნული ბუნებრივი კულტურული მახასიათებლების, თავისი წეს-ჩვეულებების და ტრადიციების გათვალისწინებით აგებული საზოგადოებრივი მოწყობისა და განვითარების ასპარეზს (ქართველი ერის და კერძოდ, აფხაზეთის ქართული მოსახლეობის უფლება, რომ ეს ნება განახორციელოს, როგორც უკვე ითქვა, კითხვის ქვეშ ვერ დადგება, ვინაიდან, როგორც ვთქვით, ქართველი მოსახლეობა ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობაა, მასზე არსებული შუასაუკუნოვანი და მანამდელი მატერიალური და სულიერი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ერთადერთი შემქმნელი).

– აფხაზეთის ყველა კანონიერი მაცხოვრებლის ნებისა, რომ ჰქონდეს უსაფრთხოება, კეთილდღეობა, თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის შესაბამისი პირობები (ამ ნების დამთხვევა არძინბასა (ბაღაფშისა) და მისი ჯგუფის პოლიტიკურ კურსთან და, კერძოდ, საქართველოსაგან აფხაზეთის სეცესიის (გამოყოფის) ან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან აფხაზეთის მაქსიმალური დამოუკიდებლობის კურსთან ჯერჯერობით არსად, არც რომელსამე დემოკრატიულად ჩატარებულ არჩევნებში ან რეფერენდუმში, არც სხვა რამ ფორმით – არ დადასტურებულა).

ეს სამი ნება ურთიერთიდენტური არ არის, მაგრამ მათ შორის შეურიგებელი წინააღმდეგობაც არ არის. შესაძლებელია, რომ ყოველთვის პირველს და მეორეს სხვადასხვა პოზიცია ჰქონდეთ აფხაზეთის სტატუსის რაგვარობის, აფხაზეთის ხელისუფლებასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებათა და კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ, მით უმეტეს, აფხაზეთის შიგნით განხორციელებული პოლიტიკური და გეოგრაფიული მოწყობის, ოპტიმალური დარაიონების, სოხუმისა და რაიონების უფლებათა გამიჯვნის შესახებ, მაგრამ ამ სხვაობათა ჰარმონიზაცია შესაძლებელია (პირდაპირ მოლაპარაკებათა შედეგად). დაუშვებელია მხოლოდ დისკრიმინაცია, სახელდობრ, ერთი აფსუასათვის („აფხაზისთვის“) მეტი უფლებამოსილების მინიჭება აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედის განსაზღვრაში, ვიდრე ერთი ქართველი მოსახლისათვის.

აფხაზეთში სამართლიანი და სრული დარეგულირებისა და სტაბილობის მიღწევის ობიექტური პირობები არსებობს, სახელდობრ, აფხაზეთის ტერიტორია და რესურსები საკმარისია ზემოდასახელებული სამი ნების სრული რეალიზაციისთვის დღეს და მომავალში.

ამგვარად, წარმოდგენილი გეგმის იდეოლოგია არის

– აფსუა („აფხაზი“) ხალხის ყოველმხრივი თვითრეალიზაციისა და განვითარების დაცვა (რადგან, მიუხედავად აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ქართველთა გენოციდისადმი თანაგრძნობისა და მასში მონაწილეობისა, არ გვაქვს უფლება დავაზარალოთ აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის, მათ შორის ახალი და მომავალი თაობის ინტერესები)

– დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობის ინტერესთა უკომპრომისო სამართლიანი დაცვა, მისი მატერიალური და მორალური ზარალის სრული ანაზღაურების ჩათვლით

– დამნაშავეთა დასჯა (ყველა მხრიდან)

– სიცოცხლისუნარიანი პირობების შექმნა აფხაზეთში ქართველი და აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის მომავალი მშვიდობიანი და ნაყოფიერი თანაცხოვრებისათვის.

განყოფილება მეორე. პრაქტიკული ნაბიჯები

აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ქართული იურისდიქციის სრული აღდგენისა და აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის ღონისძიებები და შესაბამის ნაბიჯთა თანმიმდევრობა შესაძლებელია იყოს

ა) საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური განცხადება მსოფლიოს წინაშე, რომ აფხაზეთის ომი იყო და არის რუსეთის აგრესია (დღეს – მისი მიწის ოკუპაცია) რუსეთის მხრიდან; აფხაზეთის პრობლემის ყოველგვარი ინტერნაციონალიზაციის მოხსნა (მისი საქართველოს შინაურ პრობლემად მიჩნევა) ყოველმხრივ, გარდა ორადორი ასპექტისა: მისი განხილვისა, როგორც რუსეთის აგრესიისა საქართველოს წინააღმდეგ (და მისი განხილვისა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით

(ბ) (პარალელურად) რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის „სამშვიდობო“ მანდატის გაუქმება და მათი გაყვანა (რითაც რუსს ერთმევა ცეცხლის გახსნის უფლება),

გ) (პარალელურად) საქართველოს პირველ ამოცანად ოფიციალურად გამოცხადება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სახელმწიფოს მთელი ძალისხმევის მიმართვა ამ მიზანზე.

დ) (პარალელურად) შეიარაღებული ძალების განუხრელი გაზრდა, გაწვრთნა, საბრძოლო იარაღისა და ტყვიაწამლის სამამულო წარმოების აწყობა.

ე) (პარალელურად) საქართველოში აფხაზეთის გადარჩენისთვის წარმოებული პარტიზანული მოძრაობის რეაბილიტაცია, როგორც სამშობლოს დასაცავად მიმართული ბრძოლისა.

ვ) (პარალელურად) შევარდნაძის მიერ დადებულ კაპიტულანტურ ხელშეკრულებათა დენონსაცია.

ზ) (პარალელურად) პროკურატურის მიერ საქმის აღძვრა ქართველების გენოციდსა, ეთნიკურ წმენდასა და სხვა მასობრივ დანაშაულებში მონაწილე და ორგანიზატორი პირების მიმართ.

თ) (პარალელურად) რუსეთის მიერ საქართველოსთვის აფხაზეთში მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის განსაზღვრა და მისი ანაზღაურების ოფიციალური მოთხოვნა შესაბამისი პროცედურებით.

ი) (პარალელურად) დევნილ ქართველ მოსახლეობასთან, ლტოლვილ ქართველ და აფსუა („აფხაზ“) მოსახლეობასთან, აგრეთვე აფხაზეთში მყოფ ქართველ, აფსუა („აფხაზ“) და სხვა მოსახლეობასთან, მსოფლიოს მეცნიერულ და პოლიტიკურ წრეებთან შეძლებისდაგვარად ვრცელი კონსულტაციით იდეალურად სამართლიანი და მაქსიმალურად პერსპექტიული (სიცოცხლისუნარიანი) ფორმის განსაზღვრა აფხაზეთის სტატუსისთვის საქართველოს სახელმწიფოში და ამ განსაზღვრის მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ, როგორც საქართველოს კონსტიტუციის ნაწილისა. სტატუსის ეს განსაზღვრა შედგება ორი ელემენტისგან:

– აფხაზეთის, როგორც მთელისა და როგორც საქართველოს ნაწილის, უფლებრივი მიმართება საქართველოსთან, როგორც მთლიანთან, ანუ უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისის ნებასა და სოხუმის ნებას შორის

– აფხაზეთის შინაგანი პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოწყობის განსაზღვრა, ანუ იმ მექანიზმების (იმ უფლებრივი მიმართებების) განსაზღვრა, რომლითაც ფორმირდება სოხუმის ნება

საქართველოს სახელმწიფოს ყველა შემდგომი პრაქტიკული მოქმედება აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღსადგენად განიხილება, როგორც ხსენებული კონსტიტუციური ნორმის რეალიზაცია.

შენიშვნა. აფხაზეთის სიტუაციის დარეგულირებას იდეალურად სამართლიანი და რეალისტური გზის განსაზღვრა საქართველოს ძალუძს, ხოლო სეპარატისტებს არ ძალუძთ, რადგან მათ არ შეუძლიათ ხელის აღება ისეთ ანტიდემოკრატიულსა და ანტიჰუმანურ ზრახვებზე, როგორიცაა ლტოლვილთა არდაბრუნება და აფხაზეთში ეთნოკრატიის დამყარება. ამ უპირატესობის ქმედითი გამოყენება საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა.

კ) (პარალელურად) საქართველოს ხელისუფლება თავის უფლებად და თავის შეუვალ მოვალეობად უპირობოდ აცხადებს აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის სრულ აღდგენას, – ან ერთიანად აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, ან ნაწილ-ნაწილ, – ხოლო იმას, ეს აღდგენა მოხდება მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფსუა („აფხაზი“) ხალხის წარმომადგენლებს შორის თუ ძალის გამოყენებით, დამოკიდებულად თვლის მოვლენათა რეალურ განვითარებაზე. საქართველოს ხელისუფლებას მყარი ორიენტაცია აქვს აღებული პრობლემის გადაჭრაზე მშვიდობიანი გზით.

საქართველოს ხელისუფლების უფლებაა და შეუვალი მოვალეობაა აფხაზეთში ყველა დევნილისა და ლტოლვილის უპირობოდ დაბრუნება და მათი მორალური და მატერიალური ზარალის სრული კომპენსაცია. საქართველოს ხელისუფლება არ ცნობს არც ერთ ნასყიდობის დოკუმენტს და დასახლების ნებართვის მიცემის არც ერთ დოკუმენტს, რომელიც აფხაზეთის დღევანდელი დამნაშავე ხელისუფლების მიერ იქნა გაცემული აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ლ) იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელსამე ცალკე ნაწილ-

ში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა ხდება ძალის გამოყენებით, შესაბამის ტერიტორიაზე მდგომარეობის შემდგომი ნორმალიზაცია ხდება ნაბიჯთა შემდეგი თანმიმდევრობით:

— ინიშნება სამხედრო დროებითი ადმინისტრაცია

— ხდება ადგილობრივი კანონიერი მოსახლეობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის (ყველა დონის) არჩევა

— (პარალელურად) სამხედრო დროებითი ადმინისტრაციის დაცვით ბრუნდებიან დევნილნი და ლტოლვილნი და უპირობოდ იბრუნებენ თავის სახლებს და ქონებას

— დევნილთა და ლტოლვილთა ყოველი მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნების შემდეგ ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ხელახლა არჩევა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაბრუნებულთა უმრავლესობა თანახმაა არსებული თვითმმართველობის დარჩენისა)

— აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ან მის დიდ ნაწილში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენისა და დევნილთა და ლტოლვილთა დიდი ნაწილის დაბრუნების შემდეგ ხდება საქართველოს კონსტიტუციის და საარჩევნო კანონის შესაბამისად აფხაზეთის ხელისუფლების ფორმირება არჩევნებისა და კანონით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გზით. აფხაზეთის არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო იღებს აფხაზეთის კონსტიტუციას და სხვა კანონებს საარჩევნოს ჩათვლით, რის შემდეგაც ტარდება აფხაზეთის წარმომადგენლობითი ხელისუფლების ყველა დონის არჩევნები ამ კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

როგორც საარჩევნო პროცესებში, ისე ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნების პროცესში სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციათა და ქვეყანათა (მაგრამ არა მეზობელ ქვეყანათა) მიერ ქმედითი მონიტორინგის ჩატარება.

განყოფილება მესამე.

საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის იდეალურად სამართლიანი და სრულყოფილად პერსპექტიული განსაზღვრის პრინციპები

საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის იდეალურად სამართლიანი და პერსპექტიული (ანუ მთელი განჭვრეტადი მომავლისთვის გამოსადეგი) განსაზღვრა, რომელიც მიიღება საქართველოს პარლამენტის მიერ, როგორც საქართველოს კონსტიტუციის ნაწილი, მიზნად ისახავს

— საქართველოს სახელმწიფოს დაცვის, გაძლიერების, მისი მართვის მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფას

— საქართველოს ყველა მოქალაქისთვის მისი ყველა ფუნდამენტური ადამიანური ინტერესის, მათ შორის — მისი ეროვნული (ეთნიკური) ინტერესის დაკმაყოფილების თანასწორი პირობების შექმნას, ანუ ისეთი პირობებისა, რომელშიც ყველა ინდივიდს თანასწორი შესაძლებლობა ექნება, თავისი უნარი და ძალისხმევა მოახმაროს თავისი ერის სამარადისოდ დაცვისა და განვითარების საქმეს, და ყველას თანასწორად ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს თავის წინაპართა მიერ შექმნილი ეროვნული სპეციფიკური კულტურით. ამ მიზანში შედის ქართული და აფსუური („აფხაზური“) ეროვნების მოქალაქეებისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დამატებითი სპეციფიკური პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნაც და კანონმდებლობაში სპეციფიკური ნორმების არსებობაც, იქიდან გამომდინარე, რომ ქართული და აფსუური („აფხაზური“) ეროვნების პირთათვის მათი ერის მარადიულყოფისა და სრული მთლიანეროვნული თვითრეალიზაციის ერთადერთი ასპარეზი დედამიწაზე საქართველოს საზღვრებშია.

საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის იდეალურად სამართლიანი და პერსპექტიული განსაზღვრა შედგება ორი ელემენტისაგან:

— აფხაზეთის, როგორც მთელის, იმ ადგილის, როლისა და უფლებამოსილების განსაზღვრა, რომელიც მას მოუდის, როგორც საქართველოს ნაწილს.

— აფხაზეთის, როგორც მთელის, შინაგანი მოწყობის ფორმის განსაზღვრა იმგვარად, რომ სამართლიანად და ქმედითად იყოს დაცული როგორც საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი, ისე მისი მოსახლეობის ყველა ეროვნული ჯგუფის ყველა ინტერესი, მათ შორის — აფსუა („აფხაზი“) ხალხის ინტერესიც, რომ თავისი დღევანდელი სახლობის სივრცეში და მის გარეთ შექმნას და შეინარჩუნოს ობიექტური სამართლებრივი და ფაქტობრივი პირობები თავისი მარადიულყოფისა და შეუზღუდველი განვითარებისთვის.

1. აფხაზეთის სტატუსი საქართველოს სახელმწიფოში

აფხაზეთი არ არის საქართველოს მიერ (ისტორიულად — აღმოსავლეთ საქართველოს მიერ ან დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის მიერ) ოდესმე მიერთებული ან დაკავებული ტერიტორია. იგი დღეისთვის ცნობილი მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს ნაწილია. აფხაზეთის, როგორც პოლიტიკური ერთეულის („სოხუმის ოლქის“ სახელწოდებით) სტატუსი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში განსაზღვრულია, როგორც ავტონომია.

საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის სწორი (ანუ სამართლიანი და პერსპექტივაში სიცოცხლისუნარიანი) განსაზღვრა მიზნად გულისხმობს

— საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას

— აფხაზეთის ყველა კანონიერი მაცხოვრებლის კანონიერი ინტერესების დაცვას, მათ ეროვნულ (ეთნიკურ) ინტერესთა ჩათვლით

— აფსუა („აფხაზი“) ხალხისთვის, რომელსაც საქართველოს გარეთ სხვა სამშობლო და სხვა კომპაქტური დასახლების ტერიტორია არ მოეპოვება, იბიექტური პირობების უზრუნველყოფასა და დაცვას შეუზღუდველი ყოველმხრივი თვითრეალიზაციისა და განვითარებისთვის.

დღეს აფსუა („აფხაზი“) ხალხის შეუზღუდველი და ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ობიექტური პირობების შექმნა და შენარჩუნება საქართველოს სახელმწიფოს და აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ინტერესთა დაუზარალებლად შესაძლებელია ორი გზით:

პირველი. აფხაზეთი თავის დღევანდელ საზღვრებში (ანუ როგორც აფსუური („აფხაზური“), ისე ქართული დასახლების ტერიტორიათა მოცვით) ინარჩუნებს ავტონომიის სტატუსს („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის“ სახელწოდებით), რაც ლოგიკურად გულისხმობს, რომ ამ ერთობლივ პოლიტიკურ ერთეულში არ იმოქმედებს მხოლოდ აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნება, არამედ იმოქმედებს სხვა ნებაც (იხ. ზემოთ).

მეორე. ავტონომია, მაგრამ რადიკალურად გაძლიერებული ავტონომია ექნება აფხაზეთის, პრინციპში, მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელზეც არის კომპაქტური აფსუური („აფხაზური“) მოსახლეობა. ასეთ შემთხვევაში მას ვეღარ ერქმევა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“ (რადგან ეს გეოგრაფიულად და ეთნონიმურად არასწორი იქნება), არამედ ერქმევა „აფსუური ავტონომიური ოლქი“, „აფსუური ავტონომიური რესპუბლიკა“ ან სხვა რამ მსგავსი სახელი.

სავარაუდოა, რომ აფსუა („აფხაზი“) ხალხის სრული თვითრეალიზაციის ინტერესებისთვის პირველი, ტრადიციული ვარიანტი უმჯობესია.

აფხაზეთის აფსუურ („აფხაზურ“) მოსახლეობას ვერ ექნება იმის ამბიცია, რომ ერთპიროვნულად განსაზღვროს აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ბედი, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობა, მისი მართვა, მასზე მოქმედი კანონების რაგვარობა და ა.შ., ამ რიცხვში — იმ ტერიტორიებისაც, სადაც აფსუა („აფხაზ“) ხალხს არასოდეს უცხოვრია და სადაც ავტოხთონური ქართველი მოსახლეობა ყოველთვის ცხოვრობდა და ცხოვრობს (გალის რაიონი მთლიანად, დალის ხეობა) (ამ ტერიტორიების მოწყობისა და მართვის რაგვარობაზე აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობა ზემოქმედებას მოახდენს იმავე წესით, რასაც ყველა სხვა ამომრჩეველი, სახელდობრ, აფხაზეთის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილეობით). აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის სპეციფიკური სამართლიანი ამბიცია აფხაზეთის შინაგანი მოწყობის რაგვარობასთან დაკავშირებით ვრცელდება (და შეიძლება ვრცელდებოდეს) მხოლოდ შემდეგზე:

— დასახლების იმ სივრცის უპრობლემოდ (ანუ მისი შეზღუდვის შიშის გარეშე) შენარჩუნებაზე აწ და მარადის, სადაც იგი რეალურად ცხოვრობს (სახელდობრ, კომპაქტურად ცხოვრობს, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, საუკუნეთა მანძილზე. ესაა გუდაუთის რაიონის და ოჩამჩირის რაიონის დიდი ნაწილი და ამ ტერიტორიის მიმდგომი, დღესდღეობით დაუსახლებელი ტერიტორიები ზემოთ, კავკასიონისკენ). აფსუურ („აფხაზურ“) მოსახლეობას უნდა ჰქონდეს უშიშარი პერსპექტივა ამ ტერიტორიის გამოყენებით შეუზღუდველი გამრავლებისა და თავის რჩენის მატერიალური ბაზის ქონისა

— ყოველმხრივი, მათ შორის — ეროვნული თვითრეალიზაციის პრაქტიკულ შესაძლებლობებზე ყველგან აფხაზეთში და დანარჩენ საქართველოში და სათანადო პირობების გარანტიაზე. ესაა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებადი ყველა დონე განათლებისა აფსუურ („აფხაზურ“) ენაზე, ყველა სახის კულტურული დაწესებულებები, სამართალწარმოებაში აფსუური („აფხაზური“) ენის გამოყენება და ა.შ.

— ეროვნული — არა მხოლოდ კულტურული, არამედ აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური განვითარების (ანუ საკუთარი ეროვნული მენტალიტეტის შესაბამისი თანამედროვე საზოგადოების შენების) ობიექტური პირობების ქონაზე. სახელდობრ, აფხაზეთის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს და მთავრობას უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობების რეგულირების სფეროში (ოჯახი, ქორწინება, გაყრა, ღირსება, შეურაცხყოფა და ა.შ.) მიიღონ აფსუური („აფხაზური“) კომპაქტური დასახლების რაიონებისთვის ან მთლიანად აფხაზეთისთვის იმგვარი კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება აფსუური („აფხაზური“) ტრადიციული მენტალიტეტის სპეციფიკა.

აფხაზეთის, როგორც მთელის, სტატუსს საქართველოს სახელმწიფოში ეხება ერთის მხრივ, თითქოს, შედარებით წვრილმანი, მაგრამ რეალურად პრინციპული და ფსიქოლოგიურად უმნიშვნელოვანესი სფერო — სიმბოლური ინტერესების სფერო. აქ პრინციპული საკითხია: რატომ არის საჭირო (ან: მიზანშეწონილი, აუცილებელი, დასაშვები, „სამწუხაროდ აუცილებელი“ და ა.შ.) აფხაზეთში, რომელშიც ე.წ. „სატიტულო“ მოსახლეობას ქართველები და აფსუები წარმოადგენენ, ქართული კულტურულ-პოლიტიკური ინვენტარის (მაგ. წარწერების ენა, ქართული სკოლა და ბიბლიოთეკა...) არსებობა, ერთის მხრივ, და აფსუურისა („აფხაზურისა“) — მეორეს მხრივ. ამ კითხვისთვის შესაძლებელია ორი პასუხი, ერთიმეორესთან სავსებით შეთავსებადი. **პირველი:** „იმიტომ, რომ აფსუა („აფხაზმა“) ბერიკაცმა და ბავშვმა გენწვისში (სადაც ქართველების გარდა არავინ ცხოვრობს) ან ქართველმა ბერიკაცმა და ბავშვმა ლიხნში (სადაც აფსუების (აფხაზების“) გარდა არავინ ცხოვრობს) დამოუკიდებლად წაიკითხოს წარწერა „შესვლა აკრძალულია“ თავის დედაენაზე. ანუ: წარწერები ქართულ (ან: აფსუურ („აფხაზურ“) ენაზე ემსახურება შესაბამისი მოსახლეობის კომფორტს“. მეორე: „იმიტომ, რომ ქართველმა (ან: აფსუამ („აფხაზმა“) თვალნათლივ დაინახოს, რომ მისი ხალხი ამ ტერიტორიის (ლიხნი, გენწვიში და ა.შ.) უფლებამოსილ ბატონ-პატრონად (არა ერთადერთ ბატონ-პატრონად, მაგრამ მაინც ბატონ-პატრონად) აღიარებულია მთელ აფხაზეთში, ამ კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტის ჩათვლით. ანუ: წარწერები ჩემს ენაზე სიმბოლოა, ნიშანია, აღიარებაა იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე ჩემი ხალხიც უფლებამოსილია, თავისი პოლიტიკური ნება იქონიოს და თავისი თავის ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა ყველანაირი თვითდამკვიდრება მოახდინოს, როგორც თავის სამშობლოში“. პირველი მოტივი უფრო თვალსაჩინოა, მეორე — უფრო ღრმა და პოლიტიკური ქმედებისთვის უფრო მასტიმულირებელი. თუ მეორე მოტივი მხედველობაში არ მიიღება, მაშინ აფხაზეთში კომპაქტური ქართული დასახლების ტერიტორიების მოწყობის მიმართ აფხაზეთის სხვა ნაწილთა აფსუა („აფხაზ“) მოსახლეობას ვერანაირი სამართლიანი პრეტენზია ვერ ექნება (და პირიქით): ეს არის მიწა-წყალი, რომელზეც აფსუა („აფხაზ“) ხალხს არასოდეს უცხოვრია და რომელზეც დღეს არანაირი ბაზა არ გააჩნია. თუ აფსუა („აფხაზ“) ხალხს ჰსურს, რომ ამ ტერიტორიაზე მისი რეალური და სიმბოლური სპეციფიკურად ეროვნული ინტერესების ანგარიშგაწევა ხდებოდეს (რაც სავსებით ბუნებრივი სურვილია), მაგალითად, სავალდებულო იყოს რკინიგზის სადგურის წარწერები ან სკოლის ბუფეტის წარწერები აფსუურ („აფხაზურ“) ენაზე იქაც, სადაც მხოლოდ ქართველი მოსახლეობაა, მაშინ მას თავისი სურვილისთვის აუცილებლად ეს მოტივაცია უნდა ჰქონდეს: „მე უნდა ვხედავდე, რომ მიწა, სადაც ამ წუთში ვდგავარ, ჩემი და შენი, ქართველო, ერთობლივი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის, აფხაზეთის ნაწილია, და არა მხოლოდ შენის“, რაზეც ქართველი უპასუხებს: „დიახ, ასეა. და სწორედ იმიტომ, რომ ეს ასეა, აფხაზეთი ვერ იქნება ერთპიროვნულად აფსუური („აფხაზური“) სახელმწიფო; სწორედ ამიტომაა, რომ ამ მიწა-წყლის ბედის განსაზღვრაში მე და შენ აბსოლუტურად თანასწორი ხმის უფლება გვაქვს“. აფსუა („აფხაზი“) ეროვნების ადამიანთა დიდი ნაწილის ზემოხსენებული სურვილი, რომ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, ამა თუ იმ ზომით და ამა თუ იმ ფორმით, ხორციელდებოდეს, ამა თუ იმ კომბინაციაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნებასთან და აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ნებასთან, მისი სპეციფიკური ნებაც, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები

შეთანხმებულნი არიან იმაზე, რომ აფხაზეთი მთლიანობაში, როგორც ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული, ქართველი და აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ერთობლივი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულია, რომელშიც ერთი ქართველი მაცხოვრებლის და ერთი აფსუა („აფხაზი“) მაცხოვრებლის აზრს (ხმას) ერთი და იგივე გავლენისუნარიანობა აქვს.

2. აფხაზეთის შინაგანი მოწყობის პრინციპები

გამოთქმულ კითხვას „ვისია აფხაზეთი?“ აფხაზეთში არსებული პრობლემის ვერც ერთი სერიოზული ცდა ვერ გაექცევა. აფსუა („აფხაზ“) სეპარატისტებს ამ კითხვის ცალსახა პასუხი აქვთ: „რა თქმა უნდა, აფხაზების (იგულისხმება: აფსუების)“. ეს პასუხი მიულებელია, ვინაიდან აფხაზეთს ჰყავს სხვა ე.წ. სატიტულო მოსახლეობაც, სახელდობრ, ქართველი მოსახლეობა და ეს მოსახლეობა თავისი ეროვნული კუთვნილობით ავტოხთონურია (ამაზე ლაპარაკი გვქონდა ზემოთ). ერთი აფსუა („აფხაზი“) მაცხოვრებლის ხმას, როგორც ვთქვით, ვერ ექნება მეტი წონა აფხაზეთის მართვაში და მისი ბედის გადაწყვეტაში, ვიდრე ერთი ქართველის ხმას (საწინააღმდეგოს მტკიცება აბსურდია). ამგვარად, მივდივართ ფორმულირებამდე, რომ აფხაზეთი აფსუებისა („აფხაზებისა“) და აფხაზეთელი ქართველებისაა ან: აფხაზეთელი ქართველების და აფსუებისაა („აფხაზებისაა“). მაგრამ, გარდა ამ ორისა, აფხაზეთი ეკუთვნის ქართველ ერსაც მის ერთიანობაში, იგი ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორიაა (მისი კუთვნილია ყოველგვარი მიგრაციის გარეშე), მისი ყოფნა თუ არყოფნა საქართველოს შემადგენლობაში ღრმა გავლენას ახდენს ყველა ქართველის ცნობიერებაზეც და პრაქტიკულ ინტერესებზეც. ამგვარად, მივდივართ ფორმულირებამდე: „აფხაზეთი არის აფსუების („აფხაზებისა“), აფხაზეთელი ქართველებისა და ქართველი ხალხისა მის მთლიანობაში“. ამ სამი პრეტენდენტიდან, რომ აფხაზეთი „მისი“ იყოს, მესამეს – ქართველ ერს მის მთლიანობაში – ასახიერებს საქართველოს სახელმწიფო თავისი ცენტრალური ხელისუფლებითურთ, რომელსაც (ამ ხელისუფლებას) ეკუთვნის გარკვეული უფლებამოსილებები აფხაზეთის მართვაში. მაგრამ როგორ – რა იურიდიული ფორმით – ხორციელდება ის, რომ აფხაზეთი აფსუებისაა („აფხაზებისაა“) და აფხაზეთელი ქართველებისაა? საამისოდ საყოველთაოდ მიღებული იურიდიული ფორმა არის ის, რომ აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობაც და ქართველი მოსახლეობაც ერთობლივად ირჩევენ აფხაზეთის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს, ანუ მას ანდობენ ყველა არსებითი საკითხის გადაჭრას. მაგრამ აფხაზეთში დღევანდელ პირობებში და განჭვრეტად მომავალში ეს იურიდიული მექანიზმი საკმარისი არ არის: მხოლოდ ამ მექანიზმის მოქმედება სხვა მექანიზმთა დაუხმარებლად გამოიწვევს მუდმივ შინაგან ძაბვას ქართველ და აფსუა („აფხაზ“) ამომრჩევლებს შორისაც და დეპუტატებს შორისაც. სახელდობრ, ბრძოლა იქნება რიცხობრივი უპირატესობისათვის იმ ორგანოში, რომელიც ყველაფერს წყვეტს, ხოლო იმ საკანონმდებლო ორგანოს შიგნით დეპუტატთა ხმები დანაწილდება ეროვნული ჯგუფობრიობის მიხედვით და არა განსახილველი კონკრეტული საკითხებისადმი არგუმენტირებული დამოკიდებულების მიხედვით (ქართული მოსახლეობის დეპუტატებს მოვლენათა ბუნებრივი მიმდინარეობის შემთხვევაში ექნებათ რიცხობრივი უპირატესობა აფსუა („აფხაზ“) დეპუტატებთან, ხოლო ამ უკანასკნელთ არაქართველ და არააფსუა („არააფხაზ“) დეპუტატებთან ერთად არჩევნების მცირედი მანიპულირების შემთხვევაში – ქართველ დეპუტატებთან). ამიტომ აფხაზეთის შინაგან მოწყობაში ზემოხსენებულ ზოგადდემოკრატიულ მექანიზმთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნას სხვა მექანიზმიც, სახელდობრ, ისეთი, რომელიც ქმედითს გახდის (დადებითი მიმართულებით) თემური სოლიდარობის ფაქტორს. აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლება არ უნდა იყოს ყოვლისშემძლე თავის ურთიერთობაში აფხაზეთის კონკრეტულ თემებთან (რაიონებთან), არამედ მათი უფლება-მოვალეობები ერთმანეთის მიმართ რაც შეიძლება დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული აფხაზეთის კონსტიტუციით. თემთა (რაიონთა) უფლებები აფხაზეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში უნდა იყოს საკმარისად ფართო, რათა მათ შეძლონ ისეთი ღონისძიებების არდაშვება თავის ტერიტორიაზეც და ზოგადად, მთელ აფხაზეთშიც, რომლებიც მათს თემურ ინტერესებს ან მათი მოსახლეობის მენტალიტეტს ეწინააღმდეგება. დასაშვებია და მიზანშეწონილია, რომ კანონი (კონსტიტუცია) მათი საკუთარი ნების უფლებრივ მიმართებას აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების ნებასთან განსაზღვრავდეს იმის მიხედვით, რა კონკრეტული მიზნები და ამოცანები დგას ამ თემის წინაშე. მაგალითად, არც ერთი თემის (რაიონის) მოსახლეობას, გარდა აფსუური („აფხაზური“) კომპაქტური დასახლების თემებისა (გუდაუთისა და ოჩამჩირისა), არა აქვს პრობლემა, რომ შეზღუდოს თავის ტერიტორიაზე იმიგრაცია სხვა რაიონებიდან, შესაბამისად, ამ ორი თემის ადმინისტრაციას კანონი უფრო ფართო უფლებებს უნდა აძლევდეს ამ კონტროლის განსახორციელებლად, ვიდრე სხვა თემებში (ამაზე უფრო ვრცლად – ქვემოთ).

რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის გარეშე რაიონის ტერიტორიის გამოყენების უფლება მშენებლობისთვის, მინერალური ნედლეულის მოპოვებისთვის, სათავდაცვო, ეკოლოგიური, ეკონომიკური, დემოგრაფიული ან სხვა ნებისმიერი მიზნებისათვის აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას და საქართველოს პრეზიდენტს, ისიც – მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი გამჭვირვალე მოტივაციის შემთხვევაში.

ამგვარად, თუ საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთის – შინაგანი მოწყობის რეალისტურად განსაზღვრა გვინდა, ეს მოწყობა უნდა დავამყაროთ მოსახლეობის მორალური, სოციალური და პოლიტიკური ჯგუფური თვითიდენტიფიკაციის ძირითად რეალურ ერთეულზე – თემზე (community, Община). აფხაზეთის მოსახლეობა თავის მორალურსა და პოლიტიკურ აზროვნებაში თავისთავს ყოფს ეთნიკურ თემებად, იგი თავის პრაქტიკულ ინტერესებსაც და მორალურ ვალდებულებებსაც ამ თემების მიხედვით საზღვრავს. ყველაზე მკაფიოდ გამოხატულია (და, სამწუხაროდ, ერთიმეორისადმი დაპირისპირებულია) ქართული და აფსუური („აფხაზური“) თემი, რომლებიც გეოგრაფიულად გაყოფილნი არიან: ერთი შედგება (ძირითადად) გალისა, დალის ხეობისა და გაგრის ზონებისაგან (გაგრაში, უფრო, შერეული დემოგრაფიული სიტუაციაა). ეს ქართული თემებია. მეორე შედგება (ძირითადად) გუდაუთისა და ოჩამჩირის ზონებისაგან. ეს აფსუური („აფხაზური“) თემია. პირდაპირსა და უშუალო კონტაქტში ეს თემები არიან სოხუმში და რამდენსამე სხვა ადგილას. დასახელებული ადგილები საყრდენია, „ციხესიმაგრეა“ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის მდგომარეობისათვის, ერთის მხრივ, და აფსუური („აფხაზური“) მოსახლეობის მდგომარეობისთვის – მეორეს მხრივ. თუ გვინდა, რომ ორივე ეს მოსახლეობა მშვიდად (უშიშრად) იყოს, ეს საყრდენები უნდა მყარი იყოს, ანუ აფხაზეთის ცენტრალურ ხელისულებას, რაგინდარა ბოროტი ნების შემთხვევაში, არ უნდა შეეძლოს მათი ხელყოფა – ვთქვათ, გალისა და დალის ხეობისა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოინდომა უზენაესი საბჭოს არაქართულმა უმრავლესობამ, და გუდაუთისა და ოჩამჩირისა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოინდომა უზენაესი საბჭოს ქართველმა უმრავლესობამ. აფხაზეთის რაიონთა (მათი თვითმმართველობისა და მოსახლეობის) უფლებები აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე მკაფიოდ და ფართოდ უნდა იყოს განსაზღვრული აფხაზეთის კონსტიტუციაშიც და საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლებშიც, რომლებიც აფხაზეთს ეხება.

რაიონების უფლებები აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე ეხება ამ უკანასკნელის უფლებამოსილებათა საზღვრებს მათი ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და რეგულირებაში (ტყე, მყავე წყლები, საკურორტო შესაძლებლობანი და სხვა), მათი მრეწველობის მართვაში, მათ ტერიტორიაზე მშენებლობაში და ა.შ. რაიონისა და აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების დავას ხსენებული კომპეტენციების შესახებ იხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

ამგვარად, აფხაზეთის შინაგან მოწყობას ერთგვარი ფედერალურობის სახე აქვს. აფხაზეთის ძირითადი ეთნიკური თემები – ქართველი მოსახლეობა და აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობა – წინასწარი ურთიერთშეთანხმებით (და, იგულისხმება, აფხაზეთში მოსახლე სხვა მოქალაქეთა ნების გათვალისწინებით) წყვეტენ, თავისთვის მნიშვნელოვანი რომელი და რომელი პრობლემების რეგულირების (გაძღოლის) უფლებამოსილება დაუთმონ (მიანდონ) აფხაზეთის ცენტრალურ ხელისუფლებას, რა ფორმით, რა ზომით და კონტროლის რა გარანტიებით. ეს შეთანხმება ფიქსირდება აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამის მუხლთა ტექსტის სახით. ეს პუნქტი – აფხაზეთში ცენტრალური ხელისუფლებისა და რაიონების უფლებამოსილებათა განსაზღვრა და ურთიერთგამიჯვნა – ერთი იმ პუნქტთაგანია, რომელიც, – თუ გვინდა, რომ მომავალმა აფხაზეთის კონსტიტუციამ იმუშაოს, – ყველაზე უფრო მკაცრი აუცილებლობით მოითხოვს წინასწარ კონსულტაციასა და შეთანხმებას აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის (ამჟამად დევნილის) და აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ავტორიტეტულ წარმომადგენლობებს შორის.

იმისათვის, რომ აფხაზეთის ესოდენ ელასტიური და ამავე დროს ქმედითი შინაგანი ორგანიზაცია არ შეიცავდეს რაიმე საშიშროებას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ქმედუნარიანობისთვის აფხაზეთში, აუცილებელია და საკმარისი ორი პირობა:

პირველი: რაიონსა და ცენტრს („სოხუმს“) შორის წამოჭრილ დავათა საბოლოო განხილვა უნდა ხდებოდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

მეორე: საქართველოს კონსტიტუციაში უნდა იყოს ნათქვამი, რომ რაიონის ნებართვის გარეშე მისი ტერიტორიის გამოყენების უფლება მშენებლობისათვის, მინერალური ნედლეულის მოპოვებისათვის, სათავდაცვო, ეკოლოგიური, ეკონომიკური, დემოგრაფიული ან სხვა ნებისმიერი მიზნისათვის აქვს მხოლოდ საქართველოს პარლამენტს და საქართველოს პრეზიდენტს – ისიც სრული და ამომწურავი, ოფიციალურად გამოქვეყნებული მოტივაციით (სათავდაცვოს გარდა).

3. უფლებამოსილებათა განაწილების პრინციპები

უფლებრივი მიმართებები, რომლებიც უნდა განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის დამდგენ იდეალურად სამართლიანსა და პერსპექტიულ დოკუმენტში, მდგომარეობს ფუნქციათა და უფლებამოსილებათა იდენტიფიკაციასა და გამიჯვნაში ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა („თბილისს“) და აფხაზეთის ცენტრალურ ხელისუფლებას („სოხუმს“) შორის, მეორეს მხრივ აფხაზეთის ცენტრალურ ხელისუფლებასა („სოხუმსა“) და აფხაზეთისავე რომელიმე ადმინისტრაციულად გამოყოფილ ერთეულს (რაიონს) – „გალს“, „დალის ხეობას“, „გუდაუთასა“, „ოჩამჩირეს“ და ა.შ. – შორის. ამ უფლებამოსილებათა სასურველი სრული რუკის წინასწარ (უერთიერთმოლაპარაკებამდე) შედგენა შეუძლებელია, რადგან ამ სფეროში არის მრავალი კონკრეტული საკითხი, მათ შორის – მსხვილი საკითხიც, რომლის გადაჭრას (ხაზს ვუსვამთ: გადაჭრას და არა არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ჩამოთვლას) სჭირდება წინასწარ შეთანხმება მხარეებს შორის და რომლის გადაჭრასაც ფასი (ანუ მხარეთა მიერ რეალურად აღიარების პერსპექტივა) მხოლოდ ასეთი წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში აქვს. მაგრამ ზოგადი პრინციპების მოხაზვა და მათი გარკვეულ ზომამდე დაკონკრეტებაც შესაძლებელია. ქვემოთ წარმოვადგენთ (ერთერთი შესაძლო ვარიანტის სახით) ამ პრინციპებს, როგორც „თბილისის“ და „სოხუმის“, ისე „სოხუმისა“ და „რაიონის“ უფლებამოსილებათა გამიჯვნისათვის.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების („თბილისის“) და აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების („სოხუმის“) უფლებამოსილებათა გამიჯვნა

გამიჯვნის პრინციპი სხვა ვერა იქნება რა, თუ არა შემდეგი: ყველა მმართველობითი ფუნქცია და, შესაბამისად, ყველა უფლებამოსილება, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით მოითხოვს ერთ ხელში თავმოყრას, უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ხელში. ასეთ ფუნქციათა და შესაბამის უფლებამოსილებათა ჩამონათვალი არის და ყოველთვის დარჩება ღია, ვინაიდან ყოველთვის შესაძლებელია და მოსალოდნელია მოვლენათა რეალურმა განვითარებამ (პოლიტიკურმა, ტექნოლოგიურმა, სტრატეგიულმა და სხვამ) შექმნას ან გამოავლინოს ახალი მმართველობითი ფუნქცია, რომელიც მმართველობით ფუნქციათა ამ კლასს ეკუთვნის. ასეთი ფუნქცია, ბუნებრივია, მოექცევა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ექსკლუზიური (ერთპიროვნული) უფლებამოსილებების რიცხვში.

დავასახელებთ ასეთ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთპიროვნულ კომპეტენციაში მყოფ ფუნქციათა და უფლებამოსილებათა მაგალითებს.

1. საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ყოფნა და საერთაშორისო სახელმწიფოებრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების, საქართველოს სახელით ვალდებულებების აღებისა და განცხადებების გაკეთების უფლება

2. საქართველოს საზღვრის დადგენა და დაცვა, ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის დაცვა

და კონტროლი.

3. თავდაცვა და უშიშროება, შეიარაღებული ძალების, უშიშროების ძალების, შინაგანი ჯარისა და ნებისმიერი სახის შეიარაღებული ფორმირებების შექმნა წესრიგის დაცვის პოლიციის გარდა: შეიარაღების წარმოება და იარაღით ვაჭრობა.

4. მოქალაქეობის ინსტიტუტის ქონა; მოქალაქეობის მიცემა და ჩამორთმევა

5. ომის გამოცხადება და ზავის დადება; საომარი და საგანგებო მდგომარეობის შემოღება და გაუქმება

6. სახელმწიფო ფინანსები, ფულის ნიშნების ემისია, საგარეო ვალის აღება და მისი მომსახურება

7. ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და განკარგვის სტრატეგიის განსაზღვრა

8. სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის და ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ობიექტების ფუნქციონირების, განკარგვის, მშენებლობისა და განვითარების სტრატეგიის, აგრეთვე უცხო ინვესტიციათა დაშვების სტატეგიის განსაზღვრა

9. სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის აუცილებელ ნავსადგურთა, აეროდრომთა, რკინიგზათა, საავტომობილო გზათა ფლობა, მართვა და განკარგვა. მათი შექმნისა და განვითარების სტრატეგიის, აგრეთვე უცხო ინვესტიციათა მიღების სტრატეგიის განსაზღვრა

10. სანიტარული კორდონის, სავიზო რეჟიმის, იმიგრაციის კონტროლი

11. შეწყალება და ამნისტირება

და სხვა.

ფუნქციათა და უფლებამოსილებათა ამ კლასის გარდა, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების („თბილისის“) ერთპიროვნულ კომპეტენციაში უნდა იყონ, განსაზღვრული უნდა იყოს მათი ის კლასიც, რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ხელისუფლების („თბილისისა“ და „სოხუმის“) ერთობლივ კომპეტენციაში შედის, მაგრამ კანონმდებელი უნდა ეცადოს, რომ ეს კლასი შეძლებისდაგვარად მცირე იყოს, რადგან ორი სხვადასხვა ნების გადაკვეთა ერთსა და იმავე სფეროში („თბილისის“ ნებისა და „სოხუმის“ ნებისა) იწვევს დროის მანძილზე გაღრმავებად კონფლიქტს მათ შორის და, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის და „ცენტრის“ ფსიქოლოგიურ ურთიერთგამიჯვნას და ურთიერდაპირისპირებას. მაგალითად, იმის თქმას, რომ საავტომობილო გზათა მშენებლობა ორივეს ერთობლივ კომპეტენციაშია – ცენტრი ზრუნავს საერთო „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“ გზებზე, აფხაზეთის ხელისუფლება კი „ადგილობრივი მნიშვნელობისაზე“ – ბევრად ჯობია იმის თქმა, რომ ცენტრი აშენებს იმ გზებს, რომელსაც თვითონ საჭიროდ თვლის, და ასევე იქცევა აფხაზეთის ხელისუფლებაც, მაგრამ ცენტრი კონტროლს უწევს აფხაზეთის ხელისუფლების მიერ გზათა მშენებლობას ზოგადსახელმწიფოებრივი სტრატეგიის თვალსაზრისით, მაგალითად, არ იძლევა უფლებას გზატკეცილის გასაყვანად კავკასიონის ამა თუ იმ უღელტეხილამდე, რომლის გადაღმა მხარესაც საქართველოზე დარტყმისათვის მომზადებული რუსული გზატკეცილი ამოდის.

ამგვარ „ერთობლივ კომპეტენციას“ მიკუთვნებულ ფუნქციათა და უფლებამოსილებათა რაოდენობა დიდია. სასურველია, რომ ყველა ამ უფლებამოსილებისათვის კანონში მითითებული იყოს, რომელ მხარეს ეკუთვნის ინიციატივა და რომელს – კონტროლი. მაგალითად, ახალი ტოპონიმების შემოღება არ შეიძლება არ კონტროლდებოდეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აფხაზეთში ტოპონიმების დარქმევის ინიციატივა მოდიოდეს მხოლოდ ცენტრიდან, ადგილობრივ საზოგადოებას კი არ ჰქონდეს უფლება დაარქვას ამა და ამ გეოგრაფიულ პუნქტს ნებისმიერი სახელი, რომელიც არ ქმნის კონფლიქტს სახელმწიფოს ზოგად კურსსა და იდეოლოგიასთან.

„თბილისისა“ და „სოხუმის“ ერთობლივ კომპეტენციაში შესაყვანი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მაგალითად (მხოლოდ მაგალითად და არა სრულ ჩამონათვალად) შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი:

– განათლება

განათლების სისტემის მმართველთა შორის აფხაზეთში უნდა იყონ ისეთი პირები, რომელნიც კომპეტენტურნი იქნებიან აფხაზური ენისა (სალიტერატურო ენისა) და კულტურის რეალურ მდგომარეობაში და მისგან გამომდინარე ამოცანებში, აფსუა („აფხაზი“) საზოგადოების მენტალიტეტის რეალურ სადღეისო მდგომარეობაში, მის მიერ ისტორიისა და საკუთარი ეროვნული ამოცანების ხედვაში და მათ უნდა ჰქონდეთ სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახემლმძღვანელოების შექმნასა და შემოღებაში ინიციატივის კომპეტენცია. მაგრამ ამ ინიციატივას ესაჭიროება კონტროლი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რათა არ წარმოიშვას შეურიგებელი შინაარსობრივი წინააღმდეგობა ერთის მხრივ აფხაზეთში მიღებულ პროგრამებსა და სახელმღვანელოებსა და მეორეს მხრივ დანარჩენ საქართველოში მიღებულ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს შორის.

– სიმბოლიკა (დროშა, ალამი, ჰიმნი); აფხაზეთის ტერიტორიის ადმინისტრაციული საზღვრები; აფხაზეთის ოფიციალური სახელი (ეს ინსტიტუციური საკითხებია). ეს სფერო პირდაპირ კავშირშია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის რაგვარობასთან, ამიტომ აღნიშნულ საკითხებზე პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღება (ანუ ისეთებისა, რომელიც ეხება რაღაცა ნაბიჯის გადადგმას და არა აღკვეთას, რაღაცა ახალი ინსტიტუტის შექმნას და არა გაუქმებას), უნდა ხდებოდეს აფხაზეთის ხელისუფლების ინიციატივით, მაგრამ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასტურით.

– ჯანდაცვა

ნორმალურ პირობებში, ანუ როცა ცენტრი არ მოელის ავტონომიისგან პირდაპირ მტრულ ქმედებას და საქმის დივერსიას, ან პირუკუ, ბუნებრივია ამ დარგში ორგანულად შეწყობილი თანამშრომლობა მათ შორის. მაგრამ თუ პირობები განსაკუთრებულია, – მაგალითად, ცენტრი მოელის მიზანმიმართულ დივერსიას, ვთქვათ, ვიღაცისათვის მედდახმარების არმიწოდებას, მაშინ ცენტრს უნდა ჰქონდეს უფლება, ეს მომსახურება თვითონ გაწიოს ან პირუკუ. მან დროებით უნდა ჩამოართვას ავტონომიის ჯანდაცვის ორგანოებს მოცემული საქმე და იგი თავის ხელში უნდა აიღოს. იგივე ითქმის წესრიგის დაცვის სამსახურებზე (კრიმინალური პოლიცია, როგორც ვთქვით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში უნდა შედიოდეს).

ერთობლივი კომპეტენციის მომთხოვნ ფუნქციათა და უფლებამოსილებათა მაგალითების დასახელებას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ეს ჩამონათვალიც, ისევე როგორც ცენტრის ერთპიროვნულ კომპეტენციაში მყოფი ფუნქციებისა, ღიაა: ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს, რომ აფხაზეთის ხელისუფლების („სოხუმის“) კომპეტენციაში შემავალი ესა თუ ის ფუნქცია მოითხოვს ერთობლივთა რიცხვში გადაყვანას ან პირიქით, იმისდა მიხედვით, თუ საით წავა დროის მოცემულ მონაკვეთში პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ამინდის ევოლუცია.

აფხაზეთის ხელისუფლების („სოხუმის“) ერთპიროვნულ კომპეტენციაში ბუნებრივია შედიოდეს ყველა ისეთი ფუქციები, რომლებიც ეხება შინაგან რეგულირებას და რომელთა შესრულების ხარისხი და მიმართულება არ ახდენს და ვერ მოახდენს მნიშვნელოვან სახიფათო ზეგავლენას საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე (ვთქვათ, ქალაქმშენებლობა, საკურორტო მრეწველობის განვითარება, სპორტის განვითარება და ა. შ.) (იგულისხმება, კაცობრიობის მდიდარი გამოცდილებით, რომ ამგვარი ფუნქციები უკეთ სრულდება ცენტრის მონაწილეობის გარეშე, ვიდრე მასთან ერთობლივად). ასეთ სფეროში აფხაზეთის ხელისუფლების თანამშრომლობას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ვერ ექნება სავალდებულო ხასიათი, არამედ იგი იქნება მხოლოდ ნებაყოფლობითი. მეორე პრინციპად უნდა აღებულ იქნას ის, რომ რომელიმე სახის ეკონომიკური აქტივობისაგან მიღებული და მისაღები შემოსავლების არაპროპორციულად დიდი მოცულობა (ვთქვათ, ტურიზმისა) ვერ გახდება და ვერ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ ეკონომიკის ეს დარგი აფხაზეთის ერთპიროვნული კომპეტენციიდან გადაყვანილ იქნას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ხელისუფლების ერთობლივ კომპეტენციაში, ან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთპიროვნულ კომპეტენციაში (სხვა სიტყვით რომ ვთქვათ; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამდიდრების შეზღუდვა დაუშვებელია).

აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის სხვადასხვა თემების (რაიონების) კომპეტენციაზე და მათი არაადექვატური გამიჯვნით განპირობებულ საშიშროებებზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ცენტრალური ორგანოების (უზენაესი საბჭოს და მთავრობის) ყოვლისშემძლეობამ შესაძლებელია (და მოსალოდნელია) არაერთხელ აცდუნოს დღეს, სამწუხაროდ, დაპირისპირებული ეროვნული ჯგუფები, რომ გაათკეცებული ენერგიით ეცადონ ამ ცენტრალურ ორგანოებში რიცხობრივი უპირატესობს მოპოვებას, რათა მისი გამოყენებით მოახდინონ მოპირისპირე თემის შეზღუდვა და დათრგუნვა. ეს რომ ვერ მოხდეს, საჭიროა ორგვარი იურიდიული მექანიზმის შემოღება:

პირველი; როგორც უკვე ითქვა ზემოთ, კანონმა უფლება უნდა მისცეს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ყველა ცალკეულ შემთხვევაში თავის ხელში აიღოს – დროებით – აფხაზეთში არსებული იმ საქმის რეგულირება (წარმართვა), რომელშიც იგი აფხაზეთის ხელისუფლების მიზანმიმართულ საბოტაჟურ მოქმედებას აღმოაჩენს.

მეორე; აფხაზეთის უზანაეს საბჭოსთან უნდა იყოს კანონის მიერ დიდი უფლებამოსილებით აღჭურვილი რაიონთა საბჭო, რომელიც შემდგარი იქნება რაიონთა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. ამის ანალოგია შეგვიძლია დავინახოთ გერმანიის ბუნდესრათში, რომელიც ლანდების („ქვეყნების“) აღმასრულებელ ხელისუფლებათა მაღალი წარმომადგენლებისაგან შედგება.

ეს ორი სამართლებრივი ხერხი საკმარისი იქნება, რათა შესაძლებელი გახდეს აფხაზეთის რეალობაში ეროვნული ჯგუფის ინტერესის დაცვა თემის (რაიონის ან რაიონების) დონეზე.

გამიჯნულ უფლებამოსილებათა მოქმედება აფხაზეთის სხვადასხვაგვარ (ქართველი მოსახლეობის, აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის, სხვა და შერეული მოსახლეობის მყოლ) ტერიტორიებზე რამდენსამე პრინციპულ (და ამასთანავე, იდეოლოგიურ) საკითხს ბადებს. სახელდობრ, შემდეგს:

ის, თუ რატომ არის საჭირო, რომ აფსუების („აფხაზების“) კომპაქტური სახლობის სივრცეში საჯარო წარწერები იყოს ქართულ და აფსუურ („აფხაზურ“) ენაზე, გასაგებია: ქართული უნდა იყოს იმიტომ, რომ ეს სახელმწიფო საქართველოა, აფსუური („აფხაზური“) კი იმიტომ, რომ ეს სწორედ ის ტერიტორიაა, აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს სწორედ ის ნაწილია, რომელიც აფსუა („აფხაზი“) ხალხის მარადიული ცხოვრებისა და ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ასპარეზად იგულისხმება. ისიც ნათელია, რომ იქ, სადაც შერეული ქართული და აფსუური („აფხაზური“) მოსახლეობაა, წარწერები ასევე უნდა იყოს მოთავსებული. მაგრამ უნდა იყოს თუ არა აფსუური წარწერები გალში ან გენწვისში (დალის ხეობა), სადაც არც ერთი აფსუა („აფხაზი“) არ ცხოვრობს, არ უცხოვრია და სადაც არც ერთის მოსვლა, თუ არ იშვიათ შემთხვევაში, არ იგულისხმება? პასუხია ან „არა“, ან „დიახ“, რომელსაც აუცილებლად თავისი მოტივაცია ახლავს: დიახ იმიტომ, რომ აფსუა („აფხაზი“) ხალხის ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ასპარეზი მთელი აფხაზეთია. მაგრამ ამ პასუხს მოსდევს ახალი კითხვა: „რატომ, რა საფუძველზე თვლით გალს ან დალის ხეობას აფსუა („აფხაზი“) ხალხის თვითრეალიზაციის ასპარეზად?“ ეს კითხვა უპასუხოა, თუ არ ვიხმართ სიტყვას „შეთანხმება“. მაშინ პასუხი ასეთი იქნება: იმიტომ, რომ ქართველები და აფსუები, საერთო ინტერესიდან გამომდინარე, ასე შევთანხმდით“. არსებობს ამ საკითხზე უფრო ყოფითი შეთანხების შესაძლებლობაც. მაგალითად, ასეთი: „გენწვისში, რა თქმა უნდა, კინოფილმის აფიშას აფსუურად („აფხაზურად“) არავინ თარგმნის, მაგრამ გალის რკინიგზის სადგურში, იმიტომ რომ ეს მნიშვნელოვანი ობიექტია, აფსუური („აფხაზური“) წარწერაც უნდა მოვათავსოთ“. უფრო რთული კითხვაა: რა ენაზე იყოს წარწერები აფხაზეთის სომხურ და ესტონურ სოფლებში, სადაც აფსუური არავინ იცის? ქართულს რაც შეეხება, პასუხი უკვე ვიცით, რაც აფსუურს („აფხაზურს“) შეეხება, აქ ისევ იმ სიძნელის წინაშე ვდგებით: მივათავალოთ თუ არა ეს სომხური დასახლება აფსუა („აფხაზი“) ხალხის ზემოხსენებული მარადიული და ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ასპარეზს? პრინციპულად პასუხია მხოლოდ „ჰო“, თუმცა პრაქტიკულად შეიძლება კვლავ ამოცანებს წავაწყდეთ. ანალოგიური კითხვაა: აფსუური („აფხაზური“) ენა ასევე ჩავთვალოთ თუ არა ყველასათვის სავალდებულო სახელმწიფო ენად (აფხაზეთის) ტერიტორიაზე, როგორც ქართულს ვთვლით. პრინციპულ დონეზე ამ კითხვის პასუხი უკვე გავეცით: „დიახ, ჩავთვალოთ, რადგან შევთანხმდით“. აქ უკვე რეალიზმის საზღვრების პრობლემას ვაწყდებით. ე.წ. „წარწერების ომი“ მსოფლიოში ცნობილი და ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. მასთან დაკავშირებულია ბევრი ულოგიკობაც. ამ პრობლემის გარდუვალი სიმწვავე აფხაზეთში ჩვენ იმის ერთერთ მაგალითად უნდა გავიგოთ, რომ აუარებელ შემთხვევაში ჩვენ, გვინდა თუ არა, არაფორმალური მოლაპარაკების, ადამიანური შეთანხმების საჭიროების წინაშე დავდგებით, რომელიც კომპრომისს შობს და ამ კომპროსმისს ნებაყოფლობითი შეთანხმების მყარ ბე-

ჭედს ასვამს ფსიქოლოგიურად. მეორე მაგალითად, რომელსაც ნაკლებ სიმბოლური ხასითი აქვს და ამავე დროს პრაქტიკულად არანაკლებ მწვავე, სასამართლოს ენის საკითხი დავასახელოთ. ქართულ ენაზე, ანუ სახელმწიფო ენაზე რომ ყველა სასამართლო პროცესის ჩატარება შესაძლებელი უნდა იყოს, ეს ცხადია. მაგრამ რომელ ენაზე გავასამართლოთ აფსუური („აფხაზური“) ენის სრულებით არმცოდნე გაგრელი სომეხი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გუდაუთაში? რა ენაზე ჩავატაროთ სოხუმში სამოქალაქო პროცესი ადგილობრივ ქართველსა (რომელმაც აფსუური („აფხაზური“) ენა არ იცის და ადგილობრივ აფსუას („აფხაზს“) შორის, რომელმაც ქართული ენა იცის, მაგრამ მის ცოდნას შეგნებულად მალავს? (პრინციპული პასუხი ნათელია: ან აფსუურად („აფხაზურად“), ან ქართულად. ამავე დროს გასათვალისწინებელია შემდეგი: აფხაზეთში მნიშვნელოვანი რაოდენობით არსებობს ტერიტორიები, სადაც რუსეთის შემოსვლის დროისთვის (XIX ს. I ნახევარი) მოსახლეობა აფსუური („აფხაზური“) იყო, ამჟამად კი სხვაა – ძირითადად სომხური და რუსული. ისეთი ტერიტორია, სადაც იმ დროს აფსუები („აფხაზები“) სახლობდნენ, 1992-93 წლების გენოციდამდე კი ქართველები, თითქმის არ არსებობს. მიზეზი შემდეგია: რუსეთის ხელისუფლებამ XIX საუკუნის II ნახევარში აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის მუსლიმანურ ნაწილში, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის ხალხებში, აქტიურად გაწია მუჰაჯირობის პროპაგანდა და შეძლო (ზეწოლის პირობებში) ამ მოსახლეობის თითქმის ნახევრის ამ გზით გადასახლება თურქეთში. მათ ნასახლარებზე რუსეთმა მოიყვანა ყველაზე დიდი რაოდენობით სომეხი მოახალშენეები თურქეთიდან, მათზე ნაკლებად – რუსები და ესტონელებიც კი, მაგრამ ქართველების დასახლება ამ ადგილებში მას არ დაუშვია. სომხების და რუსების შემოსახლების სტიმულირება გაგრძელდა საბჭოთა ეპოქაშიც, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირის დროინდელი სომეხი და რუსი იმიგრანტების რიცხვმა აფხაზეთში ჯამში დიდად გადააჭარბა საქართველოს სხვა ადგილებიდან შემოსული ქართველებისას. ამ პროცესის მორალური მხარე და ამ უკანასკნელისაგან გამომდინარე შედეგი დღევანდელ სიტუაციაში ორიენტირებისათვის ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: იმაში, რომ რუსულმა ადმინისტრაციამ ზეწოლის ქვეშ დაითანხმა მუსლიმანი აფსუების („აფხაზების“) თითქმის ნახევარი თურქეთში მუჰაჯირად წასვლაზე და ეს ნაწილი მოსახლეობისა მას დაეთანხმა, იმ დროის ქართველ მოსახლეობას, ქართველ საზოგადოებრიობას ბრალი არ უდევს (და საქართველო ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებელი არ არის), პირიქით: ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ცდილობდა მუსლიმი აფსუებისათვის („აფხაზებისათვის“) გადაეთქმევინებინა სამშობლოს მიტოვება და ამაში გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია მათი ნაწილის გადარჩენის სახით. საყურადღებოა, რომ რუსული ადმინისტრაციის მცდელობა ქართველთა და აფსუათა („აფხაზთა“) შორის მტრობის ჩამოგდებისა სწორედ ამის შემდეგ დაიწყო, პირველ ყოვლისა – საღვთო წერილის აფსუურ („აფხაზურ“) ენაზე თარგმნის მცდელობის სახით, რათა მოეწყვიტათ ეს ქრისტიანები ქართული ღვთისმსახურებისაგან. ამ წამოწყების ჩავარდნის ერთადერთ მიზეზად სახელდება ის, რომ აფხაზური ენა „არ არის მომზადებული“ საღმრთო წერილის ტექსტის გადმოსაცემად.

ეს გარემოება – აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნაწილის ესოდენ ვერაგული განდევნა მისი საცხოვრებელიდან, – საკმარის საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ აფსუა („აფხაზი“) ხალხის სამართლიანად კუთვნილი თვითრეალიზაციის ასპარეზი უფრო ფართო სივრცედ ჩავთვალოთ, ვიდრე აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის დღევანდელი კომპაქტური ცხოვრების არეალის საზღვრებია. მაგრამ ცხადია, ამ საზღვრებში ვერ მოექცევა აფხაზეთის ყველა ტერიტორიები, რომლებშიც მოსახლეობა არც ქართულია და არც აფსუური („აფხაზური“), რადგან ანგარიშგაუწეველი ვერ დარჩება ის ფაქტი, რომ, როგორც ავღნიშნეთ ზემოთ, ქართველი ხალხი ავტოხთონურია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. ხსენებული ტერიტორიების განაწილება ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში ერთი იმ საკითხთაგანია, რომლის გადაჭრისათვის ერთადერთი გონივრული მეთოდი არსებობს: ქართველებისა და აფსუების („აფხაზების“) პირდაპირი მოლაპარაკება არაფორმალურ პირობებში.

უფლებამოსილებათა განაწილების რამდენიმე კონკრეტული საკვანძო საკითხი

როგორც აღინიშნა ზემოთ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციათა, აფხაზეთის ხელისუფლების კომპეტენციათა და ერთობლივ კომპეტენციათა იდეალურად სამართლიანი და სიცოცხლისუნარიანი (პერსპექტიული) ფორმულირება შეუძლებელია აქტიურ საზოგადოებასთან (როგორც ქართულთან, ისე აფსუურთან („აფხაზურთან“) წინასწარი კონსულტაციის გარეშე. მაგრამ ზოგი საკვანძო პრობლემა უკვე სრულად ჩანს და მასზე პრინციპული პასუხის გაცემა შესაძლებელია.

ა) წიაღის და ბუნების სხვა სიმდიდრეების გამოყენება

ის, თუ ვინ არის ბუნებრივ სიმდიდრეთა მესაკუთრე და, შესაბამისად, ვის აქვს მათგან შემოსავალი, არ არის, – თუკი ეს სიმდიდრეები სტრატეგიული არ არის, – დაკავშირებული სახელმწიფოს უშიშროების ამოცანასთან. ასეთ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს ერთპიროვნულ კომპეტენციაში უნდა იყოს ამ სიმდიდრის გამოყენებისა და განკარგვის ზოგადი სტრატეგია, მაგრამ არა მისი კომერციული გამოყენების მართვა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ბუნებრივი სიმდიდრის კომერციული ექსპლოატაცია ნებადართულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ, ეს უკანასკნელი არ ერევა მის მართვაში. იგი იღებს კანონით დადგენილ პროცენტს იმ თანხიდან, რომელიც ეკუთვნის ამ ბუნებრივი სიმდიდრის მესაკუთრეს, და კანონით დადგენილ გადასახადს ამ წარმოებაზე.

ბ) საგარეო ვაჭრობა.

საგარეო ვაჭრობის კონტროლი სტრატეგიული მასალების და ნაწარმის გატანის თვალსაზრისით საქართველოს სახელმწიფოს ერთპიროვნულ კომპეტენციაშია, რათა არ შეიქმნას საქართველოს რომელიმე სტრატეგიული მასალის ან ნაწარმის გარეშე დატოვების მექანიზმი ექსპორტის ფორმით.

გ) ტოპონიმიკა.

ტოპონიმიკის თემას უკვე შევეხეთ ზემოთ. აფხაზეთის ხელისუფლებას და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს ინიციატივის უფლება აფხაზეთის ტერიტორიაზე ტოპონიმთა შეცვლაში ან ახალთა შექმნაში. გადაწყვეტილებებს ტოპონიმის შეცვლის ან ახლის შექმნის შესახებ იღებს აფხაზეთის ხელისუფლება და ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ეს უკანასკნელი უფლებამოსილება აუცილებელია იმისათვის, რომ ბოროტი ნების არსებობის შემთხვევაში არ მოხდეს პოლიტიკური დივერსიული მიზნით ტოპონიმიკის გაყალბება ან ტოპონიმებად ისეთ პირთა სახელების გამოყენება, რომლებიც მიუღებელნი არიან საქართველოს ზოგადი მენტალიტეტისათვის.

დ) სასჯელაღსრულების სისტემა.

სასჯელაღსრულებითი სისტემა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაშია. აფხაზეთის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის ფაქტი ვერ იქნება სასჯელის აფხაზეთში მოხდის საფუძველი. თუ აფხაზეთში მაცხოვრებელ პატიმარს – აფხაზეთში გასამართლებულს ან სხვაგან – ჰსურს სასჯელის მოხდა აფხაზეთში და საამისო პირობები აფხაზეთში არსებობს მისი სურვილი უნდა შესრულდეს.

ე) საკონსტიტუციო სასამართლო

იხილავს ყველა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ყველა აქტს საქართველოს კონსტიტუციასთან შესატყვისობის თვალსაზრისით. აფხაზეთის უზენაესი სასამართლო იხილავს აფხაზეთის კონსტიტუციასთან მიმართების თვალსაზრისით.

ვ) სამხედრო სამსახური.

აფხაზეთის მაცხოვრებელი სამხედრო ვალდებულია ისევე, როგორც საქართველოს ყოველი სხვა მოქალაქე. მას უფლება აქვს სამხედროვალდებულება მოიხადოს საერთო წესით (თუ ეს ჰსურს), აგრეთვე უფლება აქვს იგი მოიხადოს აფხაზეთში ან მის მახლობლად დისლოცირებულ ნაწილში, აგრეთვე უფლება აქვს აირჩიოს ალტერნატიული სამსახური კანონის თანახმად. აფხაზეთის მაცხოვრებლისათვის (კანონით დადგენილ თარიღამდე) საქართველოს ჯარში სამსაურის არსურვილი საკმარისი საფუძველია ალტერნატიული სამსახურის არჩვისათვის.

ზ) სიმბოლიკა

აფხაზეთის ოფიციალური სიმბოლიკა (დროშა, გერბი, ალამი) და სახელწოდება განისაზღვრება იმავე წესით, რაც აფხაზეთის კონსტიტუციის სხვა მუხლები.

თ) მიგრაციის რეგულირება

საქართველოს სახელმწიფო, ისევე როგორც ყველა სხვა, ვერ დაუშვებს უკონტროლო იმიგრაციას. ამიტომ ყოველი ახალი ადამიანის შემოსახლება საქართველოს რომელსამე წერტილში, აფხაზეთის ჩათვლით, დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასტურით. ამავე დროს ფაქტია, რომ აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობისათვის ყველაზე დიდი სოციალური შიშის წყარო არის ამ მოსახლეობის პროცენტული წილის სიმცირე აფხაზეთის მოსახლეობაში მთლიანად. ეს შიში არ კმარა იმის საფუძვლად, რომ აფხაზეთში შიდა მიგრაციული პროცესები და მთლიანად საქართველოს შიდა მიგრაციული პროცესები, აფხაზეთში საქართველოს სხვა აგილებიდან ამა თუ იმ მიზეზით ახალ მოქალაქეთა შემოსახლების ჩათვლით, შეწყდეს, მაგრამ ამ შიშის მოხსნა შეიძლება იმით, რომ იმ რაიონებში, სადაც აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობა კომპაქტურია და სადაც, ამგვარად, არის ძირითადი ბაზა აფსუა („აფხაზი“) ხალხის ყოველმხრივი ეთნიკური, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური წინსვლისათვის, ადგილობრივ არჩევით თვითმმართველობის ორგანოებს კანონითა და კონსტიტუციით მიეცეთ დამატებითი უფლებამოსილება, რათა დართონ ან არ დართონ მუდმივი დასახლების (სახლის შენძენის ან აშენების ჩათვლით) უფლება ნებისმიერი სხვა ადგილიდან, მათ შორის საქართველოს რომელიმე სხვა ადგილიდან მოსულ მოქალაქეს.

დამატება მოლაპარაკებათა ფორმატისა და პროცედურისათვის

ქართული და აფსუური („აფხაზური“) საზოგადოებრიობის ურთიერთმოლაპარაკება უნდა წარმოებდეს ერთით ერთზე. მასში მესამე მხარის ჩაბმა არბიტრის სახით გარდუვალად დაარღვევს როგორც გულწრფელი მიდგომის, ისე რეალისტური მიდგომის ატმოსფეროს.

არძინბას (ბაღაფშის) ჯგუფთან მოლაპარაკება უაზრო, ვინაიდან მის პოზიციას სავსებით განსაზღვრავ უცხო (რუსული) ნება.

რუსეთთან მოლაპარაკება მისაღებია მხოლოდ როგორც მოწინააღმდეგესთან.

მსოფლიოსთან (მსოფლიოს თანამეგობრობასთან) მოლაპარაკება, როგორც არბიტრთან, საკითხის განვითარების გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია გარდუვალი აღმოჩნდეს. ამ არბიტრისათვის წარსადგენი გეგმა დარეგულირებისა საქართველოს, როგორც დავინახეთ, აქვს (იხ. აქვე ზემოთ). მაგრამ მოლაპარაკებათა აგება მხოლოდ ასეთი სქემით – „მაგიდაზე დევს ქართული გეგმა და იგი განიხილება. შეთანხმება მიღწეულად ჩაითვლება, როცა აფსუური („აფხაზური“) მხარე დაეთანხმება მას“! – არც სამართლიანია და არც რეალისტური. მაგიდაზე უნდა იდოს ორივე გეგმა – ქართულიც და აფსუურიც („აფხაზურიც“), – რათა ჩანდეს – თუ მას ახასიათებს – ამ უკანასკნელის გარდუვალი შეუთავსებლობა სამართლის, უფლებადაცვის, პოლიტიკისა და მორალის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან და მოლაპარაკების მონაწილეებს შეეძლოთ მისი კრიტიკული ანალიზი.

მოლაპარაკების აყვანა უფრო მაღალ საფეხურზე

წინამდებარე ტექსტი შეიცავს წინადადებას ქართველებისა და აფსუების ურთიერთთანხმობის იმ მინიმუმის მისაღწევად, რომელიც აუცილებელია, რათა შეიძლებოდეს თანაცხოვრება, ანუ ერთიმეორის ხელშეუხებლობა, წესრიგის დაცვა და აუცილებელი მინიმალური თანამშრომლობა. ამ მინიმუმის მიღმა იხსნება შესაძლებლობა სამომავლო მოკავშირეობის განჭვრეტისა, როცა ქართველი და აფსუა („აფხაზი“) ხალხი – მხოლოდ ერთმანეთთან მოკავშირეობით და სხვა, მესამე და მეოთხე მეწილის ჩაურევლად, – შეთანხმდება და დაგეგმავს უსაზღვრო სამომავლო პერსპექტივას, რომელიც დამყარებულია ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობაზე (პირველ რიგში) და ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებზე (მეორე რიგში). ეს პერსპექტივა შეეხება

– შეუზღუდველ გამდიდრებას

– შეუზღუდველ წინსვლას, ნახტომს განათლების საქმეში (მიზანმიმართული დაგეგმვით და ზემოხსენებული სიმდიდრის გეგმაზომიერი გამოყენებით)

– საკუთარი ეროვნული საზოგადოების მაქსიმალურად პერსპექტიული სტრუქტურის, სამომავლო კონკურენტუნარიანი საწარმო (ამ სიტყვის ფართო აზრით) სტრუქტურის და ეროვნული ინფრასტრუქტურის შექმნას

– პერსპექტივის შექმნას გავლენისათვის რეგიონში, პირველ ყოვლისა – ჩრდილო კავკასიაში.

Stanford Encyclopedia of Philosophy
www.plato.stanford.edu/entries/sovereignty

სუვერენიტეტი

თუმცა ამ სიტყვის — „სუვერენიტეტი“ — მნიშვნელობამ ისტორიის მანძილზე ვარიაცია განიცადა, მისი ძირითადი მნიშვნელობა მაინც ერთია — უზენაესი ძალაუფლება მოცემული ტერიტორიის შიგნით, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ეს ტერიტორია დამოუკიდებელია გარე ძალებზე, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში მისი საკუთარი სუვერენული ხელისუფლება ამ ტერიტორიაზე სუვერენული ვეღარ იქნება. იგი პოლიტიკური ძალაუფლების ხასიათის აღმნიშვნელი ერთერთი თანამედროვე ცნებაა. სუვერენიტეტის, როგორც მოვლენის, ვარიირება სამ განზომილებაში ხდება: ვინ არის სუვერენიტეტის მპყრობელი, რამდენად აბსოლუტურია (სრულია) სუვერენიტეტი და რომელია მისი შინაგანი და გარეგანი პარამეტრები. სახელმწიფო ის პოლიტიკური ინსტიტუტია, რომელშიც სუვერენიტეტი ხორციელდება. სახელმწიფოთა შენაერთი ქმნის სახელმწიფოთა სუვერენულ სისტემას.

სუვერენიტეტის ისტორიის გაგება შეგვიძლია ორი ფართო მოძრაობის მაგალითზე, რომლებიც გამოიხატა პრაქტიკული ინსტიტუტების სახითაც და პოლიტიკური აზრის სახითაც. **პირველი** იმაში მდგომარეობს, რომ განვითარდა სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა, რომელიც დაგვირგვინდა ვესტფალიის ზავით (1648). იმავდროულად სუვერენიტეტი გახდა პოლიტიკური აზრის წამყვანი თემა მაკიაველის, ლუთერის, ბოდენის და ჰობსის ნაწერთა სახით. **მეორე** მოძრაობა გახლავთ სუვერენული სახელმწიფოს შემოსაზღვრა (შემოზღუდვა), რომელიც პრაქტიკაში დაიწყო II მსოფლიო ომის შემდეგ და მას აქეთ გრძელდება ევროპული ინტეგრაციის სახით, ერთის მხრივ, და ადამიანის უფლებათა დამცველი კანონებისა და შესაბამისი პრაქტიკის გაძლიერების სახით, მეორეს მხრივ.

ყველაზე გამოჩენილი (საყურადღებო) პოლიტიკური აზრი ამ თემაზე გვხვდება სუვერენიტეტის კრიტიკოსთა ნაწერებში, როგორნიც არიან, მაგალითად, ბერტრან დე ჟუვენალი და ჟაკ მარიტენი.

1. სუვერენიტეტის განსაზღვრა

თავის კლასიკურ ნაშრომში „მეფის ორი სხეული“ (1957) მედიევალისტი (შუა საუკუნეთა სპეციალისტი. რედ.) ერნსტ კანტოროვიცი აღწერს პოლიტიკური ძალაუფლლების ცნების ღრმა ტრანსფორმაციას (გარდაქმნას) შუა საუკუნეთა მანძილზე. ეს ცვლილება მაშინ დაიწყო, როცა ქრისტეს სხეულის ცნება თანდათან განვითარდა ორი სხეულის ცნებად. ერთია corpus naturale (ბუნებითი სხეული. რედ.), რომელიც წარმოგვიდგება (ლიტურგიაში. რედ.), როგორც კონსაკრირებული (ნაკურთხი. რედ.) ჰოსტია საკურთხეველში, მეორეა corpus misticum — სოციალური სხეული, ეკლესია თავისი თანმხლები ადმინისტრაციული სტრუქტურებითურთ. ეს უკანასკნელი ცნება, — კოლექტიური სოციალური ორგანიზაციისა, რომელსაც აქვს მუდმივი (არაწარმავალი) მისტიკური არსი, — გადატანილ იქნა, შემდეგ, პოლიტიკურ ერთეულებზე, პოლიტიკურ სხეულზე. შემდეგ კანტოროვიცი აღწერს, როგორ გაჩნდა ამ ცნებიდან გვიან შუა საუკუნეებში მეფის ორი სხეულის იდეა, რომელიც გაცოცხლებულია შექსპირის „რიჩარდ II“-ში და შეიძლებოდა მიჰყენებოდა ახალი დროის პირველ ხანებში პოლიტიკურ სხეულს: თუმცა მეფის ბუნებითი, მოკვდავი სხეული წარვალს მისი სიკვდილის შედეგად, მეფეს, ამ წარმოდგენის თანახმად, აქვს წარუვალი, არაბუნებითი სხეულიც, რომელსაც ვერ გაანადგურებს მკვლელობაც კი, რადგან იგი წარმოადგენს (ასახიერებს) პოლიტიკური სხეულის მისტიკურ ღირსებასა და სამართლიანობას. თანამედროვე პოლიტეია (სახელმწიფო. რედ.), რომელიც დომინანტურ (გაბატონებულ) ორგანიზაციულ ფორმად ჩამოყალიბდა თანამედროვე ევროპის ქმნადობის გარკვეულ ეტაპზე, ასახიერებდა კოლექტიურობის იმ მახასიათებლებს, რომლებსაც აღწერს კანტოროვიცი: ერთადერთი, გაერთიანებული, ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული, ინტერესთა საერთო სისტემის მქონე და ისეთი ძალაუფლების მიერ მართული, რომელიც ერთ ერთეულადაა შეკრული და უზენაესობა აქვს პოლიტეიის (სახელმწიფოს), როგორც მთელის, ინტერესთა წინ წაწევაში. თუმცა ახალი დროის პირველ ხანებში ასეთი ძალაუფლების მპყრობელნი მეფეები იყვნენ, შემდგომ პოლიტიკაში ასეთი ძალაუფლებით სხვათა აღჭურვაც მოხდა: მათი, ვინც მართავს კონსტიტუციის ძალით, ერებისა, კომუნისტური პარტიისა, დიქტატორებისა, ხუნტებისა და თეოკრატიებისა. თანამედროვე პოლიტეია (პოლიტიკური ერთეული) ცნობილია (აღიარებულია) როგორც სახელმწიფო და მისი ფუნდამენტური მახასიათებელია ის, რომ მას მის შიგნით აქვს უმაღლესი ძალაუფლება — სუვერენიტეტი.

კანტოროვიცის მიერ აღწერილი ეს ევოლუცია ფორმაციულია: იგი თანამედროვე პოლიტიკის შემქმნელი არსებითი შტრიხია. ზოგ მეცნიერს ეჭვი ეპარება, არსებობს თუ არა სუვერენიტეტის სტაბილური, არსებითი ცნება. მაგრამ სინამდვილეში არსებობს ამ ცნების იმგვარი დეფინიცია (განსაზღვრება), რომელიც მოიცავს ყოველივე იმას, რაც კი ოდესმე აღუნიშნავს ამ სიტყვას ადრეულ ახალ ევროპაში და რის მიმართაც მას შემდეგ გაჩენილი სხვადასხვა განსაზღვრებები მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტებს წარმოადგენენ. ეს დეფინიციაა: უზენაესი ძალაუფლება მოცემულ ტერიტორიაზე. ეს ის თვისებაა, რომელიც ჰქონდათ ადრეული ახალი დროის სახელმწიფოებს, მაგრამ არ ჰქონდათ პაპებს, იმპერატორებს, მეფეებს, ეპისკოპოსებს და კეთილშობილთა და ვასალთა უმრავლესობას შუა საუკუნეებში. ამ განსაზღვრების ყოველი კომპონენტი ყურადღების ცენტრში გვიყენებს ამ ცნების რომელსამე ასპექტს. პირველი ისაა, რომ ის, ვისაც სუვერენობა აქვს, ფლობს ძალაუფლებას. ანუ: მოცემულ პიროვნებას ან ერთეულს აქვს არა მხოლოდ მაიძულებელი ძალა, რომ ამას და ამას აიძულოს იმის ქმნა, რასაც ეს უკანასკნელი სხვა შემთხვევაში არ იზამდა. ძალაუფლება უფრო იმას ნიშნავს, რომ, როგორც განსაზღვრავს ფილოსოფოსი ვოლფი, „გქონდეთ უფლება ბრძანებისა და, შესაბამისად, უფლება, რომ თქვენს ბრძანებას დაემორჩილონ“. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ აქ არის სიტყვა „უფლება“, რომელიც გულისხმობს ლეგიტიმურობას. სუვერენიტეტის მფლობელი თავის ძალაუფლებას იღებს ლეგიტიმურობის რომელიღაცა, ორივე მხარის მიერ აღიარებული წყაროდან: ბუნებითი სამართლისგან, ღვთიური მანდატისაგან, მემკვიდრეობის კანონიდან, კონსტიტუციისაგან, თვით საერთაშორისო სამართლისგანაც კი. თანამედროვეობაში სამართლის მიერ განსაზღვრული რომელიღაცა კორპუსი (ადამიანთა ერთობლიობა) ყველგან არის სუვერენიტეტის წყარო.

მაგრამ სუვერენიტეტი უბრალოდ ძალაუფლებას კი არ ნიშნავს, არამედ უზენაეს ძალაუფლებას. უზენაესობა ის არის, რაც აშშ-ის კონსტიტუციას უფრო მაღლა აყენებს პენსილვანიის შტატის მთავრობაზე, ან რაც სუვერენიტეტის რომელსამე მფლობელს ასხვავებს პოლიციის უფროსისაგან ან რომელიმე კორპორაციის აღმასრულებელი თანამშრომლისაგან. სუვერენიტეტის მფლობელი უმაღლესია ყველა ხელისუფლებაზე, რომელიც იმყოფება მისი კომპეტენციის საზღვრებში. უზენაესობაც თანამედროვეობის ენდემური თვისებაა. შუა საუკუნეებში მრავალ ხელისუფლებას ჰქონდა ხოლმე ამა თუ იმ სახის კანონისმიერი რწმუნება, როგორც საფუძველი თავისი ძალაუფლებისათვის — ფეოდალური, კანონიკური თუ რამე სხვაგვარი, — მაგრამ ასეთი საფუძველი იშვიათად თუ იძლეოდა უზენაესობას.

დასასრულ, სუვერენიტეტის შემადგენელია ტერიტორიალობა, რაც აგრეთვე წარმოადგენს პოლიტიკური ძალაუფლების დამახასიათებელ ნიშანს დღევანდელობაში. ტერიტორიალობა არის ის პრინციპი, რომლითაც განისაზღვრება, ვინ ეკუთვნის მოცემულ თემს (საზოგადიებას). იგი განსაზღვრავს, რომ პიროვნებანი თავის წევრობას ამ თემში ფლობენ იმ საფუძველზე, რომ მის საზღვრებში ცხოვრობენ. ეს ძალიან ძლიერი პრინციპია, რადგან იგი წევრობას განსაზღვრავს იდენტობისაგან (ვინაობისაგან) დამოუკიდებლად. რომელიმე სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები სრულებითაც არაა აუცილებელი, რომ მოიცავდნენ რომელსამე „ხალხს“ ან „ერს“, ისინი შეიძლება მოიცავდნენ რამდენიმე იდენტობის (ვინაობის) მატარებლებს, რასაც თვითგამორკვევისაკენ მიმართული და ირიდენტული მოძრაობების ფაქტი თვალსაჩინოს ხდის. ადამიანები რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკუთვნიან და მისი მმართველის ძალაუფლებას ემორჩილებიან, ამას განსაზღვრავს მათი მყოფობა (ლოკაცია) ამ საზღვრებს შიგნით. თანამედროვე სუვერენები თავის უზენაეს ძალაუფლებას ამა თუ იმ გეოგრაფიული ტერიტორიის შიგნით ფლობენ.

ტერიტორიალობა დღესდღეობით საყოველთაოდ აღიარებულია: იგი ხელისუფლების განუყრელი ელემენტია მთელ მსოფლიოში. თვით სუპრაეროვნული და ინტერნაციონალური ინსტიტუტებიც კი, როგორიცაა ევროკავშირი ან გაერო, შედგებიან სახელმწიფოებისაგან, რომლებშიც წევრობა განსაზღვრულია ტერიტორიულობის მიხედვით. ფორმის ეს უნივერსალობა დამახასიათებელია თანამედროვეობისათვის, იგი ხაზს უსვამს სუვერენობის კავშირს თანამედროვეობასთან. თუმცა ტერიტორიალობა არსებობდა სხვადასხვა ეპოქებში და ადგილებში, იქ მაღალი პრესტიჟი ჰქონდა წევრობის სხვა პრინციპებსაც, როგორიცაა ნათესაობა, რელიგია, ტომი თუ ფეოდალური ურთიერთობები. ყველაზე ცოცხალ კონტრასტს ტერიტორიალობის პრინციპისადმი წარმოადგენს მომთაბარე ტომი, რომლის ძალაუფლებითი სტრუქტურა სავსებით დამოუკიდებელია მიწის რომელიმე ნაკვეთისაგან. ტერიტორიალობა განსაზღვრავს იმას, თუ თავისი რა მახასიათებლის ძალით არიან ადამიანები მოცემული ხელისუფლების დაქვემდებარებულნი: ესაა მათი გეოგრაფიული მოთავსებულება ამა და ამ საზღვრებში. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორეტიკოსებს შემჩნეული აქვთ სუვერენიტეტის მსგავსება სხვა ინსტიტუტთან, რომლის ხაზებიც აგრეთვე ადგილს ემთხვევიან — ესაა კერძო საკუთრება. ეს ორი განსაკუთრებით ერთობლივად იყო მოაზრებული ჰობსის მიერ.

„უზენაესი ძალაუფლება მოცემული ტერიტორიის შიგნით“ სუვერენიტეტის ზოგადი განსაზღვრებაა. სუვერენიტეტის კონკრეტული მანიფესტაციები ისტორიის მანძილზე თითქმის ყოველთვის ამ განსაზღვრების კერძო შემთხვევებია. ფილოსოფოსები და პოლიტიკურად მოტივირებული ადამიანები ყველაზე უფრო ხშირად ამ კერძო შემთხვევებზე ლაპარაკობენ ხოლმე, როცა ამა თუ იმ პიროვნებისათვის ან სამართლებრივი (კანონმდებელი) კორპუსისათვის სუვერენიტეტს ითხოვენ. ამგვარად, იმის გაგებას, თუ რა არის სუვერენიტეტი, განუხრელად ახლავს იმის გაგებაც, რა არის სუვერენიტეტზე პრეტენზიის განცხადებები ან, სულ ცოტა, ყველაზე მნიშვნელოვნები ამ განცხადებებს შორის.

გასული ნახევარი ათასწლეულის მანძილზე ასეთი განცხადებები უაღრესად ურთიერთგანსხვავებული სახისა იყო — ერები ითხოვდნენ დამოუკიდებლობას დედა სახელმწიფოებისაგან, კომუნისტები — კოლონიალისტებისაგან, „ხმა ერისა“ — „ძველი რეჟიმებისაგან“, თეოკრატები — საერო სახელმწიფოებისაგან და აუარებელი სხვა. ეს, მართლაც, ნიშანია სუვერენული სახელმწიფოს ელასტიურობისა, რომ მან (ისტორიის მანძილზე) ძალაუფლების ამდენი სხვადასხვა სახეობა მოირგო. თუმცა ამ ძალაუფლებათა სახეებს აქ ვერ ჩამოვთვლით, უნდა აღვნიშნოთ სამი განზომილება, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია მათი კატეგორიებად დაყოფა. ესენია: ვინ არიან სუვერენტეტის მფლობელნი, აბსოლუტური თუ არააბსოლუტური ბუნებისაა სუვერენიტეტი და რა მიმართებაა სუვერენიტეტის საშინაო და საგარეო განზომილებებს შორის.

როგორც ითქვა ზემოთ, სუვერენობა ჰქონდათ სხვადასხვა ხელისუფლებებს — მეფეებს, დიქტატორებს, ხალხს, რომელიც მართვას ახორციელებდა კონსტიტუციის საშუალებით, და ა.შ. ის, თუ როგორია უზენაესი ხელისუფლება მოცემული ტერიტორიის შიგნით, ალბათ, სუვერენიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილებაა. ახალი დროის დასაწყისში ფრანგ თეორეტიკოსს ფრანსუა ბოდენს მიაჩნდა, რომ სუვერენიტეტი უნდა სახიერდებოდეს ერთ ინდივიდში. მასაც და ინგლისელ ჰობსსაც წარმოედგინათ, რომ სუვერენი კანონზე მაღლა დგას. შემდგომი მოაზროვნეები სხვადასხვაგვარად უდგებოდნენ ამ თემას — ისინი სუვერენიტეტის ადგილს სხვადასხვაგან ხედავდნენ, მაგრამ ამავე პრინციპის ერთგულნი რჩებოდნენ.

სუვერენიტეტი ამავე დროს შეიძლება აბსოლუტურიც იყოს და არააბსოლუტურიც. როგორაა შესაძლებელი, რომ სუვერენიტეტი იყოს არააბსოლუტური, თუკი იგი უზენაესია? ბოლოსდაბოლოს, ზოგი მეცნიერი, ალენ ჯეიმსივით, ხომ ასაბუთებს, რომ სუვერენიტეტი ან არის, ან არ არის, იგი ვერ იქნება ნაწილობრივი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სიტყვა „აბსოლუტური“ ეხება არა სუვერენიტეტის გავრცელებას (ამა და ამ ტერიტორიაზე), არა მის ხასიათს (რაგვარობას), რომელიც ყველა შემთხვევაში უზენასია, არამედ, უფრო, იმ საკითხთა მოცულობას, რომლებშიც სუვერენიტეტის მპყრობელი სუვერენულია. ბოდენი და ჰობსი სუვერენიტეტს ხედავდნენ, როგორც აბსოლუტურს, უპირობოდ გავრცელებულს ყველა საკითხზე მოცემული ტერიტორიის შიგნით. მაგრამ შესაძლებელია, სუვერენიტეტი ვრცელდებოდეს მხოლოდ ზოგ საკითხებზე მოცემული ტერიტორის შიგნით, და არა ყველაზე. (მაგალითად) დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სუვერენულნი არიან თავდაცვის მართვაში, მაგრამ არა ვალუტისაში ან ვაჭრობის საკითხებისაში და სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის არაერთი მიმართულებისაში, რასაც ისინი ახორციელებენ ევროკავშირში, მისი კანონის თანახმად, ევროკავშირის ხელისუფლებასთან კოოპერაციაში. აბსოლუტური სუვერენიტეტი თანამედროვე სუვერენიტეტის კვინტესენციაა. მაგრამ ბოლო ათწლეულებში მიმდინარეობს მისი შემოზღუდვა ისეთი ინსტიტუტებით, როგორიცაა ევროკავშირი, გაეროს პრაქტიკა სანქცირებული ჩარევისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო.

დაბოლოს, უკანასკნელი წყვილი

ზედსართავებისა, რომელიც განსაზღვრავს სუვერენიტეტს, არის „საშინაო“ და „საგარეო“. ამ შემთხვევაში ეს სიტყვები აღწერენ არა სუვერენიტეტის ექსკლუზიურ სახეებს, არამედ მის სხვადასხვა ასპექტებს, რომლებიც თანაარსებულია და ყველგან მყოფი. სუვერენული ძალაუფლება ხორციელდება საზღვრების შიგნით, მაგრამ, თავისი განსაზღვრებითვე, უცხოებთან მიმართებითაც, რომელნიც ვერ ჩაერევიან სუვერენულ მართვაში. სახელმწიფო საგარეო სუვერენიტეტის მთავარი მპყრობელია ვესტფალიის ზავის შემდეგ (1648), რომლის ძალითაც ჩარევა სხვა სახელმწიფოს მმართველობითს პრეროგატივებში გახდა უკანონო. ცნებას „სუვერენიტეტი“ საერთაშორისო სამართალში ხშირად აქვს კონნოტაცია (თანმხლები მნიშვნელობა) საგარეო სუვერენიტეტისა. ალენ ჯეიმსსაც ამგვარადვე ესმის საგარეო სუვერენიტეტი, როგორც კონსტიტუციური დამოუკიდებლობა – სახელმწიფოს თავისუფლება გარეგანი გავლენისგან მისი ძირეული პრეროგატივებით გათვალისწინებულ სფეროში. დამახასიათებელია, რომ საგარეო სუვერენიტეტი დამოკიდებულია უცხოთა მიერ ცნობაზე. სახელმწიფოებისათვის ეს იგივეა, რაც ჩაურევლობის (no trespassing) კანონია (სამართალია) კერძო საკუთრებისათვის – ურთიერთ შეთანხმებულობათა (understanding) სისტემა, რომელიც საკუთრებას, ან სახელმწიფოს, ანიჭებს შეუვალობას (იმუნიტეტს) გარედან ჩარევის მიმართ. იგივე საგარეო სუვერენიტეტი ადგენს საგარეო ურთიერთობების ძირითად პირობას – ანარქიას, რომელიც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს უმაღლესი ხელისუფლება, რომელსაც პრეტენზია ექნება უფრო დაბალი ძალაუფლებების მიმართ. სახელმწიფოების კრებული, რომელნიც შინაგანადაც და გარეთაც სუვერენულნი არიან, ქმნის საერთაშორისო სისტემას, რომელშიც სუვერენული ერთეულები კავშირებს კრავენ, ვაჭრობენ, ომს და ზავს აცხადებენ.

2. სუვერენული სახელმწიფოს წარმოშობა. თეორია და პრაქტიკა

„უზენაესი ძალაუფლება მოცემული ტერიტორიის შიგნით“, – ამ დეფინაციით (განსაზღვრებით) სუვერენიტეტის უფრო დეტალური გაგება შეგვიძლია მისი ისტორიის გათვალისწინებით. ამ ისტორიის გადმოცემაში შეგვიძლია გამოვყოთ ორ მთავარ მოძრაობას. **პირველია** მრავალსაუკუნოვანი ევოლუცია ჯერ სუვერენულ სახელმწიფოთა კონტინენტის ჩამოყალიბებისაკენ ევროპის სახით, შემდეგ კი მათი პლანეტის ჩამოყალიბებისაკენ. **მეორეა** აბსოლუტური სუვერენიტეტის პრეროგატივების შემოსაზღვრა XX საუკუნის II ნახევარში.

ევროპის ხანგრძლივი გადასვლის პროცესი შუა საუკუნეებიდან სუვერენულ სახელმწიფოთა სამყაროს მდგომარეობაში დაასრულა ვესტფალიის ზავმა (1648). ისტორიკოს სტრეიერის მიხედვით, ბრიტანეთი და საფრანგეთი სუვერენულად გამოიყურებოდნენ ჯერ კიდევ 1300 წლის მიდამოებში, როცა მათ მეფეებს ჰქონდათ უზენაესობა მოცემული ტერიტორიის შიგნით. მაგრამ ევროპა 1517 წლამდე ჯერ კიდევ შორს რჩებოდა ვესტფალიის ზავის მდგომარეობისაგან. დიდი ისტორიული შემობრუნება დაიწყო მაშინ, როცა ესპანეთის მეფემ კარლოს V-მ გააერთიანა კასტილია, არაგონი და ნიდერლენდები და ამავე დროს გახდა რომის საღვთო იმპერატორი, რითაც მოიპოვა პრეროგატივები ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიმართ, ამავე დროს, თავისთავზე აიღო როლი კათოლიკური ეკლესიის ჯერ კიდევ ძლიერი პრეროგატივების განხორციელებისა თავისი იმპერიის შიგნით, მათ შორის საეკლესიო ორთოდოქსიის განხორციელებისაც. მაგრამ თავისი იმპერიის შიგნით კარლოს V არ იყო სუვერენი, რადგან მასში მთავრები და კეთილშობილნი ინარჩუნებდნენ მისი კონტროლის გარეთ მყოფ პრეროგატივებს. 1555 წელს სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის მყარი ნიადაგი შეიქმნა აუგსბურგის ზავის სახით, რომლის ფორმულამ „ვისიც ძალაუფლებაა, იმისივეა რელიგია“ საშუალება მისცა გერმანელ მთავრებს თავისი ტერიტორიების შიგნით თავისი სარწმუნოება დაედგინათ. მაგრამ ეს სისტემა არამყარი აღმოჩნდა. გაჩნდა მრავალი დავა ამ შეთანხმების პუნქტთა გაგებაზე, რასაც მოჰყვა ომები და მათი კულმინაცია ოცდაათწლიანი ომის სახით, რომელიც დაასრულა ვესტფალიის 1648 წლის ზავმა.

ამ ზავის რომელი მახასიათებლები ქმნიან სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის გაჩენის საფუძველს? (ამ ზავისათვის ასეთი სტატუსის მიცემას ყველა მეცნიერი არ იზიარებს). არსად ხელშეკრულებებში არ არის ლაპარაკი სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის სავალდებულოობაზე ან თუნდაც სახელმწიფოსაზე, როგორც მმართველი ლეგიტიმური ერთეულისაზე. ისიც ცხადია, რომ ამ ზავს სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა არ შეუქმნია არარასგან (ex nihilo): მისი კომპონენტები არსებობდა მანამდე და მათი აკუმულირება ხდებოდა საუკუნეთა მანძილზე. ამ ზავის შემდეგაც ცალკეული შუასაუკუნეობრივი ანომალიები არსებობას განაგრძობდა, მაგრამ ორი ფართო ასპექტით – კანონისმიერი პრეროგატივებისა და პრაქტიკული ძალების ასპექტით – სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემამ გაიმარჯვა. **ჯერ ერთი**, გაჩნდა სახელმწიფოები, როგორც რეალურად ერთადერთი ფორმა არსებითი კონსტიტუციური ძალაუფლებისა ევროპაში, მათს ძალაუფლებას სერიოზულად ველარ აყენებდა კითხვის ქვეშ რომის საღვთო იმპერია. ნიდერლანდებმა და შვეიცარიამ მიიღეს სიტყვაშეუბრუნებელი სუვერენიტეტი, რომის საღვთო იმპერიის გერმანულმა სახელმწიფოებმა მოიპოვეს უფლება მოკავშირეების ყოლისა იმპერიის გარეთ, ამავე დროს დიპლომატიურ ურთიერთობათა სისტემამაც და საგარეო პოლიტიკამაც მიიღო ის სქემა, რომელიც დღეს არსებობს თანამედროვე დიდ ძალთა სახით, რაშიც გამოიხატა საერთო გაგება იმისა, თუ რა არის სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა. ეკლესიის საერო ძალაც შეიკვეცა იმ ზომამდე, რომ მას აღარ შეეძლო მეტოქეობა გაეწია რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტისათვის. საპასუხოდ, პაპმა ინოკენტი X-მ შეაჩვენა ამ ზავის ხელშეკრულებები, როგორც „არარაული, ცარიელი, უსამართლო, უმართებულობით შემზარავი, უჭკუო, უწმინდური, ყოველსავე აზრს და ნაყოფს მოკლებული სამარადისოდ“.

მეორეც, ამ ზავმა ბოლო მოუღო ჩარევას რელიგიურ საქმეებში, რაც მანამდე ხშირი საფუძველი იყო სუვერენულ პრეროგატივათა ხელყოფისათვის. შეიარაღებულ დაპირისპირებათა ათწლეულების შემდეგ აუგსბურგის ზავის სქემა საბოლოოდ გამყარებულ იქნა, არა ზუსტად 1555 წლის ფორმით, მაგრამ ისე, რომ ეფექტიანად დადგინდა მთავართა ძალაუფლება რელიგიის საკითხებში. სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა რომ კიდევ განივრცო შემდგომ ათწლეულებში, ვერც ერთი ევროპული სახელმწიფო ვერ ეომებოდა მეორეს მისი რელიგიური კურსის გამო, რაც მკვეთრ კონტრასტში იყო მანამდელ 130 წელთან, როცა ევროპას რელიგიური ომები გლეჯდა. სუვერენული სახელმწიფოების სისტემა რომ განივრცო შემდგომ წლებში, ჩაურევლობის ეს სისტემაც განზოგადდა და საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ ფუძემდებელ ნორმად იქცა.

შემდგომ სამ საუკუნეში სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა მსოფლიოში გავრცელდა და თავის კულმინაციას მიაღწია ევროპელთა კოლონიური იმპერიების დაშლის სახით XX საუკუნის შუაში, როცა სახელმწიფო გახდა პოლიტეიის ერთადერთი ფორმა, რომელსაც ოდესმე დედამიწის ზედაპირის მოცვა ეწერა. დღეს სუვერენიტეტის ნორმები შესულია გაეროს ქარტიაში, რომლის მუხლი 2(4) კრძალავს სხვისი „პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის“ ხელყოფას და მუხლი 2(7) სასტიკად კრძალავს ჩარევას.

სუვერენული სახელმწიფო რომ ევროპის კონტინენტს იკავებდა ნაწილ-ნაწილ, ახალი დროის დამდეგს, რითაც იქმნებოდა ევენტუალურად მთელი მსოფლიოს მომცველი სისტემა, მაშინ იმდროინდელმა პოლიტიკურმა მოაზროვნეებმა შეიწყნარეს პოლიტეიის ეს ფორმა და ჩამოწერეს, თუ რა ქმნიდა მას ლეგიტიმურად. ისინი არ იყვნენ ამ ცნებისა და იდეის აღმომჩენები, რადგან თვით შუა საუკუნეებშიც კი დანტე და მარსალიუს პალუელა ქადაგებდნენ საერო და საეკლესიო ძალაუფლებათა გამიჯვნას, რაც, მთი აზრით, მიიღწეოდა პრეროგატივების გადაცემით საერო მმართველობის ხელში. მაშინ, უხეში მიახლოებით, იყო ორი ფილოსოფოსი, რომელნიც, მართალია, ექსპლიციტურად და შეგნებულად არ წერდნენ სუვერენიტეტის შესახებ, მაგრამ თავისი იდეებით, რეალურად, აღწევდნენ დიდ წინსვლას ამ ცნების შემუშავებაში. მაკიაველი აკვირდებოდა ქალაქ-სახელმწიფოთა პოლიტიკას თავის რენესანსულ იტალიაში და აყალიბებდა, რა უნდა მოიმოქმედოს მთავარმა, რათა წინ წაწიოს თავისი აყვავებული რესპუბლიკა, – აყალიბებდა იმგვარ ტერმინებში, რომლებიც ამ მთავარს ანიჭებდა უზენაეს ძალაუფლებას ამ ტერიტორიაზე. მკაფიო იყო, რომ ეს მთავარი არ უნდა შეზღუდულიყო არც ბუნებითი კანონით, არც კანონიკური სამართლით, არც სახარების მცნებებით, არც სხვა რამ ნორმებით და ავტორიტეტებით, რომლებიც სავალდებულო იქნებოდა მისთვის, როგორც საქრისტიანოს წევრისათვის. მეტიც, იგი მზად უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ „კეთილი არ ყოფილიყო“, არამედ მზად ყოფილიყო ავის საქმნელადაც, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბოროტი ბოროტი აღარაა, არამედ იმიტომ, რომ ეს ზოგჯერ საჭიროა მაკიაველისათვის ცენტრალური მიზნის – სახელმწიფოს ძლიერებისა და მოწესრიგების მისაღწევად. მთავრისთვის ვალდებულებაა მხოლოდ raison d`etat – სახელმწიფოსათვის აზრი. იგი უზენაესია სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით და პასუხისმგებელია მხოლოდ ამ ერთი (ერთეული) კრებულის კეთილდღეობისათვის.

მარტინ ლუთერი სულ სხვა მხრიდან ასაბუთებდა სუვერენიტეტს. მისი რეფორმაციის თეოლოგია მოითხოვდა კათოლიკური ეკლესიისაგან მრავალი უფლების ჩამოცილებას – არა მხოლოდ საეკლესიოსას, არამედ ისეთებისასაც, რომლებიც, ყველა თანამედროვე განსაზღვრებით, საეროა. მას მიაჩნდა, რომ ეკლესია აღარ უნდა მოიაზრებოდეს, როგორც ხილული იერარქიული ინსტიტუტი, არამედ როგორც უხილავად გაერთიანებული აგრეგატი (ერთობა) ადგილობრივი ეკლესიებისა, რომლებიც სწორ მოძღვრებას მიჰყვებიან. ამგვარად, კათოლიკურ ეკლესიას აღარ უნდა სჭეროდა კანონიერად ვრცელი მიწები, რომლებსაც იგი ბეგრავდა და იცავდა და რომელშიც სამართალს ახორციელებდა. მის ეპისკოპოსებს აღარ უნდა სჭეროდათ საერო თანამდებობები მეფე-მთავრების ხელქვეით. აღარც პაპს უნდა შესძლებოდა საერო ხელისუფალთა გადაყენება განკვეთის უფლების გამოყენებით. რაც ყველაზე არსებითია, რომის იმპერატორს აღარ უნდა შესძლებოდა კანონიერად ძალით განეხორციელებინა კათოლიკური ერთგვაროვნება. ეკლესიას და მისი სახელით მოქმედთ აღარ უნდა შესძლებოდათ პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების განხორციელება. ვის უნდა აეღო ხელში ეს ამგვარად განთავისუფლებული უფლებამოსილებები? ტერიტორიულ მთავრებს. „ეკლესიის დამოუკიდებლობისა და მის მიერ ტერიტორიისგარე საზოგადოებრივი აზრის მართვის გაუქმებით მოცილებული იქნა სახელმწიფოს შიგნით ერთიანობის უკანასკნელი დაბრკოლება“ (ფიგსი). ვესტფალიაში ვითარების სწორედ ამ ხედვამ გაიმარჯვა.

ლუთერის პოლიტიკური თეოლოგია ყოველივე ამის ახსნა იყო. იგი ამბობდა, რომ ღვთის ძალაუფლების ქვეშ არსებობს ორი ფორმა მართვისა – „სულის სამეფო“ არის ის ფორმა (ის წესრიგი), რომლითაც ქრისტე მიმართებაშია მორწმუნის სულთან. ამა ქვეყნის სამეფო კი არის ის ფორმა (ის წესრიგი) საერო საზოგადოებისა, სადაც საერო ხელისუფალნი [illegible] თავის მმართველობას [illegible] კანონისა და იძულების მეშვეობით. ორივე ამ სამეფოს კეთილი მოაქვს მორწმუნეთათვის, მაგრამ სხვადასხვა აზრით ისინი ცალ-ცალკე უნდა იყონ ორგანიზებულნი. ეკლესიის მესვეურებმა სულიერი მოვალეობები უნდა აღასრულონ, მეფე-მთავრებმა და მაგისტრატურებმა – საერო. პაპისა და კათოლიკური ეკლესიის ძალისაგან გათავისუფლებულებმა, თავის საბრძანებელში შესაბამისი საერო ძალაუფლების მქონეებმა, მთავრებმა ახლა ეფექტიანად უნდა განახორციელონ თავისი საკუთარი სუვერენიტეტი. იმ ეპოქაში მთავრები მნიშვნელოვან კონტროლს ახორციელებდნენ თვით პროტესტანტულ ეკლესიებზეც კი, ხშირად ნიშნავდნენ მათს ადგილობრივ ლიდერებს, როგორც ამას ხატავს „ერასტიანიზმის“ დოქტრინა. თუმცა არც ლუთერს, არც სხვა პროტესტანტ რეფორმატორებს არ განუხილავთ სუვერენიტეტის დოქტრინა მის დეტალებში, მათ მთავრებს შესთავაზეს მისი თვით დედაარსი. ფიგსი წერს: „ერთიანობა, უნივერსალობა და არსებითი სისწორე ტერიტორიული სუვერენული სახელმწიფოსი, უარყოფა ყოველივე ტერიტორიის გარეან დამოუკიდებელი კომუნალური ფორმისა ცხოვრების სარეგულაციოდ – აი, ეს არის ლუთერის წარუვალი წვლილი პოლიტიკაში“.

ახალი დროის დამდეგს სხვა ფილოსოფოსები, რა თქმა უნდა, ექსპლიციტურად იღებენ სუვერენიტეტის ამ დოქტრინას და, ამგვარად, ისინი უფრო ფართოდ დაკავშირებულნი არიან მასთან. ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდენი პირველი ევროპელი ფილოსოფოსია, რომელიც ფართოდ იხილავს ამ ცნებას. მისეული ცნება souverainete-ს (სუვერენიტეტისა) ცენტრალურია მის შრომაში. მისი de la republique („რესპუბლიკისათვის“) (1576) დაწერილია კალვინისტებისა და კათოლიკური მონარქიის ომის ქარცეცხლში. იგი წესრიგის პრობლემას თვლიდა ცენტრალურად და არ ფიქრობდა, რომ იგი გადაწყვეტადია მოძველებული შუასაუკუნობრივი აზრებით სეგმენტირებული (დაყოფილი) საზოგადოების შესახებ, არამედ მხოლოდ იმ იდეით, რომ მმართველნი და მართულნი გაერთიანებულნი არიან ერთ პოლიტიკურ სხეულად, რომელიც მაღლა დგას ყოველსავე ადამიანურ კანონზე და, სინამდვილეში, ამ კანონის წყაროა. ეს იდეა არის სუვერენიტეტის იდეა: მხოლოდ უზენაეს ძალაუფლებას მოცემული ტერიტორიის შიგნით ძალუძს, გააძლიეროს დაჭუცმაცებული საზოგადოება.

ბოდენი ფიქრობდა, რომ ეს კორპუსი („სხეული“), რომელიც სუვერენიტეტს განახორციელებს, უნდა აკავშირებდეს თავისთავში ბუნებითსა და ღვთაებრივ კანონს, თუმცა ვერც ერთი ადამიანური კანონი ვერ განსჯის და ვერ მიმართავს მას. კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ, მისი აზრით, მართებულად განსხვავებული სუვერენიტეტი პატივს სცემდა ჩვეულებითსა და საკუთრებითს უფლებებს. არ არის ნათელი, თუ ასეთი შეზღუდვა როგორაა შეთავსებადი სუვერენული ძალაუფლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესობის სტატუსთან. შესაძლოა, ბოდენი ფიქრობდა, რომ ასეთი უფლებები უნდა ყოფილიყო მახასიათებლები ლეგალური რეჟიმისა, რომელიც თვითონაა სუვერენული სხვა ხელისუფლებებთან მიმართებაში. იგი ფიქრობდა აგრეთვე, რომ სუვერენიტეტის მატარებელი ხელისუფლება შესაძლებელი იყო ლეგიტიმურად ყოფილიყო მონარქიული ან არისტოკრატული ან დემოკრატიული, თუმცა პირადად მას არისტოკრატია ერჩია. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ეს ხელისუფლება თავისი ტერიტორიის შიგნით დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი გარე ადამიანური კანონისაგან ან ძალაუფლებისაგან. ჰინსლი წერს:

„ისეთ დროს, როცა იმპერატიული გახდა ბოლოს მოღება კონფლიქტისათვის მმართველებსა და მართულებს შორის, ბოდენმა გააცნობიერა, — და ეს დიდი ინტელექტუალური ღვაწლი იყო, — რომ კონფლიქტი დაცხრებოდა მხოლოდ მაშინ, თუ შესაძლებელი იქნებოდა აუცილებლად შეუზღუდველი შინაგანი ძალის ორგანიზებაც, ერთის მხრივ, და ამ ძალის განსხვავებაც ყველა კანონისა და წესისადმი გულგრილი აბსოლუტიზმისაგან, მეორეს მხრივ. მან ეს იმით შეძლო, რომ (თავის აზრში) ძალის ლეგალურობაც და მისი სიბრძნეც, რომელიც უზრუნველყოფდა მის მიერ საჭირო შეზღუდვათა დაცვას, დაამყარა იმ პოლიტიკური კორპუსის („სხეულის“), როგორც პოლიტიკური საზოგადოების, ბუნებაზე, რომელსაც უნდა მოეცვა მმართველნიც და მართულნიც. მისი ეს კონსტატაცია სუვერენიტეტის აუცილებელობისა იყო ერთადერთი შესაძლებელი შედეგი“.

ბოდენისეული „სუვერენიტეტის განცხადება“ პირველი სისტემური ნაბიჯია ამ მიმართულებით ევროპულ ფილოსოფიაში და, ამგვარად, დროის ნიშანსვეტია.

ჰობსიც სამოქალაქო ომის ვითარებაში წერდა და ისიც სუვერენიტეტის ცნებამდე მივიდა, როგორც ხსნამდე. მის თვალში ადამიანები ადგენენ (აყალიბებენ, აფუძნებენ) სუვერენულ ხელისუფლებას ხელშეკრულების საშუალებით, რომლითაც ისინი ყველა თავის უფლებას გადასცემენ ლევიათანს — სახელმწიფოს ცნების აბსტრაქტულ განსახიერებას. ამ უკანასკნელის ნება უზენაესია და იგი განასხეულებს მისი ამომრჩევლების და მისთვის თავის ყველა უფლებათა გადამცემების ნებას. ბოდენისეული სუვერენიტეტივით, იგიც ყოველსავე კანონზე მაღლაა, იგი მოკვდავი ღმერთია და არაა შეკრული არანაირი ხელშეკრულებითი ვალდებულებით არანაირ გარეშე მხარესთან. მაგრამ, ბოდენისაგან განსხვავებით, ჰობსის ლევიათანი არაა შეზღუდული რაიმე ბუნებითი, საღვთო ან ჩვეულებითი სამართლით, კანონი, უფრო, მისი ბრძანებაა, მისი ნებიდან გამომდინარე, და აღსასრულებლად სავალდებულოა აბსოლუტურად.

ბოდენიცა და ჰობსიც ქადაგებენ სუვერენიტეტს, როგორც უზენაეს ხელისუფლებას. ეს იდეა განაგრძობს პრევალირებას, როგორც სახელმწიფოთა პოლიტიკური მართვის პრეზუმფცია, მთელს დედამიწაზე დღემდე, ისეთ სახელმწიფოთა ჩათვლით, სადაც სუვერენული მმართველი კორპუსი აწესებს შეზღუდულ მმართველობას და სამოქალაქო უფლებებს ინდივიდისათვის. საუკუნეთა მანძილზე გაჩნდა სუვერენიტეტის მპყრობელის ახალ-ახალი ცნებები. რუსო, ბოდენისა და ჰობსისაგან ძალიან განსხვავებულად, ადამიანთა კოლექტივს სახელმწიფოს შიგნით განიხილავდა როგორც სუვერენს, რომელიც მართავს საერთო ნებით. კონსტიტუციურ მმართველობებში სწორედ ხალხი მართავს საკანონმდებლო კორპუსის მეშვეობით, რომელიც სუვერენულია. ეს ის ვერსიაა, რომელსაც, უმეტესწილად, ლეგიტიმურობა აქვს მსოფლიოში დღეს.

3. სუვერენული სახელმწიფოს შეზღუდვა („შემოფარგვლა“): თეორია და პრაქტიკა

სუვერენიტეტის შობა და გლობალური გავრცელება, რომელსაც აქებენ და განადიდებენ კიდეც პოლიტიკური ფილოსოფოსები, ახალ დროში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ყველაზე საშინელი პოლიტიკური ტენდენციაა. მაგრამ თავისი გაჩენის პირველი დღეებიდანვე სუვერენიტეტი, ამასთან ერთად, შეჰხვდა მოეჭვეებსაც და კვალიფიციურ მხარდამჭერებსაც. ამ უკანასკნელთა შორის მრავალნი მიიჩნევდნენ, რომ ყოველი კორპუსი („სხეული“), რომელიც განასახიერებს კანონის მიერ სუვერენიტეტის სტატუსზე პრეტენზიის გაცხადებას, კერპთაყვანისმცემლობის ფორმაა, ზოგჯერ — დამცავი ბაკანი, რომლის მიღმაც მმართველნი მალავენ თავის სისასტიკესა და უსამართლობას, რათა კანონიერი უცხო თვალი არ მოჰხვდეთ. რეალურად, მხოლოდ ჰოლოკოსტის (ჰიტლერელთა მიერ ებრაელების გენოციდის) შემდეგ მოხდა ის, რომ რეალურად გაჩნდა სუვერენიტეტის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური შეზღუდვა, რის შედეგადაც მნიშვნელოვანწილად შეიკვეცა სუვერენული სახელმწიფოს უფლებები. ყველაზე დიდი შეკვეცებია ის, რომელიც განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით და ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით.

1948 წელს სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რითაც იკისრა, პატივი სცეს ინდივიდთა 30-ზე მეტ ცალკეულ უფლებას. ვინაიდან ეს არ იყო სამართლებრივად დამაკმაყოფილებელი დეკლარაცია და არ შეიცავდა იძულებითი განხორციელებინების მექანიზმებს, მან სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ხელშეუხებელი დატოვა, მაგრამ ეს მაინც იყო პირველი ნაბიჯი მათი მიბმისა საერთაშორისო საყოველთაო ვალდებულებებზე, რომლებიც შეეხებოდა მათს შინაგან საქმეებს. შემდგომი ათწლეულების მანძილზე ხდებოდა ამ ადამიანურ უფლებათა სტატუსის თანდათანობითი ამაღლება. ერთერთი ყველაზე მძლავრი კონვენცია ადამიანის უფლებათა თემაზე, — რომელიც მართლაც კვეცავს სუვერენიტეტს, — არის „ევროპული კონვენცია ადამიანთა უფლებათა დაცვის შესახებ“ და ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც დაფორმულდა 1950 წელს. მისი დაახლოებით თანამედროვე, 1948 წლის 9 დეკემბერს ხელმოწერილი, იყო კონვენცია გენოციდის შესახებ, რომელიც ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, თავი შეიკავონ გენოციდისაგან და დასჯონ იგი. შემდეგი, 1960-იანი წლების შუახანებში, დაიდო „შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ და „შეთანხმება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“, რამაც სამართლებრივად დაავალდებულა მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა, პატივი სცენ თავისი ხალხების ადამიანურ უფლებებს. ამჯერად ხელმომწერ სახელმწიფოთა კონსტიტუციური ძალაუფლება დიდწილად ხელუხლებელი დარჩა, რამდენადაც ისინი არ უშვებდნენ იმას, რომ რომელსამე ამ ვალდებულებათაგანს გამოეწვია მათი სუვერენიტეტის ხელყოფა. შემდგომი შეთანხმებებიც ადამიანურ უფლებათა შესახებ, რომელთაც ხელი მოაწერა სახელმწიფოთა უმრავლესობამ, ასევე შეიცავდა დათქმებს სუვერენიტეტის ხელყოფის დაუშვებლობის თაობაზე.

მხოლოდ ადამიანურ უფლებათა უკან სამხედრო იძულების დგომისა და ძლიერი იურიდიული პროცედურებით დამუქრების პრაქტიკას შეეძლო, სერიოზულად შემოეზღუდა სუვერენიტეტი. ამ მიმართულებით სერიოზული პროგრესი დაიწყო ცივი ომის დამთავრების შემდეგ ვესტფალიის ზავის გადახედვის სახით — გადახედვისა, რომელიც კვეცავს ამ ზავში მძლავრად წინ წამოწეულ ნორმას ინტერვენციის დაუშვებლობის თაობაზე. ეპიზოდთა მთელ სერიაში, დაწყებული 1990 წლიდან, გაერომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს იმგვარ პოლიტიკურ ქმედებას, ჩვეულებრივ — სამხედრო მოქმედების მომცველს, რომელსაც სახელმწიფოთა ფართო კონსენსუსი მანამდე განიხილავდა, როგორც უკანონო ჩარევას სხვათა შინაგან საქმეებში. ეს ეპიზოდები მოიცავდა სამხედრო ჩარევის მოწონებას, როგორც ჩადენილი უსამართლობის გამოსწორების საშუალებისას ამა თუ იმ სახელმწიფოს შიგნით ან რომელსამე სახელმწიფოში გაჩენილი შინაგანი პრობლემების ადმინისტრირების პოლიტიკური აქციის სახით. ცივი ომისდროინდელი სამშვიდობო ოპერაციებისაგან განსხვავებით, ამ ოპერაციებს ჩვეულებრივ არ ჰქონდა ხოლმე მიზანში ამოღებული სახელმწიფოს მთავრობის დასტური. ასეთი ოპერაციები ჩატარდა ერაყში, ყოფილ იუგოსლავიაში, ბოსნიაში, კოსოვოში, სომალიში, ჰაიტიზე, კამბოჯაში, ლიბერიაში და სხვაგან. თუმცა ცალკეულ ინტერვენციათა კანონიერება და სიბრძნე არც თუ იშვიათად დგება კითხვის ქვეშ სხვადასხვა სახელმწიფოთა მხრიდან — მაგალითად, აშშ-ის მიერ იუგოსლავიის დაბომბვამ და ნატოს ინტერვენციამ კოსოვოში ვერ მიიღო გაეროს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერა, — მაინც ამგვარი ჩარევის პრაქტიკა მოსალოდნელია გაგრძელდეს და გაეროში უშიშროების საბჭოს მხრიდან დიდი მხარდაჭერაც ჰქონდეს, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა.

მეორე გზა სუვერენიტეტის შემოზღუდვისა ევროპული ინტეგრაციაა. ეს იდეაც იშვა როგორც რეაქცია ჰოლოკოსტზე — უბედურებაზე, რომელიც მრავალმა ევროპელმა ლიდერმა მიაწერა, ნაწილობრივ მაინც, სუვერენული სახელმწიფოს არა ანგარიშვალდებულებას მსოფლიოს წინაშე. ისტორიულად, ევროპის ინტეგრაციის ყველაზე ენთუზიასტი მხარდამჭერები კათოლიკური ქრისტიან-დემოკრატიული პარტიებიდან წარმოდგებოდნენ, რომელთა იდეალებს ფესვი ჰქონდა შუა საუკუნეთა ქრისტიანობაში, სადაც, — თეორიაში მაინც, — არც ერთი ლიდერი არ იყო სუვერენული და ყველა მათგანი ანგარიშვალდებული იყო ღირებულებათა საყოველთაო სისტემის წინაშე. ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის თანამედროვე ენით ისინი ეხმაურებოდნენ პაპი ინოკენტი X-ის მიერ ვესტფალიის ზავის შეჩვენების ტექსტს.

ევროპის ინტეგრაცია დაიწყო 1950 წელს, როდესაც ექვსმა სახელმწიფომ პარიზის შეთანხმებით შექმნა „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება“. ამ გაერთიანებამ შექმნა გაერთიანებული ევროპული ხელისუფლება ექვსი ქვეყნის მონაწილეობით ქვანახშირისა და ფოლადის საქმეთა სამართავად, რასაც მოჰყვა აღმასრულებელი კონტროლი მუდმივად არსებული ბიუროკრატიის ხელით და გადაწყვეტილებათა მიმღები მინისტრთა საბჭოს შედგენა, რომლის წევრები იყვნენ ამ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები. ეს მოდელი განივრცო საერთო ეკონომიკურ ზონად, რომელიც შეიქმნა რომის ხელშეკრულებით 1957 წელს. იგი კიდევ გააძლიერა ევროპის სასამართლოსა და ერთიანი ლეგისლატორის — ევროპის პარლამენტის შექმნამ, რომელიც ევროპის მომცველი, პირდაპირი არჩევნებით დაკომპლექტებული კორპუსი იყო. დროთა მანძილზე ევროპის ინტეგრაცია კიდევ განივრცო (დღეს ეს ინსტიტუტი შედგება 15 წევრისაგან) და გაღრმავდა. 1991 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებამ გააფართოვა მისი უფლებამოსილებები და გარდასახა იგი ევროპის კავშირად. დიდად დაშორებული იმ პრეტენზიას, რომ სახელმწიფოებს ჩაენაცვლოს, ევროკავშირი, უფრო, „კრებს“ (pools) მათი სუვერენიტეტის მნიშვნელოვან ასპექტებს „სუპრანაციონალურ“ (ზეეროვნულ) ინსტიტუტად, რომელშიც მათი მოქმედების თავისუფლება ჩარჩოშია მოქცეული. ისინი აღარ არიან აბსოლუტურად სუვერენულნი. დღეს ევროპული ინტეგრაცია სწრაფად მიმდინარეობს. მისი ბირთვი სახელმწიფოები უკვე ფიქრობენ თავიანთი სათავდაცვო ძალების გაერთიანებასაც, გარკვეული მიზნებისათვის მაინც.

სუვერენული სახელმწიფოს ეს შემოზღუდვა საერთაშორისო ნორმებისა და სუპრანაციონალური (ზეეროვნული) ინსტიტუტების საშუალებით პარალელს პოულობს თანამედროვე ფილოსოფოსთა აზროვნებაში, რომელთაც იერიში მიაქთ აბსოლუტური სუვერენიტეტის იდეასა და ცნებაზე. მათი აზროვნება არაა საკმაოდ ახალი. რამდენადაც ახალი დროის გარიჟრაჟზე ფილოსოფოსები, როგორიც იყო ჰუგო გროციუსი, ალბერტო ჯენტილა და ფრანციასკო სუარესი, თუმც კი იწყნარებდნენ სახელმწიფოს, როგორც ლეგიტიმურ (სამართლებრივ) ინსტიტუტს, მაინც ფიქრობდნენ, რომ მისი ძალაუფლება შეზღუდული უნდა იყოს და არა აბსოლუტური. მაგალითად, ულმობელი მთავარი უნდა დაქვემდებარებული იყოს მეზობელი მთავრების ზემოქმედებას, რომლებიც მას დისციპლინის ჩარჩოებში მოაქცევენ,რაც ფრიად და ფრიად წააგავს ჰუმანიტარული ჩარევის დღევანდელ იდეას.

შესაძლებელია, ორი ყველაზე გამორჩენილი თავდასხმა დღევანდელ სუვერენიტეტზე II მსოფლიო ომის აქეთ ფილოსოფოსთა შორის ეკუთვნით ბერტრან დე ჟუვენალს და ჟაკ მარიტენს. თავის შრომაში „სუვერენიტეტი. გამოკვლევა პოლიტიკური სიკეთის შესახებ“ ჟუვენალი აღიარებს, რომ სუვერენიტეტი თანამედროვე პოლიტიკური ძალაუფლების არსებითი ატრიბუტია, რომელიც საჭიროა შინაგანი დისპუტების დასაცხრობად და კოოპერაციის (თანამშრომლობის) საორგანიზაციოდ გარეშეთაგან თავდაცვის საქმეში. მაგრამ იგი პირწმინდად უკუაგდებს სუვერენიტეტის თანამედროვე იდეას, რომელიც ქმნის წესებზე მაღლა მდგომ ძალას, — ძალას, რომლის გადაწყვეტილებები ლეგიტიმურად უნდა ჩაითვალოს, უბრალოდ, იმიტომ, რომ ისინი ამ ძალისაგან მომდინარეობენ. ჟუვენალის აზრით, სუვერენიტეტის იდეამ თავის მწვერვალს მიაღწია ჰობსის აზროვნებაში, რომლის „საზარელ კონცეფციაშიც ყოველივე დაიყვანება იძულების საშუალებამდე, რომელიც სუვერენს საშუალებას აძლევს, გამოცეს უფლებები და ქვეყანას უკარნახოს კანონები, როგორც მეხასიათება. მაგრამ თვით ეს იძულების საშუალებები მხოლოდ ერთი ნაწილია სუვერენის ხელში თავმოყრილი ძალისა“. მიუხედავად მათი ურთიერთგანსხვავებისა სუვერენიტეტის ადგილისა და ფორმის თაობაზე, შემდგომ მოაზროვნეებს ლოკის, პუფენდორფისა და რუსოს სახით „ენებათ თავის თავზე გამოეცადათ ამ მექანიკურად სრულყოფილი კონსტრუქციის მიმზიდველი ძალა“. ეს იყო „თვით სუვერენიტეტის ტრიუმფის საათი“, რომლის უარსაყოფად მას აქეთ კადნიერება არავის ეყოფა“.

როგორც გვაგრძნობინებს მის მიერ ჰობსის გადმოცემა, ჟუვენალი ახალი დროის დამდეგის აბსოლუტურ სუვერენობას დიდი შეშფოთებით განიხილავს. „თვით ეს იდეა სახიფათოა“ — წერს იგი. მაგრამ ის ამ იდეის გადაგდებას კი არ ითხოვს, არამედ მიაჩნია, რომ სუვერენიტეტი წარმართულ უნდა იქნას იმგვარად, რომ სუვერენული ხელისუფლება არ ინდომებდეს არაფერს ისეთს, რაც არ არის კანონიერი. მორალი, რომელიც არანაირად არ არის დამოკიდებული სუვერენის ნებაზე, დამოუკიდებელი ჭეშმარიტობის მატარებელია. მიჰმართავს რა თვალს „ქრისტიანი მოაზროვნეების“ პერსპექტივისაკენ, იგი ამბობს, რომ „არსებობენ ისეთი ნებანი, რომლებიც სამართლიანნი

არიან, და ისეთი ნებანი, რომელნიც უსამართლონი არიან". ამგვარად, „ძალაუფლებას ახლავს ვალდებულება, რომ ბრძანოთ ის, რისი ბრძანებაც ჯერ არს". ეს ძალაუფლების ის გაგებაა, რომელიც ჰქონდა „ანსიენ რეჟიმს" („ძველ რეჟიმს", საფრაგეთის მონარქიას 1789 წლის რევოლუციამდე. რედ.), რომლის თანახმადაც კარგ მრჩეველებს შეეძლოთ მონარქის ძალისხმევა მიემართათ საერთო სიკეთისაკენ. რას ძალუძს დღევანდელი სუვერენიტეტის წარმართვა? ჟუვენალი, როგორც ჩანს, ეჭვობს, რომ ამისათვის კმაროდეს იუსტიციური ან კონსტიტუციური სქემა. მას, უფრო, იმის იმედი აქვს, რომ ასეთ „რჩევას" მოიცემს მოქალაქეთა საერთო მორალური წარმოდგენები, რომლებიც მოქმედებს სუვერენის არჩევანების ჩარჩოში მოქცევის მიმართულებით.

თავისი წიგნის „ადამიანი და სახელმწიფო" (1951) II თავში მარიტენი სუვერენიტეტის მიმართ იმ შეზღუდულ სიმპათიასაც არ იმეტებს, რასაც მისდამი ჟუვენალი იჩენს: „ჩემი რწმენაა, რომ პოლიტიკური ფილოსოფია უნდა გათავისუფლდეს ამ ცნებისაგან — „სუვერენიტეტისაგან", არა იმიტომ, რომ იგი მოძველებულია, ამ „ობიექტური კანონის" სოციოლოგიურ-იურიდიული თეორიის გამო, და არც მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ცნება ქმნის აუარებელ გადაულახავ სიძნელეებს და თეორიულ ხლართებს საერთაშორისო სამართლის სფეროში, არამედ იმიტომ, რომ, თუ მას განვიხილავთ მისი ნაღდი (გენუინური) მნიშვნელობის მიხედვით და იმ საკუთრივ მეცნიერული სფეროს პერსპექტივის თვალსაზრისით, რომელსაც იგი (ეს ცნება) ეკუთვნის — პოლიტიკური ფილოსოფიის თვალსაზრისით, — მაშინ ეს ცნება (იდეა) შინაგანად ყალბია და გარდუვალად გზიდან ამცდენია — თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მან მეტისმეტად დიდხანს და მეტისმეტად ფართოდ იარსება საიმისოდ, რომ უფლება გვქონდეს მისი უკუგდებისა, და მასში გაუთვალისწინებელი რჩება ის ყალბი კონნოტაციები (თანმხლები მნიშვნელობები), რომლებიც მისგან განუშორებელია".

ბოდენისა და ჰობსის შეცდომა ის იყო, რომ მათ სუვერენიტეტი მოაზრებული ჰქონდათ, როგორც ძალაუფლება, რომელიც ხალხს ჰერმანენტულად გადააქვს და რომელსაც ასხვისებს გარეგან ერთეულზე, ამ შემთხვევაში — მონარქზე, იმის ნაცვლად, რომ იყოს ხალხის წარმომადგენელი და იყოს ანგარიშმგებელი ამ უკანასკნელის წინაშე. სუვერენი, ამ კონცეფციის მიხედვით, გახდა ტრანსტენდენტური ერთეული, რომელსაც უპყრია ამ ხალხის მართვის უფლება, ამ უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად. ჟუვენალის მსგავსად, მარიტენი გმობს სუვერენის ნების ეგზალტაციას იმ ზომამდე, რომ სამართლიანად მივიჩნევდეთ იმას, რაც ამ ნების ინტერესს ემსახურება. ეს კერპთაყვანისმცემლობაა. ყოველივე გადაცემა პოლიტიკური კორპუსის („სხეულის") ძალაუფლებისა თუნდ მისსავე ნაწილზე, თუნდ რამე უცხო ერთეულზე, — სახელმწიფო აპარატი იქნება ეს, მონარქი თუ თვით ხალხიც კი, — უკანონობაა, რადგან მთავრობის ჭეშმარიტობა (validity) ეფუძნება მის კავშირს ბუნებითს სამართალთან. სუვერენიტეტი შობს სამ ფუნქციისეულ დარღვევას. **პირველი.** მისი საგარეო განზომილება გაუგებარს („მოუაზრებადს") ხდის საერთაშორისო სამართალს და მსოფლიო სახელმწიფოს (ერთსაც და მეორესაც მარიტენი დიდი სიმპათიით ეკიდება). **მეორე.** სუვერენიტეტის საშინაო განზომილება, აბსოლუტური ძალა სახელმწიფოსი პოლიტიკური კორპუსის („სხეულის") მიმართ იწვევს ცენტრალიზმს და არა პლურალიზმს. **მესამე.** სუვერენული სახელმწიფოს უზენაესი ძალა ეწინააღმდეგება ანგარიშვალდებულების დემოკრატიულ იდეას.

ვინაიდან მარიტენი კათოლიკე ფილოსოფოსია, მისი არგუმენტაცია მსგავსია ახალი დროის დამდეგის ევროპის ქრისტიანი ფილოსოფოსების არგუმენტებისა, რომელნიც აკრიტიკებდნენ აბსოლუტურ სუვერენიტეტს. რაკი მოწმენი იყვნენ სახელმწიფოს, როგორც საშინელი ერთეულის, აღზევებისა, ისინი ცდილობდნენ საზღვარი დაედოთ მისი ძალისა და ძალაუფლებისათვის. ისინი იმათი წინაპარნი არიან, ვინც დღეს მოითხოვს საზღვრის დადებას სუვერენიტეტის ძალისა და ძალაუფლებისათვის ადამიანის უფლებათა სახელით, გენოციდის და სხვა უბედურებების აღკვეთის უფლების სახელით, — საერთაშორისო სისხლის სამართლისაგან და იმ ზეეროვნული ერთეულებისაგან დახმარების მიღების სახელით, რომელნიც ძალას იძენენ ეკონომიკური საქმეების სამართავად და ახლა, შესაძლოა, სამხედრო საქმეების სამართავადაც.

HISTORISCHES WÖRTERBUCH DER PHILOSOPHIE
UNTER MITWIRKUNG VON MEHR ALS 1200 FACHGELEHRTEN
JOACHIM RITTER UND KARL FRIED GRÜNDER

1. სიტყვა „სუვერენული", როგორც დარგობრივი ცნება, იხმარება XIII საუკუნიდან საფრანგეთში და XIV საუკუნიდან ინგლისშიც. ვინც სუვერენულია, ის გადაწყვეტილებათა მიღების უკანასკნელი ინსტანციაა — მაგალითად, როგორც ბარონი, ან როგორც მეფის მოხელე, ამ როგორც სასამართლო. მეფე სუვერენულია, კერძოდ, მოსამართლედაც, მაგრამ მხოლოდ იმ ზომით, რა ზომებსაც მისი უფლებამოსილებები გასწვდება. ამ უკანასკნელებსაც ზოგჯერ „სუვერენიტეტებს" უწოდებენ. XVI საუკუნეში ფრანგი იურისტი ბოდენი (Bodin) ამ ფრანგულ-ინგლისურ ცნებას ალათინურებს („suverenitas") და ათანბრებს (ათვლის. რედ.) მას გვიანდელი რომის იმპერატორთა დროიდან ნაანდერძევ ცნებებთან „summumimperium" („ზოგადი (საყოველთაო, სრული) ხელმწიფება"). „summa potestas" („ზოგადი (ჯამური, სრული) შემძლებლობა") და magestas imperii („ხელმწიფების (ძალაუფლების, შეძლების) უზენაესობა"). თუ ამავდროულად სიტყვა „souverenete" მონარხომახებთან (მონარქიასთან მებრძოლებთან) არასპეციფიკურად იხმარება, — სახელდობრ, აღნიშნავს იმპერატორების, მეფეების, წოდებითსა და ბატონობითს უფლებამოსილებებს საერთოდ და ცალცალკე, ბოდენი თავის მთავარ ნაწარმოებში ამ სიტყვას ზუსტ ცნებად აქცევს. სუვერენიტეტი არის საჯარო ხელისუფლების ერთი ნაწილი, იგი განისაზღვრება, როგორც „აბსოლუტური და მუდმივი ძალაუფლება რესპუბლიკისა, რომელსაც ლათინები ეძახიან უდიდებულესობას". ეს ძალაუფლება ალტერნატიულად (ანუ სხვა შემთხვევაში. რედ.) ეკუთვნის მის გარკვეულ „მფლობელს" (მთავარს, არისტოკრატიას, ხალხს...) და მოიცავს, როგორც თავის უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას, საყოველთაო კანონმდებლობის ფუნქციას, რომლიდანაც გამოიყვანება სუვერენის სხვა ბატონობით უფლებები: ომი და მშვიდობა, უმაღლესი თანამდებობის პირთა დანიშვნა-გადაყენება, გადაწყვეტილებები უმაღლეს მაგისტრატურათა მიერ გამოძიებულ-გამოკვლეულ ვითარებათა შესახებ, გამოსაღებთა დაკისრება და მოხსნა, შეწყალება, ფულის ფიზიკური საფუძვლის დადგენა და ერთგულების ფიცის მოთხოვნა და ა.შ. კანონმდებლობა, რომელიც ადრე, ფაქტობრივად, მხოლოდ წოდებებთან ერთად იყო შესაძლებელი, ცენტრალურ ადგილს იკავებს და ამით გვამცნობს თანამედროვე „სახელმწიფო" კანონმდებლის გაჩენას. მკაფიოდ განსაზღვრულია, რომ ამიერიდან სუვერენმა სამოქალაქო კანონებიც უნდა ცვალოს და ახლის შემოღების უფლება უნდა ჰქონდეს. მისი ფუნქციების მიჯნაა მხოლოდ ძალიან ზოგადად და აღმარებლობისათვის ანგარიშგაუწევლად განსაზღვრული „ღვთისა და ბუნების კანონები" და სახელმწიფოს ფუნდამენტური „წყობისეული" (კონსტიტუციური) კანონები. გადამწყვეტი ნახტომი თანამდროვეობისაკენ ამ კონცეფციაში კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მოხსნილია გაყოფა საეროსა (წარმავალსა) და სპირიტუალურს შორის. („ამგვარად, მღვდელი სასულიერო საქმეებში მთავარზე მაღლა დგას და, პირიქით, საერო საქმეებში მთავარი მაღლა დგას" — ასეთი იყო მანამდე ლათინურად ფორმულირებული პრინციპი). ბოდენი ამ მატერიალურსა და ინსტიტუციონალურ დაყოფას უგულებელყოფს საერო ინსტანციის ფორმალური უმაღლესობის აღიარების სასარგებლოდ: „რადგან აბსოლუტურად სუვერენულია ის, რომელიც არვის ცნობს, ღმერთის შემდეგ, თავისზე უფრო დიდად". ან: „ჩვენ ვამბობთ, რომ სუვერენული უფლებები მოუდის იმს, ვინც არავის ქვეშევრდომია ღმერთის გარდა". დროებითი (საერო) საკითხების დადგენის თემის გამოტოვება (ბოდენის მიერ. რედ.) ათავისუფლებს მას შუა საუკუნეებისათვის ტიპიური კონფლიქტის განხილვისაგან საერო და სასულიერო ინსტანციებს შორის და აფუძნებს სახელმწიფოს კომპეტენციას, რომ თვითონვე განსაზღვრავდეს, ერთპიროვნულად, თავისი კომპეტენციის წესებსა და საზღვრებს („კომპეტენციათა განსაზღვრის კომპეტენცია"), მაშასადამე, განსაზღვრავდეს იმასაც, რაც საეროა, და იმასაც, რაც, როგორც „სასულიერო", ეკლესიის კომპეტენციას ექვემდებარება. ამით წანამძღვრები ეცლება სახელმწიფოსა და ეკლესიის ძველ დუალიზმს, რაც მზადდებოდა (მწიფდებოდა) მას აქეთ, რაც რელიგიური ერთობა დასრულდა, რელიგიური სამოქალაქო ომები მოხდა და პოლიტიკური აზროვნება XVI და XVII საუკუნეებში თავისთავადი გახდა. თანამედროვე სახელმწიფოს განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა ამ „კომპეტენციათა დადგენის კომპეტენციის" გარეშე, რომელიც საშინაო სუვერენიტეტის ბირთვია.

მესამე ნაბიჯი: სუვერენს უნდა შეეძლოს თავისი კომპეტენტურობის „ერთმხრივად", სხვისი თანხმობის გარეშე აღსრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სუვერენი არაა. ეს დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღებისა მიმართულია გარეთკენ და შიგნითკენ. გარეთკენ იგი მიმართულია სამართლისისტორიული (სამართლის ისტორიისათვის ცნობილი. რედ.) ხელისუფლებითი ინსტანციების — პაპისა და იმპერატორის — წინააღმდეგ, აგრეთვე ტრადიციულად შემორჩენილი დამცველობითი, ხარკის აღებითი და ვასალური ურთიერთმიმართების წინააღმდეგ, რომლებიც XVII საუკუნეში არსებობდა სახელმწიფოებს შორის. საგარეო სუვერენიტეტი ნიშნავს ბრძანების დამოუკიდებლობას: „ვინც იმპერატორისაგან, პაპისაგან ან რომელიმე მეფისაგან მითითებებს იღებს, იგი მოკლებულია უზენაეს ხელისუფლებას". ვითარების დასახასიათებლად გადამწყვეტია უფლებრივი მიმართებები. დამოუკიდებლობა არ ნიშნავს სამართლებრივ მოვალეობათა უქონლობას, რადგან ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები „ღვთისა და ბუნების კანონებისა", რომელთა რიცხვს, პირველ ყოვლისა, ფიცის ერთგულება მიეუთვნება, ერთმანეთზე აბამენ სახელმწიფოებრივ სუვერენებს (სუვერენულ სახელმწიფოებს. რედ.) ისევე, როგორც შიგნითკენ მიმართული ბატონობა იძულებულია ამ პრინციპებს ანგარიში გაუწიოს. „შინაგანი" სუვერენიტეტი მიმართული იყო მართვაში სამღვდელოების, თავადაზნაურობისა და ქალაქის მოქალაქეთა (წოდებათა) თანამონაწილეობის წინააღმდეგ. გვიანი შუასაუკუნეებისდროინდელი კონცეფციის — „წოდებათა სახელმწიფოს" — იდეაში ნაგულისხმევი ჰარმონია ერთის მხრივ მთავრის ინტერესთა და მეორეს მხრივ „ქვეყნის უდიდესთა და საუკეთესოთა" ინტერესთა შორის ამ დროისათვის დიდად ჩამოდნარი იყო მზარდი სოციალური დიფერენციაციის წყალობით და XVI საუკუნეში უკვე აღმსარებლობითი სხვადასხვაობის მსხვერპლად იყო გამხდარი. წოდებათა შესაძლებლობების დაყვანამ „რჩევისა და შემწეობის" მიღებაზე ისინი გამოთიშა საკუთრივ სახელმწიფოს ნების ფორმირების პროცესიდან და ისინი, ფაქტობრივად, საზოგადოების ნაწილად ყოფნის სტატუსამდე ჩამოაქვეითა. წოდებათა თანხმობის პოზიციისა და მათი ვეტოს უფლების უარყოფამ მთავრისეულ აბსოლუტიზმს თეორიული გამართლება მიანიჭა, მაგრამ, ამავე დროს, იმაზე იზრუნა, რომ ბატონობის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ აპარატს მომავალში ლეგიტიმაციის მხოლოდ ერთი საფუძველი დარჩენოდა და თავისი სამოქმედო პროგრამები თვითონ განესაზღვრა. მისი წყალობით იყო, რომ 200 წლის შემდეგ შესაძლებელი გახდა, რომ სუვერენიტეტის ცნება დემოკრატიულ დოქტრინას გაუჭირვებლად შეეტანა თავის შინაარსში.

2. სუვერენიტეტის მოძღვრების ცალკეული ელემენტების შემუშავებას ჯერ კიდევ რომის სამართალში და საშუალო და გვიანი შუასაუკუნეების კურიალისტურსა და ლეგისტურ თეორიებში ვხედავთ. თეორიულად გადამწყვეტი მნიშვნელობის ნაბიჯი, რომელმაც ამ მხრივ ყველა „წინამორბედებს" გაუსწრო, იყო ყველა ამ ელემენტთა კომბინაცია და შემდგომი განვითარება პირწმინდად საერო მოძღვრებად სახელმწიფოს შესახებ, რომელმაც (ამ მოძღვრებამ) არსებული ევროპული საკონსტიტუციო სამართალი, წარსულისა და აწმყო ვითარების კომბინაციით, სისტემად ჩამოაყალიბა (რაც მეთოდური სიახლე იყო) და თეორიული სპეკულაცია მსოფლიოისტორიულ დასაბუთებასთან შეაერთა. თანამედროვეები მაშინვე მიხვდნენ ამ ცნების მნიშვნელობას. იგი, მართალია, მხოლოდ თავისი პროგრამით აღსრულებდა, მაგრამ მაინც აღასრულებდა ახალი დროის მოთხოვნილებას. ეს სქელტანიანი ნაწარმოები მრავალ ენაზე და მრავალი გამოცემის სახით ევროპას მოედო.

სუვერენიტეტის ცნება ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკაში გავრცელდა 1648 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებათა დადების (ვესტფალიის ზავი. რედ.) შემდეგ და მას აქეთ განუყრელად უკავშირდება დამოუკიდებლობას გარეთკენ და „სრულ შემძლებლობას" (summa potestas) შიგნითკენ. ფილოსოფიურად „სუვერენიტეტის" ცნებამ ყველაზე მეტად ჰობსის „ლევიათანში" (1651) გაიხარა. ჰობსი ბოდენისაგან სესხულობს „შერეული" სახელმწიფოებრივი ფორმების უარყოფასაც, მასავით, მოაზრებულ სისტემას წმენდს სუვერენული ხელისუფლების ყოველგვარი შეზღუდვებისაგან მოქმედი სამართლის მიერ, რომელზეც იურისტი ბოდენი ხელს ვერ აიღებდა (უგულებელსაყოფად ვერ გაიმეტებდა) და სუვერენული ბატონობის მოუგერიებლობას იმით ზრდის ხარისხობრივად, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთხელშეკრულების ისეთ კონსტრუქციას აგებს (იაზრებს), რომლითაც სუვერენს თავისთავზე აღებული აქვს ყოველივე ინდივიდუალური ძალა და ამით დაუძლეველ (გადაულახავ) „sovereign power"-ს („სუვერენულ ძალას") ქმნის. ეს თეორიაც სამოქალაქო ომის ნაყოფი იყო, მაგრამ არა ლეგიტიმისტური აზროვნებით მიღებული.

3. სუვერენიტეტის შესახებ მოძღვრება განვითარებას განაგრძობს სამი პუნქტის სახით. **პირველი.** ბოდენისა და ჰობსის მიერ აღიარებული შეუძლებლობა სახელმწიფოების „შერეული" ფორმებისა განვლილი კონსტიტუციური კამათების შემდეგ (რისაც ორსავე მოაზროვნეს ეშინოდა) ბრიტანეთის სახელმწიფო პრაქტიკაში გადაილ-

ახა იმით (გარეგნულად), რომ შემოვიდა ფორმულირება „King in the Parliament“ („მეფე პარლამენტში“): „ყველა სახელმწიფოში არსებობს აბსოლუტური უზენაესი ძალა, რომელსაც ეკუთვნის კანონმდებლობის ძალაუფლებაც და რომლითაც, მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციით, აღჭურვილნი არიან მეფე, ლორდები და თემები. კონტინენტზე „შერეული“ სახელმწიფოებრივი ფორმების იდეა გადის ჰუგო გროციუსის ავტორიტეტის წყალობით. XVIII საუკუნის სახელმწიფოს თეორიაში, რომელიც დამყარებულია ბუნებითი სამართლის იდეაზე, ჯერ კიდევ ჰობსთან და პუფენდორფთან არც თუ იშვიათად განმეორებულ კონსტიტუციურ ჩამონათვალს, თუ კერძოდ რა კომპეტენციები მოუდის სუვერენს, ენაცვლება ერთადერთი, ყოვლისმომცველი სრული ძალის წარმოდგენა, რომელიც ერთი და იგივეა ყველა სახელმწიფოში და რომელსაც ეწოდება „potestas civilis“ (სამოქალაქო შემძლებლობა, ძალაუფლება), „სახელმწიფოებრივი ბატონობა“, „საჯარო ხელისუფლება“. მისი სპეციფიკური მახასიათებელი თვისებაა „summum imperium“ (სრული ძალაუფლება), „maiestas (უდიდებულესობა), „სუვერენიტეტი“, „უზენაესი ძალა“ ან „უმაღლესი ძალა“, რომელიც მხოლოდ მონარქიაში ხორციელდება, აღწერითი ფორმით, მთავრის ცალკეული უფლებამოსილებების ჩამოთვლის გზით. სახელმწიფოს ბუნებითსამართლისეული თეორიის მიხედვით უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლება წარმოდგენილია არა კონკრეტული ბატონობითი უფლებამოსილებების („რეგალიების“) ჩამონათვალის სახით (რომლებიც ყველა ცალკეულ შემთხვევაში სათითაოდ ჩამოთვლილ უნდა იყვნენ), როგორც ამას ვხედავდით გერმანული ტერიტორიების „ქვეყნის უმაღლესობის“ და გერმანელი კაიზერის შემთხვევაში, არამედ იგი (ეს უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლება) არის „უფლება საკუთარი მოწონებისამებრ“ (ამ ტერიტორიის) მოწყობისა, როგორც და რა სახითაც ამას მოითხოვს საზოგადოებრივი სიკეთე, აგრეთვე იმ საშუალებათა არჩევისა, რომლითაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო განზრახვა, რასაც განსაზღვრავს და აწესრიგებს მხოლოდ თვით მოცემული სახელმწიფოს წყობა (კონსტიტუცია). თუ XVII საუკუნის აბსოლუტისტურ საფრანგეთში მხოლოდ სუვერენული მონარქია მიჩნეული „სრულყოფილ სუვერენიტეტად“, საიდანაც რიშელიეს გამოჰყავს არამონარქიულ სახელმწიფოებში ამ მონარქიის ინტერვენციის (ჩარევის) უფლება, ჰობსის „ბუნებით სამართალზე“ აგებული კონცეფცია სახელმწიფო ხელშეკრულებისა (ხელშეკრულებისმიერი სახელმწიფოებრიობისა. რედ.) ამ მიმართებას უკულმა ატრიალებს: მისთვის სუვერენული სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელი არის და ასეთადვე რჩება ამ ხელშეკრულების პარტნერი (ანუ ხალხი. რედ.). თუ პუფენდორფს აქედან გამოჰყავდა მხოლოდ ერთი დასკვნა – წინააღმდეგობის უფლება, ლოკი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს იყენებს იმისათვის, რომ რევოლუცია გაამართლოს, რადგან „უზენაესი ძალაუფლება ხალხის მიერ დელეგირებული ძალაუფლებაა... იგი ნებისმიერი (ნებისეული) ძალაუფლებაა, ნდობით მიღებული ძალაუფლებაა“. გასცდა რა კონკრეტულ საბაბად გამოყენებას იაკობ II-ის გადაყენებისათვის ინგლისში (1688), ლოკის ეს მთავარი დებულება, თუმცა კი ვერ იმუშავა ინგლისში, გადაეცა ამერიკის კონსტიტუციის მამებს (ჯეფერსონი, მედისონი). ისინი ავითარებენ ლოკისეულ „ნდობელობის“ კონცეფციას „ხალხის სუვერენიტეტის“ ცნებად, რომელსაც პირველად აფიქსირებენ ამერიკული კონსტიტუციის პირველმონახაზები 1776 წელს: „მაქსიმაა, რომ ყველა მთავრობაში სამართლებრივად უნდა არსებობდეს, სადაც, უზენაესი, სუვერენული, აბსოლუტური და არაკონტროლირებადი ძალაუფლება (power). მაგრამ ეს ძალაუფლება ყოველთვის ხალხის კრებულშია (კორპუსში, „სხეულში“)“. ვირჯინიის „უფლებათა ბილი“ (1776) იწყება ფრაზით: „უფლებათა გაცხადება ვირჯინიის კარგი ხალხის მიერ, რომელიც კეთდება მისი სუვერენული ძალაუფლების განხორციელების პროცესში, რომელი უფლებებიც მას და მის შთამომავლობას ეკუთვნის, როგორც ბაზისი უფლებისა“ (1789), ფრანგული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ მუხლის 3 დასკვნითი პუნქტია: „ყოველივე სუვერენიტეტის საწყისი („პრინციპი“) არსებითად ერში (ნაციაში) დევს“. რუსოს „საზოგადოებრივმა ხელშეკრულებამ“ მეტი წვლილი შეიტანა რევოლუციურ სულისკვეთებაში, ვიდრე განუსხვისებადად ხალხში მყოფი სუვერენიტეტის პრაქტიკული პრობლემის კონსტრუქციული დაუფლების საქმეში. სუვერენიტეტის გაიგივება „საერთო ნებასთან“, რისი შექმნაც მდუმარე უმრავლესობასაც ძალუძს („გამოუთქმელი თანხმობა ნაგულისხმევია დუმილშიც“. რუსო) იმას ნიშნავს, რომ აქ პირველყოვლისა განზრახულია უფლების ქმედითობის („ძალაში ყოფნის“. რედ.) თეორიის აგება დღემდე გაბატონებულ აზრთან დაპირისპირებაში, რომ „კანონს ქმნის ძალაუფლება, არა ჭეშმარიტება“, წარმომდგენლობის აკრძალვას („სუვერენულობა ვერ იქნება წარმოდგენილი იმავე მიზეზით, რომლითაც იგი ვერ იქნება გასხვისებული. იგი არსობრივად შედგება საერთო ნებისაგან, ნება კი ვერ წარმოიდგინება“) შევყავართ ჩიხში, რადგან ამით, რუსოს მოძღვრების შესაბამისად, დემოკრატიის შესაძლებლობათა არეალი მხოლოდ მცირე სახელმწიფოებით შემოიფარგლება.

4. XIX საუკუნის დამდეგისათვის სუვერენული ბატონობის ძალაუფლებით აღჭურვილი სახელმწიფოს იდეა ისევ გაბატონებული ფილოსოფიურ აზროვნებაშიც, რომ ძველი გერმანული იმპერიის განსხვავებული წყობა „გაუგებარი გამხდარა“. აქ უკვე საკითხი ეხება არა სუვერენიტეტს საერთოდ (გარეთკენ და შიგნითკენ სუვერენიტეტის გასხვავება აქ ჯერჯერობით კეთდება), არამედ ცენტრალური საკითხია თვით სახელმწიფოს ცნება (ფიხტეთი, ჰეგელით, შელინგით – მისი „ორგანიზმი“) და სამართლის მეცნიერებაში – საშინაო სუვერენიტეტის ლოკალიზცია კონსტიტუციური მონარქიის სისტემაში, რომელსაც (ამ სუვერენობას) „ვენის დასკვნითი აქტების“ (1820) მუხლი 57, მიუხედავად ლანდების წოდებათა აუცილებელი თანამშრომლობისა კანონმდებლობისა და მართვის სისტემის დადგენის საქმეში, მაინც სახელმწიფოს მეთაური მთავრის ხელში ტოვებს. პირველად 1837 წელს კ. ალბრეხტის მიერ მოხსენიებული, ხოლო 1865 წლის აქეთ საყოველთაოდ გაზიარებული გადაჭრა ამ ამოცანისა სუვერენიტეტს ათავსებს სახელმწიფოში, როგორც იურიდიულ პირში: მთავარი და ხალხის წარმომადგენლობა მხოლოდ „ორგანოები“ არიან, რომელთაც კანონის მიერ დადგენილი თავ-თავისი კომპეტენციები მოუდით.

ფედერალური (bundesstaatlich) კონსტიტუცია 1871 წლისა გერმანიის იმპერიაში სუვერენიტეტის იმპარიასა და ლანდებს შორის განაწილების საკითხს აყენებს. განსაკუთრებით გ.იელინეკის მიერ ფორმულირებული გაბატონებული აზრი ისაა, რომ სუვერენიტეტი განუყოფადია. იგი სუვერენიტეტს იმპერიას (რაიხს) აკუთვნებს, მაგრამ იმ მიზნით, რომ ლანდებს სახელმწიფოებრივი ხასიათი შეუნარჩუნოს, სუვერენიტეტს აცხადებს სახელმწიფო ხელისუფლების „არამოუცილებად თვისებად“, რაც სპეციფიკურად გერმანული გზაა: იგი გამოსადეგია მხოლოდ მოძღვრებისათვის ფედერალური სახელმწიფოს შესახებ. მაგრამ მას არ შეუძენია მნიშვნელობა სახელმწიფოს თეორიისათვის საერთოდ. იმის იურისპრუდენციულმა მცდელობებმა, რომ სუვერენიტეტი, როგორც სამართლებრივი წყობის (სამართლებრივი წესრიგის) თვისება, ზედმეტად გამოეცხადებინათ, ან იგი ასეთად ჩაეთვალათ სახელმწიფოსა და სამართლის გაიგივებისა და, ამგვარად, მასზე მაღლა საერთაშორისო სამართლის დაყენების გზით („სუვერენიტეტის ცნება რადიკალურად უნდა განიდევნოს“. ჰ.კელზენი), თეორიულადაც უსაფუძვლო აღმოჩნდა. სახელმწიფოსა და ნორმატიულად გაგებული სამართლებრივი წყობის კელზენისეული გაიგივების წინააღმდეგ კამათით და თანადროული ისტორიული გამოცდილების დამოწმებით, როდესაც გერმანიის იმპერიის პრეზიდენტის ებერტის დიქტატორული ნაბიჯი იქნა გამოყენებული რევოლუციური არეულობის პირობებში, შმიტი ცდილობს „საშინაო“ სუვერენიტეტი მოიაზროს „გამონაკლისი მდგომარეობის“ მხრიდან, ანუ იმ შესაძლებლობის მხრიდან ხედვით, რომ შეჩერებულია აღმასრულებელი ხელისუფლების შემზღუდავი სამართლებრივი ნორმების მოქმედება. მხოლოდ სამართლისა და უფლების მისეული დეციზიონისტური გაგებიდან გამომდინარე, – ან გაგებიდან, რომელიც ყოველგვარ სამართლებრივ წყობას განიხილავს, როგორც გადაწყვეტილების შედეგს და არა უფლებათა ნორმატულად განპირობებული დადგენილობისას) – არის შესაძლებელი ამგვარი ნორმა, რომელიც, მისი აზრით, „მართებულად გაითვალისწინებს სუვერენიტეტის ცნებას, როგორც ზღვრულ ცნებას“: „სუვერენი არის ის, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს გამონაკლისი მდგომარეობის თაობაზე“.

5. გერმანიის საკონსტიტუციო სამართალში გადატანილია 1919 წლის და 1949 წლის სახალხო სუვერენიტეტი „(ყოველივე) სახელმწიფო ძალაუფლება ხალხიდან მომდინარეობს“. (რაიხის კონსტიტუცია, მუხლი 1, ძირითადი კანონი, მუხლი 20). გაერომ ეს პრინციპი თავში დაუყენა „საერთაშორისო პაქტს მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (1966). „ყველა ხალხს აქვს თვითგანსაზღვრის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად წყვეტენ თავის პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად აყალიბებენ თავის სამეურნეო, სოციალურსა და კულტურულ განვითარებას“. სახალხო სუვერენიტეტი სამართლებრივად კონსტრუირებადია მხოლოდ იმ საშუალებით, რომ განვასხვავოთ, ერთის მხრივ, სუვერენული, საკუთარი პოლიტიკური სტატუსის, ანუ თავისი კონსტიტუციის შესახებ თავისი „pouvoir constituent“-ით („დამფუძნებელი ძალა“) თავისუფალი გადაწყვეტილების მიმღები ხალხი (ერი, Nation) და, მეორე მხრივ, „სახელმწიფოს ხალხი“ (Staatvolk), რომელიც არჩევნებსა და რეფერენდუმებში ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოებში, როგორც pouvoir constitue (დაფუძნებული ძალაუფლება), თავის სახელმწიფო ძალაუფლებას ახორციელებს და კონსტიტუციური წესრიგის შიგნით რჩება. პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება და სასამართლო არ არიან სუვერენულნი, მაგრამ „trusteeship-ში (ნდობითს მიმართებაში) სუვერენულ, სახელდობრ, ცალმხრივად დამავალდებულებელ სახელმწიფო ძალაუფლებას ახორციელებენ.

6. XX საუკუნის საერთაშორისო სამართალში საგარეო და საშინაო სუვერენიტეტი არის აუცილებელი პირობა, რომ ესა თუ ის ერთეული (ერთობლიობა Gemeinwesen) აღიარებული იქნას სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტად, აგრეთვე პირობა მიღებისა საერთაშორისო ორგანიზაციებში: გაერო ემყარება „ყველა მის წევრთა სუვერენულ თანასწორობას“ (მუხლი 2, აბზ.1). ხელშეკრულება „2+4“ (1990) ადგენს, რომ „გაერთიანებულ გერმანიას აქვს, შესაბამისად, სუვერენიტეტი თავის საშინაო და საგარეო საკითხებზე“. საგარეო სუვერენიტეტი არ გამორიცხავს ბმულობას საერთაშორისო სამართალზე და მისეულ ხელშეკრულებებზე. იგი დამყარებულია ხალხის სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ იგი, როგორც ამას აღნიშნავდა ბოდენი, წანამძღვრად გულისხმობს ბრძანების თავისუფლებას და სხვა სახელმწიფოთა მხრიდან მის წინააღმდეგ ჩარევის აკრძალვას. აღმოსავლეთი ბლოკის სახელმწიფოებს მოსკოვის მიმართ მხოლოდ მოჩვენებითი სუვერენიტეტი ჰქონდათ, რაც გამოჩნდა გერმანიაში (1953) და ჩეხოსლოვაკიაში (1968), როცა წითელმა არმიამ ჩაახშო სუვერენიტეტის მოპოვების მცდელობა არა მხოლოდ ხალხის მხრიდან, არამედ სახელმწიფო ორგანოთა მხრიდანაც. 1968 წელს ბრეჟნევის მიერ გაცხადებული მიძღვრება აღმოსავლეთის ბლოკის სახელმწიფოთა „შეზღუდული სუვერენიტეტის“ შესახებ იყო პრეტენზიის გაცხადება ინტერვენციის უფლებაზე სისტემისათვის საშიშროების გაჩენის შემთხვევაში.

სკეპსისი და პოლემიკა სახელმწიფო სუვერენიტეტის წინააღმდეგ XX საუკუნის მეორე ნახევარში ოპერირებს „მსოფლიო საზოგადოებისა“ და „ჰუმანისტური ინტერვენციის“ აუცილებლობის ცნებით. ასეთი თეზისები ემსახურება მხოლოდ დიდ ძალთა და მსოფლიო ძალათა სახელმწიფო პრაქტიკას, რათა მათი ინტერესების გატარებას მომცრო სახელმწიფოებთან მიმართებაში სამართლებრივად ხელს არ უშლიდეს ამ უკანასკნელთა სუვერენიტეტი. ამიტომ „სუვერენიტეტი“ დღესაც იურიდიულად საკვანძო სიტყვად რჩება ამა თუ იმ ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსანიშნავად როგორც გარეთკენ, ისე შიგნითკენ. მას შემდეგ, რაც 1988 წლის 16 ნოემბერს პირველად მოხდა, რომ ეთნიკური მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ (ესტონეთისამ) „ესტონეთის სუვერენიტეტი“ მაითხოვა, 1991 წლამდე, სუვერენიტეტი მთელ საბჭოთა იმპერიაში ბერკეტი იყო საბჭოთა ბატონობისაგან განსათავისუფლებელად და საბჭოთა კავშირის დასაშლელად.

რედაქციისაგან. როგორც ვხედავთ, „სუვერენიტეტის“ ცნება დღესაც, ისევე როგორც საუკუნეთა მანძილზე, უცვლელი ყოფილა: **სუვერენიტეტი არის დამოუკიდებლობა გარეთკენ და უზენაესობა თავისი ტერიტორიის შიგნით.** ის, ვინც სუვერენულია, დამოუკიდებელია. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რომ პირწმინდად მოკლებული არ იყოს სამართლებრივ აზროვნებას, მას ისიც ეცოდინებოდა, რომ სუვერენიტეტის, როგორც რეალური მოვლენის, დღეს ორი მიმართულებით კვეცა (რეალური კვეცა, და არა მისი იურიდიული შინაარსის ცვლა) ეხება მხოლოდ **ორ** სფეროს. **პირველი.** სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი, სახელდობრ, ევროპელები, რომელთაც თავისი ევროპელობა ძალიან ულირთ, აერთიანებენ თავის ძალისხმევას და თავის უფლებამოსილებებს ევროპის გარე ძალებთან ურთიერთობაში თავისი ქმედუნარიანობის გაზრდის მიზნით. ეს არ ნიშნავს, რომ იგივე მოხდება – ან შეიძლება მოხდეს, ან, მით უმეტეს, უნდა მოხდეს სხვაგან (არც მოხდება, რადგან დღესდღეობით მსოფლიოში არავინაა სხვა, რომ თავისი კონტინენტის ნაწილად ყოფნა ისე ულირდეს და ისეთ რეალურ უპირატესობებს აძლევდეს, როგორც ევროპელებს ევროპელობა აძლევთ). **მეორე.** სუვერენიტეტები იკვეცება იმ მხრივ, რომ რაგინდარა ძლიერ სახელმწიფოს ეკრძალება, მის მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო კონვენციების ძალით, მთელი რიგი არადემოკრატიული და არაჰუმანური ქმედებების განხორციელება, რომელთა ჩამონათვალი განუხრელად იზრდება. შესაბამისად, ეს სიახლე ზღუდავს (ზღუდავს მხოლოდ ცუდ საქმეებში, და არა კარგში, როგორიცაა საკუთარი სახელმწიფოს განმტკიცება) მხოლოდ იმ ერებს, რომელთაც თავისი სახელმწიფო აქვთ და მასში უმრავლესობა არიან, მაგრამ არა ეროვნულ უმცირესობებს, რომლებსაც სუვერენიტეტი უნდათ და მის მოსაპოვებლად მოქმედებენ. ასე რომ **აფხაზეთის (ისიც – აფხაზეთის, როგორც მხოლოდ აფსუა („აფხაზი“) ხალხის ქვეყნის, რაც ზემოხსენებულ დოკუმენტში ლაიტმოტივია) მოხსენიება „სუვერენულ“ ერთეულად ცალსახად ნიშნავს მისი საქართველოდან გამოყოფის, როგორც იურიდიული ფაქტის, აღიარებას.**

აფხაზი თავადები თავიანთ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ!

ძვემოთ გთავაზობთ აფხაზი თავადების მიერ რუსი დიდმპყრობლებისადმი მიწერილ წერილს, რომლიდანაც კარგად ჩანს, რომ აფხაზი თავადაზნაურობა საქართველოში ისეთივე ქართველად გრძნობდა თავს, როგორც ჩვენი სხვა კუთხის წარმომადგენელი.

ამ წერილის დაწერიდან საუკუნე გავიდა და რუსმა აფსუეებზე დაყრდნობით მოახერხა ნამდვილი აფხაზებიც ჩვენივე მტრებად ეძცია.

ძვემოთ წარმოდგენილ წერილს ახლა, სამწუხაროდ, მხოლოდ ისტორიული ღირებულება აძვს. ღმერთმა ქნას, ერთ-ორი აფხაზისთვის მაინც შეეძრას გული და თავისი ნამდვილი ვინაობა შეეხსენებინოს.

მოხსენებითი ბარათი

მის ბრწყინვალებას, გენერალ-ადიუდანტს, თავად სვიატოპოლკ-მირსკის, წოდებრივ და საადგილმამულო საქმეთა ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარეს!

აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურობისაგან

1870 წლის 23 მარტი

მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ, ჩვენმა ყოვლადმოწყალე ხელმწიფემ, მამობრივი ზრუნვით თავისი ერთგული ქვეშევრდომების კეთილდღეობაზე, ბრძანა უშუალო რუსული მმართველობა შემოეღოთ აფხაზეთში, რითაც შესაძლებლობა მიანჭა აფხაზეთის მკვიდრთ უწინდელ მშფოთვარე დროისთვის ჩვეული შიშისა და ხიფათის გარეშე მისდიონ თავიანთ საქმიანობას და მშვიდად იცხოვრონ კანონებისა და წესრიგის საფარველ ქვეშ.

ამ მოწყალების გაღებითაც არ დაკმაყოფილდა და ხელმწიფე იმპერატორმა კეთილად ინება აფხაზეთზეც გაეკრცელებინა 1861 წლის 19 თებერვლის კეთილისმყოფელი რეფორმა, უკვე ამოქმედებული იმპერიის სხვა ნაწილებში და ამიერკავკასიაში.

ამ მიზნით უზენაესად დამტკიცდა სოხუმის წოდებრივი და საადგილმამულო კომისია, შემდგომ კი ტფილისის კომიტეტიც თქვენი ბრწყინვალების თავმჯდომარეობით. მართალია, სოხუმის წოდებრივმა და საადგილმამულო კომისიამ უკვე დაამთავრა დავალების შესრულება და თავისი მოსაზრებებიც წარუდგინა ტფილისის კომიტეტს, მაგრამ ამ უკანასკნელმა, სანამ რაიმე გადამჭრელ და საბოლოო დასკვნას გამოიტანდა, საჭიროდ ჩათვალა უფროსობის განკარგულებით საგანგებო გამოკითხვით შეემოწმებინა კომისიის დასკვნები ამ საქმისთვის აფხაზეთის მკვიდრთა ყველა წოდებისაგან არჩეულ დეპუტატთა შორის. უფროსობის ბრძანებით შეკრებილმა აფხაზეთის თავად-აზნაურობამ პატივი დაგვდო და თავის წარმომადგენლებად ჩვენ ამოგვირჩია, დაგვავალა რა მათი საჭიროებანი და ინტერესები გადმოგვეცა კომიტეტში გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით.

დიდად ვაფასებთ რა მთავრობის ასეთ ნდობას ხალხისადმი და სავსებით გვესმის რა თანამოძმეთაგან ჩვენზე დაკისრებული დავალების მნიშვნელობა, ჩვენ გადავწყვიტეთ საგანგებო მოხსენებით ბარათში გადმოგვეცა ყოფილი აფხაზეთის სამთავროსა და სამურზაყანოს თავადაზნაურობის წოდებრივი და საადგილმამულო უფლებანი, რათა ნათელგვეყო აფხაზეთის მკვიდრთა ცხოვრების პირობები.

ძველთაგანვე აფხაზეთი ყოფილი საქართველოს სამეფოს ნაწილს შეადგენდა. ქართველ მეფეთა უკანასკნელი დინასტიაც აფხაზური დინასტიაა. ბიჭვინთის უძველესი ტაძარიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე აფხაზთა და ქართველთა კათოლიკოსების საკათედრო ტაძარი იყო. სულ უკანასკნელ დრომდე აფხაზეთში ჰყვაოდა დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოები. ბედიის ტაძარი, აგებული აფხაზური დინასტიის პირველი ქართველი მეფის — ბაგრატის მიერ, თავის წიაღში იფარავს ამ სახელმწიფოებრივი მაშენებლის ნეშტს. მოქვის ტაძარი კი აგებულია ქართველთა და აფხაზთა მეფის დავით აღმაშენებლის მიერ. აფხაზ ხალხსაც უკანასკნელ დრომდე საქართველოსთან, სამეგრელოსთან და იმერეთთან საერთო სარწმუნოება, ჩვეულებები თუ კანონები ჰქონდა და თუკი ქრისტიანული სარწმუნოება აფხაზეთში მნიშვნელოვნად შესუსტდა მუსლიმური უღლისა და სხვადასხვა არეულობათა ზეგავლენით, მაინც მისი უეჭველი კვალი შენარჩუნებულია აფხაზი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც, მართალია, ასრულებს ზოგიერთ მუსლიმურ თუ წარმართულ წეს-ჩვეულებას, მაგრამ, ამავე დროს მას არასოდეს შეუწყვეტია მთავარი ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნა და ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესაც ყველანი ერთმანეთს უძღვნიან კრავებსა და წითლად შეღებილ კვერცხებს. აფხაზეთის მთავართა მთელი წყებიდანაც, რომელნიც გამოეყვნენ საქართველოს ამ უკანასკნელის საბატონოებად დაყოფის შემდეგ, მხოლოდ ორნი — ზურაბ-ბეი და მისი ძმისწული ქელეშ აჰმად-ბეი აღიარებდნენ მუსლიმთა რელიგიას — პირველი იმიტომ, რომ სიჭაბუკეშივე წაიყვანეს თურქეთში, მეორე კი იმ მიზეზით, რომ თურქეთში დაიბადა და იქვე აღიზარდა. ყველა დანარჩენი მთავარი კი აფხაზეთისა ქრისტიანი იყო. ქართველ მეფეებს არასოდეს არ გამოურიცხავთ აფხაზეთი დიდი ქართული ოჯახიდან და თავისი არსებობის მთელს მანძილზე — როგორც სამეფოს გაყოფამდე, ასევე შემდგომაც, უკანასკნელ დრომდეც იწოდებოდნენ მეფეებად ქართველთა, აფხაზთა, იმერთა და კახთა. როცა გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფემ ვახტანგ VI-მ კანონთა კრებულის შედგენა დაიწყო და ყოფილი საქართველოს სამეფოს ყველა პროვინციიდან წარმომადგენლებს იწვევდა ამ საქმეში თანადგომისათვის, მან აფხაზეთიდანაც მოიწვია დეპუტატები, სადაც უკანასკნელ დრომდე შენარჩუნებული იყო უძველესი ქართული ჩვეულებები. აფხაზეთი რომ საქართველოს ეკუთვნის, ამის დამადასტურებელ არანაკლებ მნიშვნელოვან საბუთად, გარდა ქრისტიანული ტაძრებისა და წეს-ჩვეულებებისა, გამოდგება სხვადასხვა საერო თუ სამხედრო ნაგებობათა ნანგრევებიც. ასე, მაგალითად, პსირასთას ხეობის ცნობილი ციხე-კოშკები, გადმოცემით, აგებულია საქართველოს დიდებული მეფის თამარის მიერ. კელასურის ქვითკირის გალავანი აშენებულია ვამეხ დადიანის მიერ; ციხე-სიმაგრეები აშტუვაში, ოცარცასა და მრავალ სხვა სოფელში, თუმცა კი ცნობილი არ არის, ვისი აგებულია, მაგრამ ზედმიწევნით ჰგავს სამეგრელოში მდებარე ასეთივე ციხე-სიმაგრეებს. თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვთ იმასაც მიაქციოს ყურადღება, რომ ძველ დროშიც და ამჟამადაც საცხოვრებლები, შესამოსელი, საზრდო, მიწათმოქმედების იარაღები, სოფლის მეურნეობის გაძღოლის წესი სრულიად იგივე იყო და არის აფხაზეთში, რაც სამეგრელოშია. ადგილებსაც უმეტესწილად ქართული სახელწოდებანი აქვთ. მცხოვრებთა უდიდესი ნაწილიც თავის მეგრულ თუ ქართულ წარმომავლობას აღიარებს და ბევრს თავიანთი ქართული და მეგრული გვარებიც კი აქვს შენარჩუნებული. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება საბაბს გვაძლევდეს საქართველოდან გამოყოფილად მივიჩნევდეთ აფხაზეთს — აფხაზური ენა, მაგრამ მასშიც სანახევროდ მეგრულ და ქართულ სიტყვებს ვხვდებით, ხშირად ძალზე შეცვლილთაც, თუმცა არც ისე, რომ ძნელი იყოს მათი თავდაპირველი მეგრული თუ ქართული ძირის მოძიება. მაგალითად, „ათავად“ — ქართული „თავადია“, „აკამბაშ“ — „კამბეჩი“, „აძამ“ — „ჯამი“ და სხვა. მეორეს მხრივ, ენათა სხვაობა ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან რუსეთშიც ბევრია არარუსულ ენაზე მოლაპარაკე ტომი, რომლებიც სავსებით ემორჩილებიან რუსულ კანონებს და უკვე დიდი ხანია რუსული წეს-ჩვეულებების მიხედვით ცხოვრობენ. საქართველოს სამეფოს საზღვრებშიც, ბორჩალოში, ქართველ მემამულეთ უკანასკნელ დრომდე ჰყავდათ ყმა-გლეხებად ყარაფაფახები — თათრული წარმოშობისა და მუსლიმური რელიგიის მაღიარებელი ადამიანები, რომელნიც თავიანთ ყოფა-ცხოვრებაში შარიათის კანონებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა მათ მიმართაც ის დადგინებანი გამოეყენებინა, რასაც ქართველ ყმა-გლეხთა მიმართ იყენებდა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ აფხაზეთში როდისმე ოფიციალურად ყოფილიყოს შემოღებული ვახტანგ მეფის კანონები, მაგრამ ის კი უდავოა, რომ თვით ეს კანონები წარმოადგენენ მხოლოდ წერილობით სისტემატიზებულ ფორმას ჩვენი წეს-ჩვეულებებისა, რომლებიც საერთო გვაქვს ქართველებთან, მეგრელებთან, იმერლებთან თუ გურულებთან, და რომ ეს წერილობითი კანონები შედგენილ იქნა ვახტანგ მეფის უმაღლესი ხელმძღვანელობით საქართველოს სამეფოს ყველა დასახლებული მხარის დეპუტატთა მიერ, რომელთა შორის აფხაზეთის წარმომადგენლებიც იყვნენ. ყოველივე ზემოთქმულიდან თქვენი ბრწყინვალებისთვის ცხადი უნდა შეიქმნას, რომ აფხაზეთში შეუძლებელია სხვა სამოქალაქო წყობილება ყოფილიყო განსხვავებული იმისაგან, რაც ყოველთვის არსებობდა ქრისტიანული ამიერკავკასიის დანარჩენ ნაწილში. ამიტომ ჩვენი წოდებრივი და საადგილმამულო უფლებები იგივე იყო, რაც საქართველოში, სამეგრელოში, იმერეთში თუ გურიაში, სულ უმნიშვნელო თავისებურებებით, რომლებიც წარმოშობილი იყო ადგილობრივი, ოდენ ეკონომიკური პირობებით და არ აღემატებოდა საქართველოს სხვა მხარეებს, მაგალითად, ქართლსა და იმერეთს შორის არსებულ განსხვავებებს. ეს განსხვავებანი მხოლოდ ზოგიერთ წვრილმან საკითხს შეიძლება ეხებოდეს და არამც და არამც არ არღვევდეს მთლიანობაში იმ სრულ მსგავსებას, რაც აფხაზეთს ჰქონდა ქართველ მეფეთა მფლობელობაში შემავალ ყველა სხვა მხარესთან.

როგორც ეს უკანასკნელ დრომდე სამეგრელოში იყო, აფხაზეთისა და სამურზაყანოს ყველა მცხოვრებიც წოდებრივი უფლებების მიხედვით შეიძლება დაიყოს თავადებად, აზნაურებად, გლეხებად და სამხედრო ტყვეებად (მოჯალაბეებად).

ქონებრივი უფლებების მიხედვით აფხაზები განიყოფიან მემამულეებად, გლეხებად და ტყვეებად. გარდა ამისა, აფხაზეთში არსებობს (არა როგორც ცალკე წოდება) საკმაოდ მრავალრიცხოვანი კლასიც ასასებისა, ანუ სხვადასხვა წოდების პირთა, რომელნიც სტუმრებივით ცხოვრობენ სხვათა სამამულო მიწებზე. ასეთ პირთ საქართველოსა და სამეგრელოში ხიზნებს უწოდებენ. ასეთია აფხაზეთის ყველა მცხოვრებთა უფლებები და მდგომარეობა.

მთელი აფხაზი ხალხის სათავეში იდგა აფხაზეთის მთავარი, უძველესი ქართული გვარის — შერვაშიძეთა წარმომადგენელი. ყველა სხვა ქართველ მთავართა მსგავსად, რომელნიც საქართველოს სამეფოს გაყოფის შემდეგ დამოუკიდებელნი შეიქნენ, ხელთ ეპყრა უმაღლესი პოლიტიკური და სამოქალაქო ძალაუფლება მთელს აფხაზ ხალხზე, თავადაზნაურთა გამოუკლებლივ და აგრეთვე სამემამულეო ხელმწიფებაც დასახლებულ თუ დაუსახლებელ მამულებზე, რომლებიც პირადად მას ეკუთვნოდა როგორც მემამულეს, ანუ ყველა ის აფხაზური მიწა-წყალი, რომლებიც არ ეკუთვნოდათ დანარჩენ მემამულეებს — თავადებსა და აზნაურებს. მასზე ერთი საფეხურით დაბლა მდგომნი იყვნენ საბატონო (სახასო, საუფლისწულო) თავადები, ანუ ისინი თავად შერვაშიძეთაგან, რომელთაც მთავართაგან საკუთრებაში ჰქონდათ ნაწყალობევი სამფლობელოები. ეს საბატონო თავადები, ქართველი საუფლისწულო თავადების მსგავსად, თავიანთი სამფლობელოების საზღვრებში ყველა იმ პოლიტიკური, სამოქალაქო და სამემამულეო უფლებებით სარგებლობდნენ, რომლითაც აღჭურვილი იყო აფხაზეთის სხვა, ამა თუ იმ ნაწილის მფლობელი, ვინც უშუალოდ განაგებდა თავის საბატონოს და მათი კავშირი აფხაზეთის მთავართან მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ პატივი ეცათ მთავარისათვის, დამორჩილებოდნენ მას როგორც თავიანთ უფროს ძმას და ყოველმხრივ შესწეოდნენ მას ომში. მთავარსა და საბატონო თავადებს, ვითარცა მემამულეებს, თავიანთ დასახლებულ და დაუსახლებელ მამულებში ისეთივე უფლებები ჰქონდათ, რაც დანარჩენ მემამულეებს. ამ უფლებებს ქვემორე განგიმარტავთ.

თავადები და აზნაურები წოდებრივი უფლებების მხრივ მცირედ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მთელი განსხვავება, როგორც საქართველოში, აქაც იმაში მდგომარეობდა, რომ, ჯერ ერთი, თავადის სისხლისათვის უფრო მეტი საზღაური იყო მისაგები, ვიდრე აზნაურის სისხლისათვის, და, მეორეს მხრივ, თავადებს უფლება ჰქონდათ მფლობელობაში ჰყოლოდათ ე.წ. სათავადო აზნაურები, რომელნიც თავადთა მამულებში ცხოვრობდნენ. აზნაურებს კი უფლება ეძლეოდათ მხოლოდ გლეხები და ტყვეები (მოჯალაბენი) ჰყოლოდათ, რომლებიც მათს სააზნაურო მამულებში ცხოვრობდნენ. თავადებისა და აზნაურების სამემამულეო უფლებები სრულიად ერთნაირი იყო და ამიტომ შემდგომში ორთავეს საერთო სახელწოდებით — მემამულეებად მოვიხსენიებთ. მემამულეები სრული საკუთრების უფლებით, თითოეული თავ-თავის ცოცხალი მიჯნებით დადგენილ საზღვრებში, ფლობდა გლეხებს (აფხაზურად — „ანხავ“), სახნავ-სათეს და საძოვარ მიწებს, ბაღ-ვენახებს, ტყეებს და წყლებს. აფხაზეთში რუსეთის მმართველობის შემოღების დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის დაფუძნების შემდეგ, გლეხები გაიძახიან, თითქოს მთელი მიწა-წყალი მემამულეებს კი არა, სწორედ მათ, გლეხებს ეკუთვნოდეთ იმის გამო, რომ ისინი მემამულეებზე ადრე დასახლებულან ამ მიწა-წყალზე, მემემულეები კი შემდგომში გამოჩენილან და მხოლოდ ძალის გამოყენებით უიძულებიათ გლეხეები მათთვის ემსახურათ და ძალითვე მიუტაცნიათ მთელი მიწა-წყალი. მაგრამ გლეხების ამ მტკიცებას არანაირი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს უკვე იმიტომ, რომ მთელს ქვეყნიერებაზეც თავდაპირველად ყველანი მხოლოდ გლეხები თუ თავისუფალი ადამიანები იყვნენ, მემამულეები კი მოგვიანებით გაჩდნენ, თუმცა, რაგვარადაც და რა დროსაც არ უნდა გაჩენილიყვნენ მემამულეები, გლეხები ვერ უარყოფენ მემამულეთა არსებობის ფაქტს აფხაზეთში უხსოვარი დროიდან, ამასთან ყველა იმ უფლებებით, ამჟამადაც რომ აქვთ მათ. თუკი ეს ფაქტი თავდაპირველად მართლაც ძალადობის შედეგი იყო, იგი სხვა ქვეყნებშიც ასევე ძალადობის ნაყოფი უნდა ყოფილიყო, და ეს ძალადობა ისტორიული ჟამთასვლის შედეგად კანონით დამკვიდრებულ უფლებად გადაიქცა, რომელიც აღიარებულ იქნა არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ, სადაც, ისევე, როგორც აფხაზეთში, იგი ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე არსებობდა, არამედ თვით რუსეთშიც კი, სადაც ბატონყმური უფლება გაცილებით უფრო მოგვიანებით გაჩნდა. ამრიგად, მემამულეთა უფლება ყმა-გლეხთა ფლობისა, უძველესი დროიდანვე, საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული და მთავრობის მიერ აღიარებული იმპერიის დანარჩენ ნაწილებში ვერ იქნება სამართლიანად უარყოფილი აფხაზეთშიც. გლეხების ურთიერთობაზე თავიანთი მემამულეებისადმი ქვემორე ვიტყვით, როცა გლეხობაზე ვისაუბრებთ.

მიწა-წყალს მემამულენი საკუთრების სრული უფლებით ფლობდნენ. ეს იმით მტკიცდება, რომ აფხაზი მემამულეები, ქართველთა მსგავსად, აქირავებდნენ თავიანთ საძოვარ ადგილებს და საზღაურს იღებენ საქონლის მეპატრონეებთან ურთიერთშეთანხმებით; რომ მემამულენი არცთუ იშვიათად ერთმანეთსაც მიჰყიდდნენ მიწებს და მემკვიდრეობით — შთამომავლობით სარგებლობაში იძ-

ლეოდნენ და ახლაც იძლევიან მიწის ნაკვეთებს, როგორც თავიანთ საკუთარ ყმა-გლეხებსა და ტყვეებს, ასევე მათი მფარველობის ქვეშ მოსულ სხვადასხვა წოდების სტუმრებს (აფხაზურად — ასასებს, ქართულად — ხიზნებს) და ტყესაც ჩეხავდნენ და განჰყიდდნენ. ამის დასადასტურებლად წარმოვადგინოთ რამდენიმე მაგალითს.

1. მიწა-წყლის შესყიდვის, გაყიდვის და ჩუქების მაგალითები:

ა) აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შერვაშიძემ ბზიფის ოლქში შეისყიდა თავად ემუხვარის მამულები ყმა-გლეხებითურთ, მიწა-წყლითა და ტყითურთ და საჩუქრად უბოძა ისინი 1847 წელს გენერალ-მაიორ კაცო მარგანის;

ბ) აფხაზეთის მთავარმა ქელეხ-ბეიმ, თავისი ძის საფარ-ბეის აღზრდისთვის, საჩუქრად უბოძა აზნაურ ბეუან მარგანის ორი სოფელი — ემირხვა და აბაალოუ აგიმი მიწა-წყლითა და ყმა-გლეხებითურთ;

გ) აზნაურმა ჯოგერია ლაკერბამ ასევე აზნაურ ბეუან მარგანის მიჰყიდა მიწა-წყალი და ყმა-გლეხები დაბა სოფელ მუგუძირხვაში;

დ) თავადმა ანჩაბაძემ მთავარ საფარ-ბეის მიჰყიდა თავისი მამულის ნაწილი ფოკვეშიში და მთელი მამული ოჩამჩირეში;

ე) თავადმა ანჩაბაძეებმა აზნაურ ჩახმეტ ეშბას საჩუქრად უბოძეს მიწა-წყლის ნაწილი თავიანთ მამულ ტყვარჩელში (შემდეგ ჩახმეტმა ამ მიწაზე ათი კომლი დაასახლა თავისი ყმა-გლეხთაგან);

ვ) თავადმა თლაპს მარშანიმ 350 მანეთად მიჰყიდა სამოსახლო ადგილი და ბაღი გლეხებს ელკანსა და ჩხატუ ქაბბას;

ზ) თავადმა უტა შერვაშიძემ 60 წლის წინათ თავად ლომკაც ემუხვარს აჩუქა სოფელი ქაფშიქითი მიწა-წყლითა და ყმა-გლეხებით;

თ) თავადებმა ბუტუ და ალმასხან შერვაშიძეებმა სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანს მიჰყიდეს მიწა ენგურის პირას იმ ადგილას, რომელსაც ოცარცას უწოდებენ;

ი) წარჩენის თავადმა ანჩაბაძემ 1867 წელს თავადებს ბათა და კაცო ემუხვარებს მიჰყიდა მიწა-წყალი სოფელ ესკედაში, რის შესახებაც საბუთი იქნა წარდგენილი სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიაში;

კ) ჯიქეთის თავადებმა ცანბაევებმა ბზიფის თავადებს ინალიფებს სისხლის საზღაურის ანგარიშში მიჰყიდეს ტყე მდინარე ბზიფის მარჯვენა ნაპირას.

აფხაზ მემამულეთა მიერ მიწა-წყლის გაყიდვის მსგავსი მაგალითები კიდევ ბევრი შეგვეძლო ჩამოგვეთვალა, მაგრამ რაც მოვიხსენიეთ, ისიც საკმარისია.

II. მემამულეთა მიერ ხე-ტყის გაყიდვის მაგალითები:

ა) 1850 თუ 1851 წელს გენერალ-მაიორმა კაცო მარგანიმ ბზის ტყე მიჰყიდა მოსაჭრელად სოხუმელ ვაჭარს სიმონ პერსოპულოს;

ბ) თავადებმა ინალიფებმა ასევე ბზის ტყე მიჰყიდეს მოსაჭრელად თურქ ავჯას ისმაილს, რომელიც ამჟამად გუდაუთაში ცხოვრობს, და სოხუმში მცხოვრებ ბერძენს ბენდელ ჩურბაჯის;

გ) აზნაურმა ქვაჯა მარგანიმ მუხის ხე-ტყე მიჰყიდა ამერიკელებს ტრავერზებისათვის;

დ) თავადმა ბოლხუხუ ემუხვარმა (თავად ბათა ემუხვარის მამამ) ბზის ხე-ტყე მიჰყიდა რედუტკალელ ვაჭარს ვგერინოს;

ე) ოჩამჩირელი თურქი ჰაჯი ჰუსეინი ცაცხვის ტყეს ყიდულობდა მოსაჭრელად მდინარე ბზიფის მარჯვენა სანაპიროზე თავად ინა-ლიფასაგან (ჰაჯი ჰუსეინი ამჟამად სოხუმში ცხოვრობს).

გლეხები აფხაზეთში მანამდე არასოდეს არ ყოფილან თავისუფალნი. მხოლოდ უშუალო რუსული მმართველობის შემოღების დროიდან გლეხებმა (აფხაზურად — „ანხავ“) თავის გამოსყიდვა იწყეს მიწითურთ ან უმიწოდ, რათა გათავისუფლებულიყვნენ. ასე მაგალითად, მხოლოდ სამურზაყანოში უკანასკნელ წლებში ათასამდე გლეხის კომლმა გამოისყიდა თავი. მრავალმა ყმა-გლეხმა გამოისყიდა თავი აფხაზეთის სხვა ნაწილებშიც. მათი და ზოგიერთი სხვა ყმა-გლეხის გამოკლებით, რომელნიც თვით მემამულეებს გაუაზატებიათ საკუთარი ნებით, ყველა სხვა გლეხი მემამულის კუთვნილებაა. ყმა-გლეხი მთლიანად ეკუთვნის მემამულეს, რომელსაც უფლება ჰქონდა გაეყიდა იგი მიწით თუ უმიწოდ აყრით, ანდა საჩუქრად ებოძებინა ვინმესთვის. ყმა-გლეხის მოკვლის შემთხვევაში სისხლისთვის საზღაურის ნახევარი მემამულეს ეძლეოდა, ხოლო მოკლულის ნათესავნი მხოლოდ მეორე ნახევარს იღებდნენ; ყმა-გლეხის ასულს გათხოვებისას გასვლის საზღაური უნდა გადაეხადა მემამულისთვის (აფხაზურად — „ახშიბარ“, ქართულად — „ქალამანი“); მართალია, საკარმიდამო, საბაღე-სავენახე და სახნავ-სათესი მიწებით ყმა-გლეხი საშვილიშვილოდ სარგებლობდა, მაგრამ ეს მიწა ყოველთვის მფლობელი მემამულის კუთვნილებად რჩებოდა. ამ შემთხვევაში გლეხს მხოლოდ მიწაზე გაწეული შრომა ეკუთვნოდა — ხეხილი, ვენახი, საკარმიდამო ნაგებობანი და დამუშავებული მიწისაგან მიღებული მოსავალი. ყმა-გლეხის მემკვიდრე მხოლოდ მისი ძე ანდა ღვიძლი ძმა შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არ იყო გამოყოფილი ოჯახიდან და ცალკე გასული. ხოლო თუკი გარდაცვლილ ყმა-გლეხს არ ჰყავდა ძე, მაშინ მთელი მისი ქონება-სამკვიდრებელი შერჩევითი (ქევხის სამართლით) უფლებით მემამულეს რჩებოდა, გარდაცვლილის ასულნი კი მემამულის სამსახურში დგებოდნენ მოახლეებად, რომელიც მათ ათხოვებდა.

აი, მაგალითებიც იმისა, თუ როგორ ჰყიდდნენ და საჩუქრად უბოძებდნენ ხოლმე მემამულეები თავიანთ ყმა-გლეხებს მიწიანად თუ უმიწოდ:

ა) გენერალ-მაიორმა კაცო მარგანიმ აზნაურ ჰუსეინ ბალხუს იფა ლაკერბასაგან 300 მანეთად იყიდა ყმა-გლეხი მაცი აგირბა (ეს ყმა-გლეხი გენერალ მარგანის ძემ პორუჩიკმა ტიტუ მარგანიმ გააზატა ხელმწიფე იმპერატორის გადარჩენის სახსოვრად მისი სიცოცხლის ავაზაკური ხელყოფისაგან);

ბ) აზნაურმა მურზაყან შარვან იფა მარგანიმ სოფელ ხუდაარში იმავე გენერალ კაცო მარგანის ორი კომლი ყმა-გლეხი მიჰყიდა, გვარად ზუხბები;

გ) თავადმა მიხეილ შერვაშიძემ სამი კომლი ყმა-გლეხი, გვარად აპუგუები, უბოძა საჩუქრად გენერალ კაცო მარგანის;

დ) ასევე თავადმა მიხეილ შერვაშიძემ უმიწოდ აჩუქა იმავე გენერალ კაცო მარგანის ერთი კომლი ყმა-გლეხი — დახუხქვა თარბა. გენერალმა კი ეს გლეხი თავის მამულ ხოფიში გადაიყვანა.

ე) აზნაურმა შარვან მარგანიმ ორი კომლი ყმა-გლეხი, გვარად არგუნები, მიჰყიდა აზნაურ უზბეკ მარგანის;

ვ) აზნაურმა ყიზილ ბეგ ჩაპიაგ იფა მარგანიმ ორი სული ყმა-გლეხი მიჰყიდა აზნაურ ტიტუ მარგანის სოფელ ჩიგურხვაში;

ზ) ამავე სოფელში აზნაურმა ნავროზ მარგანიმ ორი კომლი ყმა-გლეხი მიჰყიდა ტიტუ მარგანის, გვარად ათიებები;

თ) სოფელ ხოფიში მცხოვრებ გლეხთა დიდი ნაწილი სხვადასხვა ადგილებში უმიწოდ ნაყიდი ყმა-გლეხებია ამ მამულის მფლობელ გენერალ კაცო მარგანის მიერ, რომელმაც ისინი თავის მიწაზე დაასახლა;

ი) აზნაურმა ხალკოჩ იფა ლაკირბამ ხუთი კომლი ყმა-გლეხი გაყიდა, დახუხუათა გვარისანი, სოფელ დიურუფშში;

კ) აზნაურმა დრაკ მარგანიმ ყმა-გლეხი ნუგუ ხინტვა მიჰყიდა აზნაურ მაჰმულ ზვანბაის;

ლ) აზნაურებმა მარგანებმა ყმა-გლეხი სოგომუა ეშბა მიჰყიდეს აზნაურ ხალიმ ზვანბაის;

მ) აზნაურმა თემურკვა ბლაბმა თავად დარუკვა ინალ იფას თავისი ყმა-გლეხთა ვალდებულებების ნაწილი მიჰყიდა, რაც შედგებოდა საბატონო ბეგარისაგან და თითო თიკნისაგან ყოველი კომლისაგან, ხოლო მათი დანარჩენი ვალდებულებანი მემამულის მიმართ თავისთვის დაიტოვა;

ნ) თავადმა სოულახუ (კონსტანტინე) ინალ იფამ ოთხი კომლი ყმა-გლეხი უბოძა საჩუქრად თავად ამშუკ (ალექსანდრე) ინალ იფას.

ო) თავადმა სალიბეი ინალ იფამ თავისი ყმა-გლეხი კვასა ცილიცია უბოძა საჩუქრად თავად სოულახუ ინალ იფას;

პ) აზნაურმა ჯოგარია ლაკერბამ, სოფელ ორდანირხვაში თავად დარუყვა ინალ იფას ექვსი კომლი ყმა-გლეხი მიჰყიდა მიწიანად და შვიდი კომლიც მოჯალაბენი (ტყვეები);

ჟ) 1859 წელს აფხაზეთის მთავრის მეუღლე თავად თლაპსა ინალ იფას მიწვევით სტუმრად იმყოფებოდა სოფელ მაზიხვაში. აფხაზური ჩვეულებისამებრ, თლაპსას ცოლმა იშვილა მთავრის მეუღლე და ამ შემთხვევის გამო თავადმა თლაპსა ინალ იფამ 3000 მანეთი ფულად მიუძღვნა, 12 ცხენი და ოთხი კომლი ყმა-გლეხი კი საჩუქრად უბოძა;

რ) ნაშვილობის ასეთივე შემთხვევის გამო 1862 წელს თავადმა ტიტუ ინალ იფამ აფხაზეთის მთავრის ძეს, თავად გიორგი შერვაშიძეს 16 ცხენი, 3 ვერცხლის უნაგირი და ოთხი კომლი ყმა-გლეხი უბოძა საჩუქრად სოფელ ქალდახვარაში.

უადგილობა ნებას არ გვაძლევს სხვა ურიცხვი მაგალითებიც მოვიყვანოთ აქ ყმა-გლეხთა გაყიდვისა მიწით თუ უმიწოდ, ცალკეული კომლებისა თუ მთელი სოფლებისა. მაგრამ ჩვენს მიერ მოხმობილი მაგალითებიც უკვე საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ აფხაზეთსა და სამურზაყანოში გლეხები ისევე მთლიანად ეკუთვნოდნენ თავიანთ მემამულეებს, როგორც საქართველოში. ერთი მემამულისაგან მეორესთან თავისუფალი გადასვლის უფლება აფხაზეთისა და სამურზაყანოს გლეხებს არასოდეს არ ჰქონიათ.

თუმცა, იყო არცთუ იშვიათი შემთხვევები გაქცევისა, რაც ყოველთვის ფარულად — უმეტესწილად ღამით — ხდებოდა. გაქცეული ყმა-გლეხები, ჩვეულებრივ, რომელიმე სხვა ძლიერი თუ მდიდარი მემამულის მფარველობის იმედით სტოვებდნენ თავიანთ ბატონებს. ასეთ გაქცეულ ყმა-გლეხთა მფლობელს უფლება ჰქონდა მოეთხოვა მათი უწინდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. მაგრამ, რადგან აფხაზეთშიც ისევე, როგორც საქართველოში, უჯერო საქმედ ითვლებოდა სტუმრად თუ მფარველობის ქვეშ მოსულ ხიზანთა გაცემა, და ამასთან, რაკი თავად-აზნაურთათვისაც ყოველთვის საამო იყო, როცა უცხო ადამიანები მათს მფარველობას ეძიებდნენ, ამიტომ ისინი იცავდნენ და შეიფარებდნენ ხოლმე ასეთ ხიზნებს და კი არ უბრუნებდნენ მათ უწინდელ ბატონებს, არამედ ცდილობდნენ მშვიდობიანად მოეგვარებინათ ეს საქმე და საზღაური გადაეხადათ გამოქცეული ყმა-გლეხის მფლობელისათვის. ზოგიერთი ძალზე მძლავრი და უსამართლო თავადები თუ აზნაურები, სარგებლობდნენ რა ძლიერის უფლებით, ზოგჯერ არც არანაირ საზღაურს არ აძლევდნენ გამოქცეული ყმის ბატონებს, თუმცა, ასეთი შემთხვევები, ძალზე იშვიათნი აფხაზეთში, როგორც ცნობილია, საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოშიც ხდებოდა, რაც მესაკუთრეთა უფლების დარღვევად ითვლებოდა და არ აძლევდა ყმა-გლეხებს თავისუფალი გადანაცვლების უფლებას. მემამულეთა კუთვნილი ყმა-გლეხების ვალდებულებანი მფლობელი თავადებისა და უბრალო აზნაურების მიმართ შედგებოდა საბატონო ბეგარისა და ღალისაგან, რომელიც ბეგარის დამატების გადაიხდებოდა.

საბატონო ბეგარა შემდეგში მდგომარეობდა:

1. საბატონო ყმა-გლეხთაგან ყველა მამაკაცი ვალდებული იყო გაზაფხულის ხვნა-თესვის დროს 6 ან 10 დღით თავისი მუშა საქონლითა და სამიწათმოქმედო იარაღებით ასულიყო მემამულის მიწებზე სამუშაოდ;

2. სიმინდისა და ღომის აღებისას ორივე სქესის ყმა-გლეხები უნდა გამოსულიყვნენ სამუშაოდ მემემულის სასარგებლოდ მოსავლის აღების დასრულებამდე;

3. რთველისა და თხილის კრეფაზე თითო კომლიდან ერთი კაცი უნდა გამოსულიყო მემამულის მიწებზე სამუშაოდ მოსავლის აღების დასრულებამდე;

4. ყმა-გლეხები ვალდებულნი იყვნენ თავიანთი ცხენებით გადაეზიდათ ბატონის საპალნეები, მორბედებად მომსახურებოდნენ ბატონებს და მათს სახლშიც რიგრიგობით ემსახურათ სტუმრობების დროს;

5. ყმა-გლეხები, ამასთან, ვალდებულნი იყვნენ დაემზადებინათ და თავიანთი საპალნე საშუალებებით გადაეზიდათ სამშენებლო მასალები და შეძლების კვალობაზე ნაგებობებიც აეშენებინათ მემამულის მიწაზე (საკარმიდამო და სამეურნეო ნაგებობანი).

ყმა-გლეხთა ყოველი კომლი იხდის შემდეგ ღალას:

1. ერთ ცხვარსა და ერთ ბატკანს, ხოლო თუკი ჰყავს, ერთ თხასა და ერთ თიკანს;

2. რვა თურქულ ქილა დაფხვნილ სიმინდს (1 თურქული ქილა უდრის 21 ჩვენებურ ოყას, ანუ ორ ფუთს);

3. ახალი წლისთვის — ერთ ქათამს, (აღდგომის) ნათელ დღესასწაულისთვის — ერთ ყვერულს (დაკოდილ მამალს), ხოლო ყველიერისთვის ერთ თავ მშრალ, შებოლილ ყველს;

4. მთელი წლის განმავლობაში, მემამულის მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად: ახალ ამოღებულ ყველს, კვერცხებს, მაწონსა და ლობიოს — განუსაზღვრელი ოდენობით;

5. როცა ყმა-გლეხი მოკვდება, მისი მემკვიდრენი ვალდებულნი არიან ქალაქის დრეს მემამულეს ერთი ცხვარი ან დაკლული საქონლის ნახევარი მიართვან;

6. ყმა-გლეხის ქალიშვილები გათხოვებისას ვალდებულნი არიან გამოსასვლელი საზღაურის სახით ერთი ძროხა მიართვან ბატონს;

7. როცა ყმა-გლეხი საქონელს დაჰკლავს, ხორცის ორი მთლიანი საუკეთესო ნაჭერი ბატონს უნდა მიართვას; ასევე, როცა ნადირობისას მოჰკლავს მსხვილ ნადირს (ჯიხვს ან ირემს), ვალდებულია ბატონს მიართვას თავ-კისერი, მკერდის ნაჭერი და ნეკნების ცალი მხარე;

8. გარდა ამისა, ყმა-გლეხი ვალდებულია ქორწილისთვის, ქელეხისთვის თუ სალაშქროდ განუსაზღვრელი ოდენობით მისცეს ბატონს სხვადასხვა სანოვაგე;

9. იმ შემთხვევაში, თუკი ბატონს ვინმეს სისხლი მართებს, ყმა-გლეხები ვალდებულნი იყვნენ მისი მოთხოვნით საქონლის ან ფულის სახით გადაეხადათ კომლზე 10-20 მანეთი;

10. ბატონთან სტუმრების ჩამოსვლისას, ყოველი კომლი ვალდებული იყო მთელი სტუმრობის განმავლობაში მათი ორი ცხენი და ერთი კაცი გამოეკვება;

11. საჭიროების შემთხვევაში ყმა-გლეხს თავისი ცხენი უნდა მიეცა (ეთხოვებინა) ბატონის შიკრიკისათვის;

12. მოკლული ყმა-გლეხის სისხლის საზღაურის ნახევარს ბატონი თავის სასარგებლოდ იღებდა;

13. ყმა-გლეხთა ყოველი კომლი თავისი ვენახიდან 5 ვედრო ღვინოს მიართმევდა ბატონს.

ყველა ეს ვალდებულება, ძალზე უმნიშვნელო განსხვავებულობებით, რაც განპირობებული იყო ადგილობრივი სამეურნეო მიზეზებით, აფხაზეთისა და სამურზაყანოს მემამულეთა კუთვნილ ყველა სოფელში არსებობდა. მათი აღწერიდან თქვენი ბრწყინვალება დაინახავს, რომ ისინი ზუსტად იგივე იყო, რაც სამეგრელოში, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან აფხაზეთი და სამურზაყანო ყოველთვის ერთ მთლიანს შეადგენდა სამეგრელოსთან ერთად, და უკანასკნელ დრომდეც აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროები სრულიად მსგავს სამოქალაქო და ეკონომიკურ პირობებში არსებობენ.

ხშირი ომების, არეულობებისა და შინა ქიშპობის მიზეზით, აგრეთვე თურქების ზეგავლენით, რომლებიც ხელს უწყობდნენ და მფარველობდნენ ტყვეთა გაყიდვას, სამეგრელოში, იმერეთსა და აფხაზეთში წარმოიქმნა უუფლებო ტყვეთა განსაკუთრებული კლასი, ცნობილი იმერეთსა და სამეგრელოში მოჯალაბეთა სახელწოდებით, აფხაზეთში კი საერთო სახელით „აგირვა“. ჩვეულებრივ, ომში ჩაგდებულ ტყვეებს, თუკი მათ თავისიანნი არ გამოისყიდდნენ, მონებად აქცევდნენ და ისინი დაუქორწინებელნი რჩებოდნენ. ხშირი გაყიდვა-შესყიდვის საგანი იყვნენ და თითქოს წვრილ ფულად ემსახურებოდნენ თავიანთ მფლობელებს. მათ აფხაზეთში ახაშვალებს უწოდებდნენ (რაც აფხაზურად ერთ უცოლოს ნიშნავს). ამ ახაშვალების ყიდვა მემამულეებსაც შეეძლოთ და გლეხებსაც, და მათ არც თვლიდნენ ადამიანებად. წესრიგის შემოღების შემდეგ ეს ახაშვალები თავისთავად უნდა მოსპობილიყვნენ, და მართლაც, სამეგრელოსა და იმერეთში, რუსული

გაგრძელება მე-16 გვერდზე

მე-15 გვერდიდან

მმართველობის შემოღების დროიდან მოჯალაბენი სრულიად მოისპნენ. აფხაზეთში კი, ამ მხრეში მშვიდობის დამყარებისა და ტყვეთა გაყიდვის შეწყვეტის შემდეგ, ისინი სულ უმნიშვნელო რაოდენობითღა დარჩნენ. ხოლო რადგანაც მათგან მხოლოდ ის სარგებლობა ჰქონდათ აფხაზ მემამულეებსა და გლეხებს, რომ მათი გამოყენება გადასახდელისათვის შეიძლებოდა ფულის სანაცვლოდ, ამიტომ ტყვეთა მფლობელნი უფრო ხელსაყრელად მიიჩნევდენ დაექორწინებინათ თავიანთი მონები და თავიანთ მიწაზე დაესახლებინათ გამოსყიდვის უფლებით, რის შემდეგაც ისინი გლეხებად იქცეოდნენ და, ამგვარად, უფრო მეტი სარგებლობა მოჰქონდათ თავიანთი ბატონისათვის. ეს დაქორწინებული და ბატონთა მიწაზე დასახლებული ტყვეები სამეგრელოში მოჯალაბეებად იწოდებიან, აფხაზეთში კი — ახუეებად. რაც უფრო მდიდარი იყო მოჯალაბე, მით უფრო მეტი გამოსასყიდის გაღება შეეძლო მას საკუთარი თავისთვის, და იმ მიზნით, რომ მათთვის უფრო ადვილი ყოფილიყო რაიმე ქონების შეძენა, ბატონები გარკვეულ უფლებებს ანიჭებდნენ მათ, რომლებიც არ ჰქონდა დაუქორწინებელ მონას (ახაშალას). ასე, მაგალითად, მოჯალაბეს ნებას რთავდნენ ზაფხულის განმავლობაში სამუშაო დროის ნახევარი მისთვის გამოყოფილი მიწის დამუშავებისთვის დაეთმო; მას უფლება ეძლეოდა, აგრეთვე, შეეძინა თავისი მოძრავი ქონება, მაშინ, როცა ახაშალს, გარდა შესამოსელისა, უფლება არ ჰქონდა რაიმე ჰქონოდა პირად საკუთრებაში. მოჯალაბე ვალდებულია თავისი ბატონის სასარგებლოდ იმუშაოს მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ის თავის მინდორში არ ირჯება, და გააკეთოს ეს მაშინვე, როგორც კი ამას ბატონი უბრძანებს; ამ წოდების ქალები (მოჯლაბეთა ცოლები და ქალიშვილები) გამუდმებით ემსახურებიან მემამულეს მის სახლში; მოჯალაბეს ასულს მხოლოდ იმ პირობით შეეძლო გათხოვილიყო, თუკი მემამულეს მის ღირებულებას გადაუხდიდნენ. გლეხთა წოდებაში გადასვლა მოჯალაბეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუკი მთელ თავის ქონებას ბატონს გადასცემდა, რომელსაც უფლება ჰქონდა დათანხმებულიყო ასეთ გამოსყიდვაზე, ანდა არ დათანხმებულიყო. ზოგიერთ შემთხვევაში მოჯალაბეს გამოსყიდვა მონობიდან მთლიანად კი არ ხდებოდა, არამედ მისცემდა რა თავის ბატონს გარკვეულ გამოსასყიდს, რამდენადმე უფრო მეტ უფლებებს იძენდა და რაღაც საშუალოს შეადგენდა ნამდვილ მონასა (მოჯალაბე, ახუე) და გლეხს (ანხაე, ფიოში) შორის. ნაწილობრივ თავგამოსყიდულ მოჯალაბეთა ასეთი ჯგუფები კვლავაც არსებობენ აფხაზეთის ზოგიერთ ადგილას, და განსაკუთრებით სამურზაყანოში. სამურზაყანოში ამ ნახევრად გლეხებს მოინალეებს უწოდებენ, დანარჩენ აფხაზეთში — ამაციურასგუებს. მონათა ამ, უმაღლესი თანრიგის უფლება-მოვალეობანი ყველა მემამულესთან ერთნაირი როდია და დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე. ყველა შემთხვევაში ისინი კვლავ მონებად რჩებიან და მათი ფლობა გლეხებს შეუძლიათ. სანამ მოჯალაბე გლეხს ეკუთვნის, მემამულეს მასზე არანაირი უფლება არ აქვს; ხოლო როცა მოჯალაბე მთელი თავისი ქონების გაღებით გამოვა მონობის ამ მდგომარეობიდან და გლეხად იქცევა თავის ამგვარი გამოსყიდვით, მაშინ იგი იმ მემამულის ყმა შეიქნება, ვისი კუთვნილებაც მისი უწინდელი ბატონი — გლეხი იყო.

აფხაზეთსა და სამურზაყანოში ყველა თავადსა და აზნაურს როდი აქვს თავისი საკუთარი მამული. ზოგიერთი მათგანი ან სოლარიის, ან სხვა რამ მიზეზით, სხვის მამულში ცხოვრობს როგორც სტუმარი (აფხაზურად — ასასი, ქართულად — ხიზანი)

გარდა უმაღლესი წოდების წარმომადგენელი რამდენიმე პირისა, რომლებიც ხიზნებად ცხოვრობდნენ სხვის მიწაზე, ყველა სამემამულო სოფლებში მრავლად იყვნენ ხიზანი გლეხები. ზემოთ ჩვენ ვთქვით, თუ როგორ იღებდნენ მემამულენი თავიანთ ბატონთაგან გამოქცეულ ყმა-გლეხებს თავისი მფარველობის ქვეშ. აქვე უნდა ავღნიშნოთ ისიც, თუ რა ურთიერთობები არსებობდა ხიზნებსა და მემამულეს შორის, ანუ იმ მიწის მფლობელს შორის, რომელზეც ისინი დასახლებულიყვნენ. უმაღლესი წოდების ხიზნები უნდა მომსახურებოდნენ თავიანთ მემამულეებს ისე, როგორც ეს თავად-აზნაურობას შეეფერება. ანუ ისინი მემამულის ამალაში უნდა ყოფილიყვნენ მის მგზავრობებსა თუ ლაშქრობებში; უნდა დახმარებოდ[illegible]ენ მას ყველა შეჯახებაში თუ შინაომში სხვა მემამულეებთან, და საერთოდაც, შესწეოდნენ თავიანთ მემამულეებს მის ყველა წამოწყებაში.

გლეხთა წოდებიდან გამოსული ხიზნები ახალ ადგილებზე დასახლების პირველ წლებში არანაირ გამოსაღებს არ იხდიდნენ, გარდა ზოგიერთი სადღესასწაულო ძღვენისა, და ვალდებულნი იყვნენ მხოლოდ მემამულის მიწვევით გასულიყვნენ მინდვრის სამუშაოებზე. დროთა განმავლობაში ეს ხიზნები მთლიანად იმ მემამულის ყმა-გლეხებად იქცეოდნენ, ვის მიწაზეც ისინი შემოხიზნულიყვნენ და დასახლებულიყვნენ, და მაშინ ყველა ის ვალდებულებანიც ეკისრებოდათ, რაც მემამულის სხვა, მკვიდრ ყმა-გლეხობას ჰქონდა. საერთოდ, ხალხის უწინდელი მოუსვენარი ცხოვრების გამო, როცა ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფდა მცხოვრებთა პიროვნული და ქონებრივი უფლებების დაცვას და როცა თითოეულს თვითონვე, იარაღის ძალით უნდა დაეცვა თავისი სიცოცხლეცა და ქონება-სამკვიდრებელიც, მემამულეებისთვის მეტად ხელსაყრელი იყო, რაც შეიძლება ბევრი მომხრის ყოლა. სწორედ ამით აიხსნება, ერთის მხრივ, ხიზანთა სიმრავლე ყველგან, თითქმის ყველა თავადისა თუ აზნაურის მამულში, ხოლო მეორეს მხრივ, მემამულეთა შემწყნარებლობა და დამყოლობა მათთვის დიდი ოდენობით მიწების დათმობაში, რაც ხშირად ყოველგვარი ანაზღაურების მიღების გარეშე ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ხიზნების მიერ დაკავებული მიწა, სულ ერთია, რომელი წოდების წარმომადგენლებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ყოველთვის კვლავაც მემამულის საკუთრებად რჩებოდა და ასეთადვე მიიჩნეოდა ყველას მიერ, მსგავსად იმისა, როგორც ეს საქართველოში იყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან თქვენი ბრწყინვალება ადვილად დაინახავს, რომ წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობანი ყოფილ აფხაზეთის სამთავროში და სამურზაყანოში არაფრით არ განსხვავდება ასეთივე ურთიერთობებისაგან საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოში. კვალად იმასაც დავძენთ, რომ, თუმცა განსხვავება ქართლსა და სამეგრელოს შორის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის, მაგრამ მაინც საკუთრივ სწორედ ამ მცირე განსხვავებამ წარმოშვა ის დაბრკოლება, რომლის მიზეზითაც მთავრობამ ვერ შეადგინა ორივე ზემოხსენებული ქვეყნისთვის საერთო დებულებები გლეხთა საკითხზე (ანუ საერთო — სამეგრელოსა და აფხაზეთისთვის — რედ.). კადნიერად მოველით რა თქვენი ბრწყინვალებისა და კომიტეტის წევრების სამართლიანობას და მოწყალე ყურადღებას ჩვენი საჭიროებებისადმი, ჩვენ ვბედავთ იმის იმედი გვქონდეს, რომ აფხაზეთსა და სამურზაყანოში გლეხთა რეფორმის ამოქმედებისას ჩვენ არ ვიქნებით გარიყულნი საქართველოს ხალხთა საერთო ოჯახიდან, რომელსაც ოდითგანვე მივეკუთვნებით. თავს ნებას ვაძლევთ ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიმართაც სავსებით და სრულად შეიძლება გამოყენებული იქნას ის დებულებები, რომელთა დამკვიდრებაც კეთილად ინება ხელმწიფე იმპერატორმა ყოფილი საქართველოს სამეფოს დანარჩენი ნაწილებისათვის, და რომ ჩვენს მიმართ არ იქნება დაშვებული გამონაკლისი.

პორუჩიკი, თავადი ბათა ემუხვარი, გარნა (რუსული) წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, მისი პირადი თხოვნით ხელი მოაწერა ივანე ზედგინიძემ;

თავადი მისოუსტ მარშანი, გარნა (რუსული) წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, მისი პირადი თხოვნით ხელი მოაწერა ივანე ზედგინიძემ;

პორუჩიკი ტიტუ მარგანი;

თავადი კონსტანტინე ინალ იფა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვა

ამ მოძრაობის შემადგენელი სხვა ორგანიზაციებისადმი, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეებისადმი და ფართო საზოგადოებისადმი

პატივცემულო კოლეგებო და თანამემამულეებო!

მიგვაჩნია რა, რომ საქართველოს ხელისუფლება მის სათავეში შევარდნაძის მოსვლიდან დღემდე ატარებს ქართველი ერის გენოციდს, სახელდობრ, მისი თანმიმდევრული და ყოველმხრივი დაქვეითების, დემორალიზაციის, ეკონომიკური პარალიზაცია-განადგურების, მისი ეროვნული საკუთრების განიავების, მის მიწა-წყალზე უცხო მოსახლეობის შემოყვანის, მისი განათლებისა და მეცნიერების ჩაკვლის, მასში ჯანსაღი საშუალო ფენის ჩაკვლის მიზანმიმართულ პოლიტიკას, რომელსაც მას უცხო ძალები უკვეთავენ, გადაუდებელ ამოცანად ვრაცხთ ხელისუფლების შეცვლას საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებით აღჭურვილი ხელისუფლებით. ვხედავთ რა, თხუთმეტწლიანი პრაქტიკის საფუძველზე, რომ ურთიერთმონაცვლე მარიონეტულ ხელისუფლებათა ხელში საქართველოს ყოველმხრივი განადგურების ზემოხსენებული კურსი სტაბილური რჩება და რომ ძალაუფლების გადაცემა ერთი მარიონეტის ხელიდან მეორისაში ხდება ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი წინასწარი გარიგების გზით, რაც შეიცავს მარიონეტული მართვის უსასრულოდ გაგრძელების საშიშროებას, ჩვენს კოლეგებსა და საზოგადოებას მოვუწოდებთ სიფხიზლისკენ. სახელდობრ, მოგიწოდებთ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილე ყველა სუბიექტზე (როგორც ორგანიზაციაზე, ისე ინდივიდზე) იმსჯელოთ მისი ღიად გაცხადებული პროგრამული პოზიციის კონკრეტული შინაარსის მიხედვით. მიგვაჩნია რა, რომ საქართველოს ყველა ხელისუფლებისთვის სავალდებულოა პრიორიტეტული ზრუნვა ობიექტური პირობების შექმნაზე საქართველოს მარადიულყოფისათვის, როგორც

— დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოსი,

— 1989 წლის საზღვრებში მყოფი სახელმწიფოსი,

— სახელის „საქართველო“ მატარებელი სახელმწიფოსი და

— ქართული სახელმწიფოსი, ანუ ისეთისა, რომელიც თავის მოქალაქეებთან კომუნიკაციას ამყარებს სალიტერატურო ქართული ენით,

საქართველოს სათავეში ყოფნის და მასში დარჩენის მოსურნე ყველა ჯგუფისაგან და ინდივიდისგან მოვითხოვთ იმის გაცხადებას, რომ იგი აღიარებს და ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში თანმიმდევრულად გაატარებს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში შემდეგ შვიდ პრინციპს:

1. აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტი არის არა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი, არამედ რუსეთის აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ. იგი ინტერნაციონალიზაციას ექვემდებარება (ანუ არ არის მხოლოდ საქართველოს საშინაო პრობლემა) მხოლოდ ორი ასპექტით — საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის აღკვეთისა და ადამიანის ადამიანური უფლებების (მათ შორის — უმცირესობათა უფლებების) დაცვის ასპექტით. რუსეთის „სამშვიდობო“ ძალების ყოფნა საქართველოში დაუშვებელია როგორც იურიდიულად, ისე პოლიტიკურად. იგი შეუთავსებადია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან. რუსეთის შეიარაღებულ ძალთა „სამშვიდობო“ მანდატი საქართველოში უნდა გაუქმდეს დაუყოვნებლივ, რათა რუსეთის სამხედრო მოსამსახურეს წაერთვას საქართველოში ცეცხლის გახსნის უფლება, ხოლო ქართველ სამხედრო მოსამსახურეს და პოლიციელს მიეცეს რუსეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის შესაძლო ხელყოფის აღკვეთის უფლება. საქართველოს იმ ყოფილ მოქალაქეთა დაცვა, რომელთაც რუსეთმა გასული რამდენიმე წლის მანძილზე რუსეთის მოქალაქეობა მისცა, რუსეთს შეუძლია თავისი საელჩოს საშუალებით, მაგრამ არა საქართველოში თავისი შეიარაღებული ძალების ყოლის საშუალებით.

2. საქართველოში მაცხოვრებელ ოსურ დიასპორას (160 ათასი სული), ცხინვალის რეგიონში ქართველებთან ერთად მაცხოვრებელი (60 ათასი სული) ჩათვლით, არც ერთი საერთაშორისოდ აღიარებული უფლებადაცვითი ნორმის

მიხედვით არა აქვს საფუძველი და უფლება, რომ საქართველოში ტერიტორიული პოლიტიკური ავტონომია მოითხოვოს. ცხინვალის რეგიონისთვის, კონკრეტული დაძაბული სიტუაციიდან გამომდინარე, დასაშვებია ფართო ადმინისტრაციული სპეციფიკის მომცველი სტატუსის დაწესება, მაგრამ დაუშვებელია მისთვის „ოსეთის“ წოდება, რაც სტიმული იქნება მომავალში ორი „ოსეთის“ – ერთის ნამდვილისა (კავკასიონის ჩრდილოეთით) და მეორე ყალბის (კავკასიონის სამხრეთით) – „გაერთიანებისთვის“ და სახიფათო პრეცედენტი იქნება მთელ მსოფლიოში ეთნიკური წმენდისა და გენოციდის, როგორც ამა თუ იმ ტერიტორიისთვის მისი სტატუსის შეცვლის საშუალებათა, გამოყენებისთვის.

საქართველოს ოსური, ისევე როგორც ყველა სხვა ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის სპეციფიკური ინტერესების, მათ შორის – ეროვნული ინტერესების რეალიზაციისთვის საუკეთესო და კანონიერი საშუალებებია, ერთის მხრივ, ადგილობრივი დემოკრატიული თვითმმართველობის მექანიზმთა განვითარება, მეორეს მხრივ, ფუნქციური (და არა ტერიტორიული) ავტონომიის განვითარება, კულტურულის ჩათვლით.

3. აფხაზეთი, როგორც მთელი, არ არის საქართველოს მიერ ისტორიის რომელსამე ეტაპზე მიერთებული (შეძენილი) ტერიტორია, არამედ საქართველოს (ან მისი რომელიმე ნაწილის) ერთერთი ეთნიკურად, ენობრივად, კულტურულად და რელიგიურად საქართველოს სხვა ნაწილთაგან არსებითად განუსხვავებელი ნაწილია დღესდღეობით ცნობილი ისტორიის მთელ მანძილზე. შესაბამისად, აფხაზეთის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში შეიძლება განისაზღვრებოდეს მხოლოდ როგორც ავტონომია უფლებამოსილებების რაგინდარა განაწილებით, რომელიც კი თავსებადია საქართველოს სათავდაცვო და გეოსტრატეგიულ ინტერესებთან, და არა როგორც „სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი“, რომელიც იმყოფება საქართველოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში ერთობლივი სახელმწიფოს ქონის შესახებ, როგორც ამას ითვალისწინებს ცნობილი ე.წ. ბოდენის დოკუმენტი. ბუნებრივია და გასაგებია, დღევანდელ დაძაბულ ვითარებაში, აფსუათა („აფხაზთა“) შიში აფსუებით („აფხაზებით“) დასახლებულ რეგიონებში აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს სხვა ადგლებიდან შესაძლო იმიგრაციის წინაშე, რითაც შემცირდება მოსახლეობაში აფსუების („აფხაზების“) პროცენტი, ისევე როგორც ქართველებისა და საქართველოს სახელმწიფოს შიში მთლიანად აფხაზეთში ან მის რომელსამე რაიონში უცხოეთიდან (პირველ ყოვლისა, რუსეთიდან) იმიგრაციის წინაშე, რასაც ძალუძს მოკლე დროში რადიკალურად შეცვალოს, სტრატეგიული და ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესების საზარალოდ, აფხაზეთის დემოგრაფიული სურათი. ამიტომ აუცილებელია (სასურველია), რომ აფხაზეთის აფსუებით („აფხაზებით“) დასახლებულ არეალებში იმიგრაციას ნებისმიერი ადგილიდან, დანარჩენი საქართველოსა და დანარჩენი აფხაზეთის ჩათვლით, აუცილებელ პირობად ჰქონდეს ადგილობრივი (რაიონული) ხელისუფლების დასტური, ხოლო საზღვარგარეთიდან იმიგრაციას აფხაზეთის ნებისმიერ წერტილში – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასტური.

აფხაზეთში ქართველი ერი ავტოხთონური ერია. აფსუა („აფხაზი“) ერი ავტოხთონური არ არის, მაგრამ მას აქვს და უნდა ჰქონდეს ავტოხთონური ერის ყველა მორალური უფლება, ვინაიდან მან თავისი პირვანდელი სამშობლოდან, ჩრდილო კავკასიის ადიღეური ტერიტორიებიდან საქართველოში მიგრაციის (XVII-XVIIIს) შემდეგ ადიღეური (ჩერქეზული) მოდგმის სხვა ხალხებისაგან განსხვავებული ეთნიკური (ეროვნული) თვითცნობიერება შეიმუშავა. შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორიის ბედისა და სტატუსის განსაზღვრაში ერთი ქართველის ხმა (დევნილისა და ლტოლვილის ჩათვლით) ნაკლებ გადამწყვეტი ვერ იქნება, ვიდრე ერთი აფსუა („აფხაზის) ხმა. აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არ არის იგივე, რაც აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის რაგინდარა ერთსულოვანი ნება, არამედ იგი ტოლქმედია

– აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნებისა, რომ აფხაზეთის ტერიტორია გამოიყენოს, როგორც თავისი მარადიული განვითარებისა და ყოველმხრივი, მათ შორის ეროვნული თვითდამკვიდრების ასპარეზი აწ და მარადის,

– ქართველი მოსახლეობის (დევნილების ჩათვლით) ნებისა, რომ აფხაზეთის ტერიტორია გამოიყენოს, როგორც თავისი განვითარებისა და ყოველმხრივი, მათ შორის – ეროვნული თვითდამკვიდრების ასპარეზი აწ და მარადის,

– აფხაზეთის ყველა მოსახლის ნებისა, რომ იყოს სრულუფლებიანი მოქალაქე, თანამედროვე დემოკრატიისა და კეთილდღეობის პირობებში მაცხოვრებელი.

4. დაუშვებელია ქართველი ერის სადღეისოდ და სამარადისოდ ძირითადი საარსებო ბაზის – საქართველოს მიწის – გაყიდვა უცხოელებზე მანამდე, სანამ მიწის ღია ბაზარზე არ გამოვა, როგორც მყიდველი, კონკურენტუნარიანი ქართველების მასა.

5. დაუშვებელია საქართველოს ფედერალიზაცია, ვინაიდან მისი გარდუვალი შედეგი იქნება ერთი ან ორი თაობის მანძილზე არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული გახლეჩა ისტორიულ პროვინციებად, არამედ ერის გახლეჩაც და ეროვნული ცნობიერების გახლეჩაც პროვინციული ნიშნით.

6. პრიორიტეტული ამოცანაა ქმედითი საიმიგრაციო კონტროლის შექმნა, ვინაიდან საქართველოს, მიმდინარე პოლიტიკის პირობებში, რეალურად ემუქრება დემოგრაფიული წალეკვა, ანუ საქართველოში ქართველების უმცირესობად ქცევა და ისეთი ვითარების შექმნა, როცა საქართველოდან დროებით (გაჭირვების გამო) გასულ მოსახლეობას – ერის ყველაზე ენერგიულსა და მოძრაობისუნარიან ნაწილს – აღარ ექნება საქართველოში დაბრუნების და დასაქამების საშუალება.

7. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გამჭოლი მიზანი არის (უნდა იყოს) ის, რომ საქართველო ჩამოყალიბდეს რეალურად დამოუკიდებელ დემოკრატიულ და კეთილდღიან ქვეყნად, მას შეექმნას ყოველმხრივი უსაფრთხოება (სათავდაცვო, სასურსათო, ფინანსური, ენერგეტიკული, სამედიცინო, სამოქალაქო და ყველა სხვა), იგი თავს იკმაყოფილებდეს პირველ სასიცოცხლო საჭიროების საგნებით (პირველ ყოვლისა სურსათით და ენერგიით), ხოლო მისი ექსპორტი ორიენტირებული იყოს მეცნიერებატევადი სამრეწველო პროდუქციის გატანაზე. საქართველოს განვითარების პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს განათლება და მეცნიერება (რაც შეესაბამება ქართველი ერის მენტალიტეტის ზოგად მიმართულებას). საქართველოს მოსახლეობის გადაქცევა მომსახურე მოსახლეობად, რის ძლიერ ტენდენციასაც ამჟღავნებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების იდეოლოგიაც და პრაქტიკაც, მიუღებელია.

წინამდებარე პრინციპების გატარება საქართველოს საშინაო პოლიტიკაში არის ძალისხმევის ის მინიმუმი, რომელიც სჭირდება ქართველი ერის გადარჩენას დღეს მიმდინარე გენოციდისაგან და საქართველოს სახელმწიფოს ხელოვნური ნგრევის შეჩერებას. ამ ძალისხმევის გაღება და მოქმედების ამ მიმართულების არჩევა არის აუცილებელი პირობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხრიდან ამა თუ იმ პარტიისა, პოლიტიკური ჯგუფისა და პიროვნების მხარდაჭერისათვის.

საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის მ. სააკაშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკა ჩვენ მიგვაჩნია ბარბაროსულ ტოტალიტარისტულ მმართველობად, რომელიც შეუთავსებელია მოქალაქეთა ღირსებასთანაც, მათ საარსებო ინტერესებთანაც და მათი ერის ისტორიულმასშტაბიან ინტერესებთანაც. სააკაშვილის მოტივაცია, რომელსაც იგი თავისი რეჟიმის შესანარჩუნებლად იყენებს – თითქოს მისი ძლიერი მმართველობა, ანუ მისი და პარლამენტის უმრავლესობის პოზიციათა სრული ერთობა, სჭირდება სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას რუსეთის მრავალგანზომილებიანი მოსალოდნელი შემოტევის პირისპირ, – ყალბია, რამდენადაც თავის ხსენებულ უპირატესობას – პრეზიდენტისა და პარლამენტის პოზიციათა ურთიერთჰარმონიულობას – სააკაშვილი და საპარლამენტო უმრავლესობა იყენებენ არა სახელმწიფოს დაცვისათვის, არამედ მხოლოდ მისი მიზანმიმართული ნგრევისა და ძარცვისათვის უცხო ძალთა მიზნების შესაბამისად.

სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ საქართველოს მართვის გაგრძელების შემთხვევაში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ელის გარდუვალი კრახი, ამიტომ სახელმწიფოსა და ერის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს მათი მმართველობის შეცვლას ქვეყნისა და სახელმწიფოს ერთგული ხელისუფლებით. მსოფლიოსა და რეგიონში არსებული ობიექტური პირობების მიხედვით, ერთგულ ხელისუფლებას შეუძლია საქართველოს წინაშე ამჟამად მდგარი ყველა ძირითადი პრობლემის დაძლევა, თუნდაც ეს ხელისუფლება შედგებოდეს მხოლოდ საშუალო გონებრივი მონაცემებისა და საშუალო პატიოსანი ადამიანისთვის დამახასიათებელი მორალური მდგომარეობის მქონე პიროვნებებისაგან. სასწრაფო ამოცანაა, რომ საქართველოს მარიონეტული მმართველობა შეწყდეს და ქვეყნის საჭე ეროვნული ინტერესების მიხედვით მოქმედი პირების ხელში გადავიდეს. ამ გარდატეხის მიღწევის ყველაზე რაციონალური და ერთადერთი უმტკივნეულო საშუალება, ჩვენის აზრით, არის დაუყოვნებლივ შემოღება რეალური საარჩევნო კანონისა, რომლის ძალითაც არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს ექნებათ თანასწორი სასტარტო პირობები, საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდება (და მათი თავმჯდომარეები აირჩევიან) ამ სუბიექტთა თანასწორი მონაწილეობით, ტელევიზია თანასწორად გამოიყენება ამ სუბიექტთა მიერ, ყველა საარჩევნო სიები ღია იქნება არჩევნების მონაწილე სუბიექტებისათვის და საზოგადოებისათვის და ა.შ., ანუ პრაქტიკულად აღკვეთილი იქნება სახელმწიფოსმიერი ტოტალური გაყალბება, რომელიც დღესდღეობით საქართველოს ყველა დონის არჩევნებში ბატონობს.

თქმულიდან გამომდინარე, მივმართავთ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეებს, მათ შორის „საერთო-სახალხო მოძრაობას“, რომელმაც ა.წ. 28 სექტემბრისა და 2 ნოემბრის აქციები ჩაატარა, რომ დაადასტურონ თავისი ერთგულება ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებისადმი. ამით ჩვენ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე ქვემორე ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, მოგვეცემა საშუალება აქტიურად ვიბრძოლოთ ამ პრინციპების გამარჯვებისათვის მომავალ არჩევნებში, პრაქტიკულად – საქართველოს დღევანდელი ანტიეროვნული ხელისუფლების შეცვლისათვის ქვეყნის თანმიმდევრულად ერთგული ხელისუფლებით.

ნ. ნათაძე, საქართველოს სახალხო ფრონტი

ი. ბაგრატიონ-მუხრანელი, „სამეფო გვირგვინი“-ს მეურვე

მ. გიორგაძე, საქართველოს სახალხო პარტია

პ.ნაზარიშვილი, თადარიგის მაიორი, საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე,

დ. ხომასურიძე, თადარიგის პოლკოვნიკი, სამხედრო ფორმირება „იმედის“ ვეტერანთა კავშირი „იმედის“ თავმჯდომარე.

„საკვიდრო გულიდან ამოღება ძნელია“ – ილია ჭავჭავაძე

კაცობრიობის ისტორია გვასწავლის, რომ ყოველი ცალკე აღებული ეპოქა ამა თუ იმ ერს ურთულესი სასიცოცხლო პრობლემების გადასაჭრელად, თავადვე მოუვლენს „ზეგარდმო მადლით ცხებულ“ პიროვნებას, რომელიც იტვირთავს თანამოძმეთა წინამძღოლობის უმძიმეს მისიას. „ისინი გამორჩეულნი, გვიღვიძებენ ჩვენ, დანარჩენებს სწავლის სურვილს, განგვაწყობენ სამოქმედოდ, გვიმძაფრებენ შექმნის ჟინს და გვიდასტურებენ „უკეთესი ქვეყნის“ არსებობას. ასე რომ, ვიდრე იარსებებს კაცობრიობა, ისინიც, გამორჩეულნიც, ყოველთვის სამაგალითონი და მისაბაძნი იქნებიან. ხოლო რაც მათ ცალ-ცალკე შეუქმნიათ თავიანთ ქვეყნებში, საერთო, საყოველთაო სახელმძღვანელოა, საიდანაც ნებისმიერი მსურველი, უპირველეს ყოვლისა, იმას იგებს, თუ როგორი უნდა იყოს თავად“ (ო. ჭილაძე). ასეთი გამორჩეული პიროვნებაა ჩვენთვის სიცოცხლეშივე ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე, ილია მართალი.

ილია ჭავჭავაძეს გათვითცნობიერებული ჰქონდა ქართველთათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი სახელის აზრობრივი დატვირთვა, როგორიცაა „გიორგი“, „გეორგიანელი“. მიწა ქართველთა ცნობიერებაში „შეურყვნელი“, „შეუბღალავი“, „სუფთა“ და „წმიდა“. „წმიდა ნაკვეთი“ გაღვთიურებულია წარმართულ საქართველოში. ქართველთა, ისე როგორც შუმერთა წარმოდგენით, მიწა დედურ საწყისს განასახიერებს. იაფეთური, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება იყო დედა – ქალღმერთი. „ისტორიის ცოცხალი ფესვები,“ – ასე ამბობენ მითზე (ჯ. ფხოველი). გა – ქართული მითოლოგიის უმაღლეს რანგში ასული უძველესი ქალღმერთი (ბერძ. გეას შესატყვისი), განასახიერებდა ბუნების მაცოცხლებელ ძალებს. ამ კერპისადმი მიძღვნილი რიტუალები, საგალობელი „გას“, – დღემდეა შემორჩენილი სვანეთში. ილიამ იცოდა, რომ „გეორგიკა“ ქვეყნის ოფიციალური სახელი, ნიშნავს არა მხოლოდ მიწის მუშაკს, არამედ პირველ მიწის მუშაკს – პირველ მიწათმოქმედს. „...ვინც გარდაქმნის გარემოს და დაატყობს მას თავის ბეჭედს“ (კ.ზ.გამსახურდია). თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „უძველესთა შინა, რომელთამე ჩვენთა და ვიეთთამე სხვათაცა მემატიანეთა, აღწერილთა იპოვების მოთხრობანი ეს სახედ, ვინათგან პირველყოვლისა მუშაკობანი მიწისანი შემოღებულ არიან მათგან“.

ქართველები სამიწათმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავეებთან იდგნენ და მიწათმოქმედება მათთვის არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურებაა. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები მიწიერ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობების თავისებურებებიდან გამომდინარეობს. „ჩვევები ერისათვის ფიფი რჯულია, ფიფი კანონია, მხოლოდ დაუწერელი“ (ილია). („ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“, ხალხური ანდაზა).

ილია ჭავჭავაძისათვის მამულის სიყვარული ქართველთა ეროვნული რაობის ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. „ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის“.

დიდი მწერლისათვის ცნობილია, რომ ქართველები მამულის ერთგული, მიწაზე დამკიდრებული ერია; ქართველის მიწასთან უღალატო კავშირშია ქვეყნის სიძლიერე. „ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეა“, – წერდა ილია. ქართველი ერის სპეციფიკა მომდინარე მისი გენეტიკური კოდიდან ასახვას პოულობს ტრადიციებში, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებებითა და რაციონალიზმით წარმართავს ცხოვრების სამეურნეო სფეროს და რამაც უზრუნველყო ქართველთა უძველესი და უმთავრესი საქმიანობის – სოფლის მეურნეობის გადაქცევა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საფუძვლად. „ქართველების ძალა ძველისძველ დრომდე მიწის დამუშავება, მეურნეობაა, ჩვენი ძალა იმთავითვე სოფელი იყო,“– ბრძანებდა ილია.

მრავალფეროვან ბუნებასთან ჰარმონიულად შეთანასწორებული ქართული ცხოვრების წესი იყო ის ძალა, რომელიც მტრისაგან გავერანებულ საქართველოს კვლავ ფეხზე აყენებდა. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: „საკვირველი ეს არის, რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა?“ და პასუხსაც იქვე იძლეოდა: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყაროებში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ იჭიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გაძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში.“

სამეურნეო ცხოვრებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ურთიერთგადაჯაჭვულობის ასეთივე ღრმა ცოდნით ილია დასძენდა: „ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!... იმ დროთა ჩარხზე გამოჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი... ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრეველობა“.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ, უპირველესად, ქრისტიანობა გავრცელდა იმ ქვეყნებში, სადაც მევენახეობა იყო განვითარებული; ამიტომ ქართველობამ უყოყმანოდ მიიღო პურითა და ღვინით ქრისტიანული ზიარების საიდუმლო; ამასთან მეღვინეობასა და ქართულ სუფრას შეუნარჩუნა განსაკუთრებული დატვირთვა. ქრისტიანობას სასიკეთოდ შეერწყა უძველესი ქართული ტრადიციები და წარმართულ ჩვეულებათა ის ღირებულებები, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს გამოხატავდნენ. ქრისტიანობა იქცა ქართული ზნე-ხასიათის საყრდენ ღერძად, რომლის ირგვლივ ბრუნავს ჩვენი ეროვნული ცნობიერება. აღნიშნულთან დაკავშირებით ილია ბრძანებდა: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. ქრისტიანობა პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მთასწავებდა“.

ქართველი ერის ტრადიციული აგრარული კულტურა, როგორც ცნობილია, წინაზიურ კულტურულ სივრცეში ყალიბდებოდა. იგი სამართლიანად ითვლება უძველესი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. აქ თავდაპირველად შექმნილი მეურნეობისა და მეურნეობრიობის ფორმები, შემდგომში საფუძვლად დაედო ევრაზიის მთელ ტერიტორიაზე (სამხრეთ-აღმოსავლეთის გამოკლებით), მოგვიანებით წარმოშობილ აგრარულ სამეურნეო-კულტურული კომპლექსების სხვადასხვა ტიპს,რომელიც ძირითადად მარცვლეული მეურნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, სხვადასხვა სახის პირუტყვის მოშენებასა და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტების მოხმარებაზე იყო დაფუძნებული.

მიწის დამუშავება, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების გამოყვანა, მათი მოვლა-პატრონობა, ქმნის ადამიანის კულტურას. ამასთან, იგი არის არა მხოლოდ ბუნების საგნების დამუშავება და მოპოვება, არამედ ადამიანის მიზანმიმართული ზემოქმედება საკუთარ სულიერ უნარზე. სულის გარდაქმნას მიწის დამუშავების მსგავსად, ფ. ბეკონი „სულის გეორგიკას“ უწოდებს.

ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს უძველესი დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების მქონე ხალხად, ხოლო საქართველოს, მისი ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი მრავალფეროვნების გამო, აგრარულ ქვეყნად მიიჩნევდა: „ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედი ქვეყანაა და ერთადერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი – იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწისმოქმედებასთან“.

საქართველოს გეოგრაფიული გარემო, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, განაპირობებდა მთისა და ბარის ეკონომიკური ზონების ფორმირებას, სოფლის მეურნეობის გაძღოლის სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც ბუნებათსარგებლობის პრინციპებს,ნიადაგდაცვით მიწათმოქმედებასა და ბუნებრივ-კულტურულ მეცხოველეობას ეფუძნებოდა.

თანამედროვე მსოფლიოში გარემოსა და ადამიანებს შორის ურთიერთობა ახალი ეკოლოგიური აზროვნების საფუძველზე ეწყობა დღის წესრიგში დგას ბუნებათსარგებლობისა და სურსათის წარმოების ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის ამოცანა. ეს შეხედულება ევროპიდან მოდის და მიმართულია ბუნებრივი გარემოს კატასტროფული ანთროპოგენული ხასიათის ცვლილებების შესაჩერებლად და სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების პრობლემის გადასაჭრელად.

ჩვენი საწარმოო მასშტაბების მქონე ქვეყანას, მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე, რადგან, მისი მცირემიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გააკეთოს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე. ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, რომლებიც თანხვედრაში მოვლენ თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ეს საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, რაც ამავე დროს ეკონომიკურად რენტაბელურია და უფრო დაგვაახლოვებს ევროკავშირის მოთხოვნებთან საკვები პროდუქტების უვნებლობასთან დაკავშირებით. ასეთი მიდგომა გამართლებულია, მით უმეტეს, რომ უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები და გარემო, ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი, – ქმნის ქართული აგრარული მეურნეობის შედარებით უპირატესობას. ეს უპირატესობა, საქართველოს მთისა და მთისწინეთის ყველა რაიონს აქვს.

ილია ჭავჭავაძემ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ლიბერალურ-დემოკრატიულ ეროვნულ მოძღვრებას, რომელიც მისი და შემდგომი თაობების სამოქმედო პროგრამის ქვაკუთხედად იქცა. არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით: „ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-პოლიტიკურ მოძღვრებას არამც თუ თანავუგრძნობთ, პირიქით, ჩვენს ეროვნულ მოძღვრებადა ვსთვლით“. ამ თვალსაზრისის გამოვლინებაა: „სამირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო... წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ, მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს“ (იაკ. გოგებაშვილი). „ენასთან და გვარტომობასთან ერთად მიწაა ერთი უპირველესთაგანი ფაქტორი ეროვნულის ცხოვრებისა“ (არჩ. ჯორჯაძე).

ილია ჭავჭავაძეს თავის დროზე მცდელობა არ დაუკლია საქართველოში მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების აღორძინებისათვის. რადგან სწამდა, რომ: „ქვეყნის ეკონომიური სიმტკიცე და ძლიერება გლეხკაცობის მიწათმფლობელობაზეა დამოკიდებული. რამოდენადაც ეგ მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზედ დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათ-მოქმედებისათვის, იმოდენად ქონებითი ძალ-ღონე ქვეყნისა, თუ სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი.“

ერის მამა მიეკუთვნებოდა ფართო აგრარული რეფორმის იმ მცირერიცხოვან მხარდამჭერთა ჯგუფს, რომელთაც ამოცანად დასახული ჰქონდათ სოფლად თვითმმართველობის დამკვიდრება და საგლეხო მიწათმფლობელობის გაფართოება, „დგილის კაცის“ - მკვიდრი მიწათმოქმედის ფუნქციათა და უფლებათა გაძლიერება. ერის მოძღვარი ბრძანებდა: "დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას". ამასთან ხელისუფალთ შეახსენებდა: „მთელი განათლებული ევროპა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა - იღვწიან, სისხლსა ღვრიან, რომ მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისგან მონიჭებული კუთვნილება ყოველის ადამიანისა, შებლებისამბრ - თანასწორად მორიგებულ ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა. რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა, ამ ყუაზედ გასულს ტკივილს ყოველის საზოგადოებისას წამალი ვერ დასდვა, - მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა.“

ილია საჯაროდ ითხოვდა იმდროინდელი ხელისუფლებისაგან: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვითხოვოდ უბრალო, ბუნებრივი რამ, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ახლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისთვის მავნე იყოს“.

XXI საუკუნის საქართველოში, როდესაც დიდი ილია საყოველთაოდ აღიარებულია, როდესაც ყველა თანხმდება, რომ ილიამ მომავალი განსჭვრიტა, წარმოაჩინა ერის მომავლის განვითარების კონცეპტუალური ხედვა, რომელიც უსწრებს და შეესატყვისება თანამედროვე ცნებებს – „მომავლის ინსტიტუტი“, „მომავლის განვითარება“ (მ. მიდი), ერის წინაშე კვლავ გაჩნდა რეალური პერსპექტივა მის მიერ დასახული გზით სვლისა. მოგეხსენებათ, ილიას მკვლელებმა ბარაბას გზა აირჩიეს. სამწუხაროდ, ამ გზამ ტაძრამდე ვერ მიგვიყვანა.

დღეს, კი ულტრა ლიბერალიზმის (რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ ლიბერალიზმთან) სახელით ცდილობენ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს დაუკანონონ, რაც დაუშვებელია, რადგან ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. ხალხის „სასიკეთოდ“ მიღებულ ამგვარ გადაწყვეტილებებს ქვეყნისათვის გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

არ აქვთ გაცნობიერებული, რომ საქმე ეხება არა განყენებულად მიწას, არამედ, სახელმწიფო ტერიტორიას, ერისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ სივრცეს, წარმების უალტერნატივო საშუალებას, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ერის საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ არცერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოკულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.

ილია ჭავჭავაძის პარადიგმა, ისტორიული ხედვით განმტკიცებული, მიწისადმი ქართველი კაცის განსაკუთრებული დამოკიდებულების თაობაზე, არა მარტო ქართველი ერისთვისაა აქტუალური, არამედ მთელი განვითარებული კაცობრიობისათვის.

ქართველ ერში ეროვნული ინსტი-

ტუტების შენარჩუნებისათვის ტერიტორიულ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ სტაბილობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აქ ერის სპეციფიკურ თავისებურებებთან ერთად არსებით როლს ერის ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების კულტურა ასრულებს. მასზე მსჯელობისას ილია ბრძანებდა: „ვაჭრობა იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს: საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმის მამული, იმის მიწა-წყალი. ამიტომაც ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული. მარტო ვაჭრობაზედ დანდობილნი სხვის კეღლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს. ამიტომაც საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ღონემოკლებულია, ერთად ყოფნისთვის ნიადაგი არ აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ჰქონდეს გატენილი. ამისთანა ეკონომიკური ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და, რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი“.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოფლის მეურნეობის დახასიათება არასრულყოფილი იქნებოდა ილია ჭავჭავაძის შეხედულებებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლად, რადგან პრაქტიკულად არ დარჩენილა სოფლის მეურნეობის განვითარების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ გამხდარიყო დიდი მოაზროვნის განსჯა-განხილვის საგანი, იქნებოდა ეს:

- თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი;
- კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება;
- ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ მებრძოლი კომისია;
- ბოსტნეულ-ბაღჩეული პროდუქტების კავკასიის გამოფენა;
- კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი;
- ღვინის ვაჭრობის პირველი ამხანაგობა;
- წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა;
- ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელი თუ მრავალი სხვა საჭირბოროტო საკითხი.

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკის შესწავლისა და ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა გაანალიზების შედეგად, ილიამ დაასაბუთა სოფლის მეურნეობის უპირატესი განვითარების როლი და აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში. "სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით, იმიტომ რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიკური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა მაგაზედ არის დამყარებული".

ილია ჭავჭავაძემ სწორად გაიაზრა ეროვნული ზნეობრივი ღირებულებისა და ერის ტრადიციული სამეურნეო მახასიათებლების ერთიანობა. „ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფეხმოკიდებულია და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით კი არა, არამედ სულითაც და გულითაც; ესე იგი ზნეობითაც შემსჭვალულია. მისი სოფელი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრია“ თავის სოფლისა და სხვა თავ-მოსაწონებელი სახელი არ იცის“, — წერდა ილია. ერის მამის თვალსაზრისით ქართველი გლეხის ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სახეს მიწათმოქმედების გაძღოლის ეროვნული ტრადიციები და თავისებურებები აყალიბებდა. სწორედ ამიტომ გაიხადა სოფლის მეურნეობა ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამის ეკონომიკურ საძირკვლად.

დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი წარმმართველი დარგი თავისი პრობლემებით ყოველთვის უკავშირდებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებს. ამიტომ ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისათვის (რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღესაც) ბრძოლაში დიდ ფუნქციას აკისრებდა სოფლის მეურნეობას, დაჟინებით უსაბუთებდა იმდროინდელ ხელისუფლებას გაძლიერებას "იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი - სოფლური მეურნეობა".

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით სახავდა მისი განვითარების გზებსა და საშუალებებს, იცავდა მიწათმოქმედთა ინტერესებს, ყველა ჯურის უცხოელი ვაისპეციალისტებისაგან იმ ხანად მრავლად რომ შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ საქართველოში: „კვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყენეთ“. მიაჩნდა, რომ „...ეკონომიკური გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა, ზომიერი ნელთბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენიც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი ირჩინოს და ყოველ სფეროში ღონივრად გაიწიგამოიწიოს წარმატებისა და კეთილმდგომარეობისათვის".

ილია ჭავჭავაძემ უპირველესი ზრუნვისა და დაცვის ობიექტად მიწათმოქმედება აღიარა. „ერთი უდიდესი წყარო სიმდიდრისა, უფრო მტკიცე და საიმედო ხვნა-თესვაა, მიწათმოქმედებაა ყოველგვარი, იმიტომ რომ ამ მრეწველობის ნაამაგარი შეადგენს უპირველეს საჭიროებას ადამიანის ცხოვრებისას.“ თვლიდა, რომ მიწათმოქმედების "სამუდამოდ და მკვიდრად განკარგებისათვის" საჭირო იყო ხანგრძლივი პერიოდი. "ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ წადგმული ბიჯი მიწისა და გუთნის მიმართ ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს... ჩვენი ძალღონე, ჩვენი ცხოვრებისა და ვინაობის, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე — მიწა და გუთანია".

ილიას სწამდა, რომ „ჩვენ ქართველები პურისა და ღვინის ქვეყანა ვართ", "თუ ერმა პურისა და ქერის ხვნა-თესვის გარდა ვაზის მოვლა მაინც იცის კარგად თუ ავად, იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად ქონებითად და აქედან ზნეობითადაც". ერის მოძღვარი ქართველ გლეხს შეახსენებდა იმ მრავალსაუკუნოვან ფუნქციას, რაც ვაზის კულტურას ჰქონდა ქართველი კაცის სამეურნეო საქმიანობასა და ყოფაცხოვრებაში. ილიამ კარგად იცოდა, რომ მევენახეობა-მეღვინეობა იყო ეროვნულობის, ქართველობის დაცვისა და შენარჩუნების მძლავრი სტიმული. "ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, ჯერ უნდა გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია".

სასოფლო სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლა ილია ჭავჭავაძეს ვერ წარმოედგინა ადგილობრივ მიწათმოქმედთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ათვისების გარეშე („დროთა შესაფერი ცოდნა, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“, — მიწათმოქმედის ცოდნის პროდუქტიულობაა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელი ქართული სოფლისათვის). ილიას არა ერთხელ შეუსყიდია გერმანიიდან თუ საფრანგეთიდან უახლესი მოდიფიკაციის მანქანა-იარაღები საკუთარ მამულში დასანერგად. თუმცა მან მათი გამოყენება კვალიფიციური მუშა-ხელის არარსებობის გამო ვერ მოახერხა. ასეთი უცხო ხილი იყო მოწყობილობა, რომელსაც კრუხის როლი უნდა შეესრულებინა, რასაკვირველია, ინკუბატორს ვგულისხმობთ. იგი კარგა ხნის განმავლობაში აოცებდა ილიასთან სტუმრად მისულ საზოგადოებას თავისი შესაძლებლობებით, რომლის დემონსტრირებაც ვერ იქნა და ვერ მოხერხდა.

ილიას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს არ ჰყავდა მაღალკვალიფიციური, უმაღლესი განათლების მქონე აგრონომები, რომელთაც უნდა ეზრუნათ ქართული მიწათმოქმედების აღორძინებაზე; მხოლოდ უცხოელ სპეციალისტებზე დაყრდნობა, რაგინდ მაღალკვალიფიციურიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვერ განაპირობებდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებას; ამიტომაც, დიდი საზოგადო მოღვაწის მიზანი იყო გლეხს შეეგნო ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების შეძენის გარდუვალი აუცილებლობა, ზიარებოდა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, განმტკიცებოდა რწმენა, რომ მხოლოდ იგია ჭეშმარიტი პატრონი და გამგებელი წილხვედრი მიწისა. ილია ბრძანებდა: "განათლება, სწავლა, ცოდნა - აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას... მასწავლებელი, ექიმი, ტექნიკი, მიწის დამუშავების მცოდნე, - ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ახლა, თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის... ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა — სამეურნეო სკოლაა. ამ-გვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა".

ამიტომაც ერის მოძღვარი უმდაბლესი და უმაღლესი სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სკოლების შექმნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1883 წელს, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა "აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს - სად რა სიმდიდრე სძევს და რა რიგის ხერხით შეიძლება ამ სიმდიდრეს ხელი მივაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენი თავის საკეთილდღეოდ".

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ თავის წერილში "კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების" შესახებ, რომელიც 1850 წელს იყო დაფუძნებული. მოწინავე ევროპული ქვეყნების (საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, გერმანია, ინგლისი) გამოცდილების მიმოხილვის შემდეგ ილია დასკვნის, "მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით - მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება". დიდი მწერლის სიტყვებით "კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებას" წარმატებისათვის რომ მიეღწია, იგი უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტი წარმომადგენელი "ადგილობრივთა მიწათმოქმედთა და სასოფლო მეურნეობის მოწარმოეთა", — უნდა ყოფილიყო "შუამდგომელი მთავრობის წინაშე", რათა მისი "უდმივი მზრუნველობა და შემწეობა იქით მიემართა, საითაც საჭირო იყო. თუ ეს არ მოხდებოდა, "საზოგადოება ისევე ისე მკვდარი" იქნებოდა, "როგორც აქომამდე იყო".

დღესაც, შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დაძლევას, რადგან არა აქვს კავშირი აგრარულ მეცნიერებასთან და აგრომეწარმეებთან.

ერის განმანათლებელი ცდილობდა ევროპული გამოცდილების მაგალითზე ჩვენშიც დანერგილიყო ამხანაგობათა (კოოპერატივების) ჩამოყალიბების ტენდენცია. ილია მიესალმა თელავის თავადაზნაურთა მიერ შექმნილ "კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირის" შექმნას, მოიწონა მისი წესდების პროექტი და გამოთქვა იმედი, რომ "კავშირი" ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა. "ეს იმისთანა საქმეა, რომელიც საუკუნოდ სახსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და მეთაურობას გაუწევს. ესეც უნდა იცოდეს თავადაზნაურობამ, რომ აქ მცირეოდენის გაწირვა და გაცემა დიდის სიკეთის მომავლინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე, და ყოველი დაზოგვა და არგაცემა - დაკარგვა".

ილიამ იცოდა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებას ფინანსური რესურსები ესაჭიროებოდა. ამასთან, უნდა გადაჭრილიყო ერისათვის უმნიშვნელოვანესი — „მიწის ქართველთა ხელში დარჩომის“ ამოცანა. მკვიდრი მიწათმოქმედი უნდა დამკვიდრებულიყო იმ მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავებდა და რომელიც — საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა. სწამდა, რომ ეს მიწა ქართველთა ერთადერთი საცხოვრისია და ამ მიწაზე მთავარი შემოქმედი და პროდუქციის შემქმნელი ქართველი კაცი უნდა იყოს. ილიას სიტყვებით: „მიწათმოქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა. ამგვარობაში ჩვენი გლეხია ღირსშესანიშნავი“. გლეხკაცობას მიწის შეძენაში დახმარება ესაჭიროებოდა. ამ მიზნით სპეციალური სამიწათმოქმედო ბანკის შექმნა იყო საჭირო. „ილია ჭავჭავაძის ზრუნვა იმაში იყო, რომ ის მიწა, რომელსაც ჰკარგავს თავადაზნაურობა, გლეხკაცობის ხელში დარჩენილიყო და ჩვენს მწერალს ძლიერ აფიქრებდა ის, თუ რა გზით მოხერხდებოდა და მოეწყობოდა ეს საქმე“ (ა. ჯორჯაძე).

დიმიტრი ყიფიანის იდეასა და წამოწყებას სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შექმნის თაობაზე, ილია ჭავჭავაძემ ფრთები 1875 წელს შეასხა. ბანკის დაფუძნებას, [illegible] თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ქართველი ერი სამარადისოდ მადლიერი იქნება ამ საქმის წამომწყებისა და მესაძირკვლის უფალ დიმიტრი ყიფიანისა.“

ერთი წლის შემდეგ ილიას ხელშეწყობით საქმიანობა დაიწყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკმაც.

ილია ჭავჭავაძემ სრული 30 წელი დაჰყო ბანკის მმართველის თანამდებობაზე და დიდი ენერგია შეალია ქართული საბანკო სისტემის განვითარების საქმეს, რომელიც დიდი ილიას მეცადინეობით გადაიქცა:

- ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების;
- ქართული თეატრის;
- ქართული გიმნაზიის;
- ნიჭიერი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისათვის ზრუნვისა და მთელი რიგი სხვა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დამფუძნებლად და დამფინანსებლად.

ბანკი იყო პირველი ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც ქართველთა აქტიურობით და მონდომებით შეიქმნა. დიდმა მწერალმა 12 წერილი მიუძღვნა საბანკო-საკრედიტო და საფინანსო საკითხს. სტატიებში: "ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი" (1886) და "შინაური მიმოხილვა" (1883) ილიამ განმარტა საადგილმამულო კრედიტის მნიშვნელობა "მიწის და მიწათმოქმედების განკარგებისა და გაძლიერებისათვის". "დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედთა ღონისა და მომცემლობისა". "ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედი ქვეყანაა და ერთადერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა. ამიტომ საადგილმამულო კრედიტს, როგორც კრედიტს, საგნად მარტო ის უნდა ჰქონდეს, რომ გააძლიეროს სოფლის მეურნეობის წარმოება და რადგან ეს წარმოება განუყოფლად შეერთებულია მიწასთან და მიწათ-მოქმედებასთან, ამიტომაც საადგილმამულო კრედიტი ირჩევა ყოველ სხვა კრედიტისაგან იმ განსაკუთრებული თვისებებით, რომლებიც წარმოსდგებიან თითონ მიწათმოქმედების და მიწის ეკონომიური ბუნებისაგან".

„საადგილმამულო ბანკის არსის გამოსახატავად ნ. ნიკოლაძე მეტად ტევად ცნებას ხმარობს - განახლების ბანკი. თუ ადრე იგი თავადაზნაურობის კეთილდღეობის შესანარჩუნებლად იყო ჩაფიქრებული, თერგდალეულთა ხელში ეროვნული ცხოვრების განახლების იარაღად გადაიქცა“ (აკ. ბაქრაძე).

დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა დიდი საზოგადო მოღვაწის პუბლიკაციებს ქვეყანაში პურეულისა და ბამბის მოვლა-მოყვანის, ტყის, ტექნიკური კულტურების გაშენების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების, მელიორაციის და სხვა პრობლემური საკითხების შესახებ. სტატიაში „ჩვენი გლეხობა და ტყეებით სარგებლობის საქმე“, ილია ბრძანებდა: „ჩვენებურის გლეხისათვის ტყე ისე საჭიროა, როგორც არსებითი პური. უტყეოდ ჩვენებური გლეხკაცი ვერ დადგება ისე, როგორც უპუროდ“. სააშკარაოზე გამოიტანა სატყეო ხელისუფლების ძალმომრეობა და უკანონო დაუსჯელი საქმიანობა, ასევე ტყით სარგებლობის რუსული წესის ქართული სინამდვილისადმი შეუთავსებლობის საკითხი. პურეულის საკითხთან დაკავშირებით, უაღრესად ყურად-

გაგრძელება მე-16 გვერდზე

მე-15 გვერდიდან

საღებია ილია ჭავჭავაძის წერილი "პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში", სადაც ილია დაასკვნის: "ჩვენ მარტო, იმას უნდა ვეცადოთ, - პური იმდენი მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს, ჩვენ და ჩვენს შინაურ ბაზარს ეყოს".

დარგის პრობლემებზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე გამოყოფდა საქართველოში მრავალდარგოვანი, ფართოდ სპეციალიზებული სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობას. ილიას აზრით, დარგობრივ სპეციალიზაციას უნდა ეპასუხა ხაშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებებისათვის. „ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არ აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია - სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სახეიროა რუსეთისთვისაც".

თუ იმდროინდელი გადაზიდვების საშუალებებს გავიხსენებთ, რომელიც გლეხკაცის მფლობელობაში იყო (იგულისხმება ურემი), ამასთანავე რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ მანძილსა და თითქმის დანგრეულ გზას, რომელიც ზამთარში იკეტებოდა, ცხადი გახდება, რომ ჭირნახულზე ზრუნვა სახელმწიფოს საკუთარ თავზე უნდა აეღო. ანდა სულაც ის შუამავალი უნდა მოენახა, რომელიც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ხელშეკრულებასაც გააფორმებდა და წარმატებითაც დააგვირგვინებდა ამ საქმეს. მაგრამ ვაჭართა ფენა, რომლისთვისაც რისკი ჩვეული საქმეა, საეჭვოდ მიიჩნევდა ესოდენ შორ მანძილზე მალფუჭებადი პროდუქტების ტრანსპორტირებას. რაც შეეხება ხორბალს, ქვეყანა საკმარი რაოდენობით შიდა მოხმარებისთვისაც კი ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ ბაზარს. მაგრამ ილიას მოსაზრება რუსეთთან პარტნიორობის შესახებ ყურადსაღებია თუნდაც იმიტომ, რომ იგი კარგად იცნობდა რუსეთის ბაზარს, ქვეყნის მასშტაბსა და შესაძლებლობებს და დარწმუნებული იყო რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის შეღწევა საქართველოს ეკონომიკასა და პრესტიჟს წაადგებოდა.

დროთა განმავლობაში, რკინიგზის განვითარებასა და ისტორიული აუცილებლობებით გამოწვეული სავაჭრო ურთიერთობები მართლაც შედგა, რამაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობა გამოიწვია, ხალხის მატერიალური მდგომარეობაც გაუმჯობესდა, მაგრამ ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ, როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის არსებული სავაჭრო კავშირები სრულიად მოშალა და რუსეთის ბაზრიდან ქართული ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული, ღვინო და მინერალური წყლები გამოაძევეს, საქართველოს ეკონომიკას უდიდესი ზიანი მიადგა. ქვეყანა ახალი სავაჭრო პარტნიორის ძიებაშია, ფერმერად მონათლული გლეხი კი მოწეული მოსავლის პირისპირ მარტო დარჩა.

სოფლის მეურნეობის დარგების სპეციფიკურ თავისებურებათა ცოდნა საშუალებას აძლევდა დიდ მწერალს ნათლად დაესაბუთებინა მევენახეობისა და მეღვინეობის, მეხილეობის, მებოსტნეობა-მებახჩეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, ჩაის, სუბტროპიკული და სხვა ძვირფასი კულტურების განვითარების აუცილებლობა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისათვის. ილიამ იცოდა, რომ თითოეული ეს დარგი წარმოადგენს არა მხოლოდ ქვეყნისა და გლეხიკაცის ეკონომიკურად გაძლიერების წყაროს, არამედ ქართველი ერის სამეურნეო ცხოვრების წესისა და კულტურის ორგანულად განუყოფელ ნაწილსაც, ბუნებრივად მისადაგებულს ქვეყნის ისტორიულ მხარეებთან. ამ ფონზე რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს, არც თუ იშვიათად, საუბარი გვიწევს არა თუ ტრადიციული დარგების შემდგომ განვითარებასა და რაციონალურ შეთანაწყობაზე, არამედ რიგი მათგანის (მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეცხვარეობა და სხვ.) შენარჩუნებასა და გადარჩენაზე.

საქართველოში ვაზისა და ღვინის კულტი ოდითგანვე იყო დამკვიდრებული (7-9 ათასი წლის წინათ,- პ.ჟუკოვსკი, რ.ვაინჰოლდი, ა.ნეგრული ე.კაკაროვი და სხვ.). არქანჯელო ლამბერტი წერს: „ვინ იცის, იქნება ძველებმა იმიტომ უწოდეს ქართველებს გიორგიანი, რომ პირველად ნოემ ამ ქვეყანაში ავარჯიშა ეს ხელობა და იქნება ამ დაბადებამ აქ ქვეყნის მკვიდრთ ამისათვის უწოდა პირველი მიწის მუშაკნი. „და იწყო ნოემ კაცმან საქმედ ქვეყნისა და დაასხა ვენახი". აქ ბერძნულ თარგმანში წერია: „ნოე ანდროპოს გეორგეს". იქაურებს დღემდის მარტო სახელი კი არა, ჩვეულებანიც თავის პირვანდელი წინაპრებისა შერჩენიათ. მართლაც, მიწის მუშობას როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში ისე ეტანებიან, რომ ყველას კეთილშობილურ საქმედ მიაჩნია თავის ყანაში მუშაობა. სხვა რომ არაფერი იყოს, ნოესაგან მათი ჩამოთვლობა, მათი ჩვეულება ამტკიცებს, ყოველგან ვენახებს აშენებენ და ცდილობენ ბევრი ღვინო მოიყვანონ, რომელიც ძლიერ უყვართ".

მართალია, ქრისტიანობამ ცეცხლს მისცა ვაზისა და ღვინის წარმართულ ღვთაებათა კულტები, მაგრამ თავად ვაზი ახალი რელიგიის სიმბოლოდ აქცია. წმინდა ნინოს ვაზის ჯვრით ხელში შემოსვლა საქართველოში დასტური იყო იმისა, რომ მან იცოდა რაოდენ მაღალგანვითარებულ (იგულისხმება მევენახეობა) ქვეყანაში შედიოდა განმანათლებელი. რაც შეეხება ქართულ საგალობელს „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყავებული, მორჩი, კეთილი, ედემში დანერგული..."(მეფე დემეტრე პირველი), მან საუკუნეებს გაუძლო და ურთულესი პოლიფონიური სვლების მიუხედავად, ერის მუსიკალური საგანძურის მშვენებას წარმოადგენს. ქრისტე გვმოძღვრავს: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მიწის მუშაკია", „მე ვაზი ვარ თქვენ კი ლერწები" (იოან. 15.1.5.6). ვაზი ქართველ კაცს „სიცოცხლის ხედ" მიაჩნდა. აგუნა ნაყოფიერებისა და სიუხვის ქართული ხვთაებაა. ყურძნის წვენს ქართველები მიიჩნევდნენ წმიდა სასმელად. თ. ბაგრატიონი გადმოგვცემს: „შესწივიდეს ღვინოსა ახალსაცა და ძველსა, აღუნთებდეს სანთელთა დიდ-დიდთა შთამოსხმულთა ცვილთაგან".

ქართველი კაცი ღვინის დაყენებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყურძნის მტევანს ალალი კაცის მარჯვენა უნდა შეხებოდა. ღვინო მხოლოდ ყურძნის წვენის დადუღებით მიიღებოდა და ამ წესის დაუცველობა წარმოუდგენელი იყო. ქართველი მევენახის სინდისი ზედაშეა, რომლითაც ინათლებოდა მათი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ღვინის დაყენების ქართული წესი: კახური (ჭაჭაზე სრული დადუღებით — ექსტრაქტული ღვინოები), იმერული (ჭაჭაზე დადუღების გარეშე — არაექსტრაქტული ღვინოები), რაჭული (ჭაჭაზე ნახევრად დადუღებით).

„ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა," — ბრძანებდა ილია. „ღვინის კეთებას ჩვენში მრავალი ათასის წლების ისტორია აქვს და, მასაშადამე არის რა მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თვისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპულს უფრთხის ერიდება დღესაც... ჩვენებური ღვინის კეთება, მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური შეურეველი თვისება ჰქონდეს." ქართული ღვინის უმთავრესი ღირსება „ბუნებრიობაა", მხოლოდ „ნატურალობაა", ამიტომ განსაკუთრებული სერიოზულობით იბრძოდა დიდი მწერალი ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნული ტრადიციების დაცვისათვის ბრძოლა უშუალოდ უკავშირდებოდა ფალსიფიცირებული ღვინოების მავნეობის გამოვლენასა და ამგვარი ღვინოების დაყენების უარყოფის კამპანიას. ღვინის ფალსიფიცირების ხერხები და მეთოდები ევროპიდან რუსეთის გზით ჩვენში შემოსულ ე.წ. „სიახლეთა" ნაკადს მოსდევდა და ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდა. აქ ილიას მხედველობაში ჰყავდა არა ჭეშმარიტი ევროპელი მეღვინეები, არამედ ისინი, ვინც „გამორჩომისათვის" ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ და „ბუნებურ" ღვინოს ათასგვარის „ოსტატობით" აბევრებდნენ. „რაც ბუნებური ღვინისათვის საჭიროა, ჩვენც იმოდენად ვიცით, რამოდენადაც ევროპელთა."

ილია ჭავჭავაძე ქართველ მეღვინეთა გასაგონად აცხადებდა: „თუ ჰსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ ადგილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბს ღვინოებს აჯობოს და გზა დაცლევინოს, ეს მარტო იმით შეიძლება მოხდეს, რომ გასამკლავებლათ ყალბ ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წავუყენოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭველია." ამაზე ლოგიკურად და მიზანდასახულად გზის ჩვენება, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია.

საინტერესო და დღემდე აქტუალურია ილია ჭავჭავაძის თვალთახედვა მთის პრობლემების მოგვარებაზე. მას ღრმად სწამდა, რომ საქართველოს მთიანეთში მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის - მთიანეთის აღორძინების და თავდაცვის უპირველესი პირობა იქნებოდა.

საქართველოს ცალკეულ მხარეთა სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ამოცანები და მათი მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებლობა დღის წესრიგში აყენებდა სამიმოსვლო გზების გაყვანისა და მოწესრიგების საკითხს. უკვე აშკარა იყო, რომ ქვეყნისათვის უგზოობა დიდ სირთულეებს ქმნიდა ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში, სერიოზულად უშლიდა ხელს ერის კეთილდღეობის ამაღლებას. „მგონი, არც ერთ ქვეყანას ისე არ ეჭირვება კარგი გზები, როგორც საქართველოსა." აღნიშნულის გამო ერის მამის ზრუნვის ერთ-ერთ ძირითად საგნად საქართველოში და განსაკუთრებით კახეთში სარკინიგზო მიმოსვლის განვითარება გახდა. თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნორმალური სატრანსპორტო მიმოსვლა ქვეყნისა თუ მისი ცალკეული მხარეების განვითარებისათვის, ნათლად ჩანს ილია ჭავჭავაძის სიტყვებიდან: "ორმოცის თუ ორმოცდაათი წლის წინათ ქიზიყის პურს ეჭირა მთელი ბაზარი ტფილისისა. ამას გარდა, აქედამ მოდიოდა არაყი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, ბამბა, მშვენიერი სახელგანთქმული კახური აბრეშუმი, მშვენიერი სურნელოვანი თამბაქო, სამღებრო და სამკურნალო (სააფთიაქო) ყვავილი და ბალახი, აუარებელი ხილი, აუარებელი მატყლი, საკლავი საქონელი და მებრვე სხვანი". ეს ყოველივე წარსულში იყო, რადგან სწორედ უგზოობის გამო კახეთი იმ დროს ეკონომიკურად დაუძლურებულ მხარედ გამოიყურებოდა. ამ პრობლემის მოგვარებას მიეძღვნა დიდი მწერლის არაერთი წერილი და მიმართვა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლისადმი, რუსეთის იმპერიის გზათა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრებისადმი. ამასთან დაკავშირებით ილია ბრძანებდა: "კარგის გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლულევანებაა ხალხის ცხოვრებაში, გზების უქონლობა ხელს უშლის ხალხის ეკონომიკურ კეთილდღეობას, უკან აყენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინ მსვლელობას. გზები უადვილებს ხალხს ერთიერთმანეთში მისვლა-მოსვლას, აღებ-მიცემას, ნაწარმოების გასაღებას. ეს მარტივი და ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა. ეს ჭეშმარიტება აღიარებულია". (თითქოს დღევანდელობის შესახებაა ნათქვამი).

დასასრულ, ისევ დიდ მოძღვარს მოვუხმოთ: „დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დაჯდება, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს ეკონომიურად წელში გაიმართოს. ყველასაგან გათელილი, ყველასაგან დაბრიყვებული, ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავისი ძალღონით არ ჭლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე".

„ვანწირვა მაშინ არის დიდსულოვნების საქმე, როცა გამწირველი თვითონ დიდს რასმე ჰკარგავს", - ბრძანებდა ილია. „ერის მოძმემ ჭმუნვასა და სიხარულში" სიცოცხლე შესწირა, სიცოცხლე ქართველი ერის განმანათლებლისა და სათაყვანებელი პიროვნებისა და დაუტოვა ერს გულმაგარი სიტყვა: „მხნე იყავ და გაძლიერდი".

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს", - ილიას მაგალითით ცხოვრებას ნიშნავს მხოლოდ. „ჯერჯერობით ერთი დღეც არ გვიცხოვრია ილიას მაგალითით. კი ვამბობთ, ხმამაღლაც ვიქადნით, ვიმუქრებით კიდეც, მაგრამ მაინც ძველებურად ვგრძელებთ ცხოვრებას, რაც პირველ რიგში იმ „სხვა ვარსკვლავის" დანახვას გვიშლის. „სხვა ვარსკვლავი" თავად ილიაა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოგვიყვანოს მონობის უკუნეთიდან. აი, როცა იქიდან გამოვალთ, მაშინ უფლებამოსილნიც ვიქნებით და, ალბათ, უფრო გამართლებულიც იქნება ჩვენგან ახალი სულიერი ნაშანსვეტების ძიება. იქამდე კი, ამის მცდელობაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან ნაადრევია..." (ო. ჭილაძე). მანამდე კი გზას, დროთა სვლაზე გაძარჯვებული, ილიას "მარადმდინარე ხილი" სახე გაგვინათებს.

ყველა დიდი მოაზროვნის წინასწარმეტყველება ფასდაუდებელია ქვეყნისათვის, როგორც პერსპექტიული ხედვა მომავლის რეალური სურათისა, ასევე, ილია ჭავჭავაძის მიერ დასახული გზა ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამა „უკეთესი ქვეყნის" შენებისა, მხოლოდ ერის ერთიანობითა და თანხმობითაა შესაძლებელი, როგორც გიორგი მთაწმინდელი ბრძანებდა: „ერთნებაობითა და თანადგომით "!

ეს XXI საუკუნის საქართველომ უნდა შეძლოს.

ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის ილიასეულ პროგრამას გვთავაზობს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე: „საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის თავის ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს... საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს ქართულ სოფელს".

ილია ჭავჭავაძეს ღრმად სწამდა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის, ქართველი გლეხკაცის უნარ-ჩვევების ტრანსფორმაციისა ახალ ვითარებაში, რომელსაც საფუძველი უნდა ჩაეყარა ერთიანი საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.

ერის მამის ხედვა, სოფლის მეურნეობის ადგილისა და როლის შესახებ, დღევანდელ საქართველოში უმაღლესი ეროვნული ინტერესების სფეროს უნდა მიეკუთნოს.

„მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ." (მათ. 20.16). მხოლოდ ამ სიტყვების წარმოთქმა იცოდა ილიამ, როდესაც დიდად განაწყენდებოდა მოსაუბრეებზე და უკომენტაროდ ტოვებდა შეკრების ადგილს.

დიახ, იცოდა მან თავისი ფასი, იცოდა, რომ მრავალი ეწვევა ამ წუთისოფელს, მაგრამ მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ ერის სამსახურში ჩადგომა, დროის ფეხდაფეხ მიყოლა, რაციონალურად საქმეთა წარმართვა.

აკი ამიტომაც ბრძანა კიდევ ერომ გამჩენმა ქართველმა გრიგოლ რობაქიძემ, რომელსაც გერმანიაში ცხოვრებამ კიდევ უფრო გაუმძაფრა ქართული გენი: „ილია - კარდუს დიდი მოურავია, რისთვისაც მინიჭებული აქვს კოსმიური მედალიონი — „მარად მყოფი".

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გაზეთ „საქართველოს" ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის ტელეფონები:
ტელ: 36-16-32
22-28-82, 8-93-64-44-07

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.